ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლომთაძე ნაზი

დუტუ მეგრელის (დიმიტრი ხოშტარია) ცხოვრება და შემოქმედება

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ქართული ლიტერატურის ისტორიაში
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

10.01.01. – ქართული ლიტერატურის ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი თენგიზ კიკაჩეიშვილი

თბილისი
2006

სარჩევი

შესავალი – საუკუნეთა მიჯნა ---------- 3

თავი I. კრიტიკის სამსჯავროზე ---------- 12

თავი II. გზა გასაყარიდან ---------- 29

თავი III. „პატარა ქართველი“ ---------- 37

თავი IV. ლირიკული აღსარება ---------- 66

თავი V. სულის ტრაგედია ---------- 95

თავი VI. „სალიტერატურო შენიშვნები“ ---------- 126

დასკვნა ---------- 134

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 140

შესავალი

საუკუნეთა მიჯნა. ლიტერატურის ისტორიაში საუკუნეთა მიჯნა ერთი მხრივ, მუდამ ზღვარს წარმოადგენდა ორ პერიოდს შორის და მეორე მხრივ, ორი სხვადასხვა პერიოდის შემკრებს; ერთი მხრივ, ამა თუ იმ სოციალურ-მსოფლმხედველობრივ ფასეულობებს უდებდა ზღვარს, და, მეორე მხრივ, წინა საუკუნის ზოგადსაკაცობრიო თემატიკას აერთიანებდა ახალ ფასეულობებთან, რომლებსაც კონკრეტული ისტორიულ-სოციალური ვითარება წარმოშობდა.

XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც ევროპაში „პანევროპის" იდეას ეყრება საფუძველი, როდესაც ევროპული ცივილიზაცია აღმავლობას განიცდის, იმავე დროს იგი ნიცშეანული „ზეკაცის" თუ მსგავსი ღმრთისმბრძოლი იდეებით სულიერ-კულტურულ ჩიხში შედის და მოსალოდნელი სულიერი კატასტროფის მოლოდინში ლიტერატურაში ახალი პიროვნება, ახალი ცნობიერება მკვიდრდება, რომელიც ეპოქის გამომხატველი კი აღარ არის მთლიანობაში, არამედ – გარე სამყაროსთან მიმდინარე პროცესებში ლიტერატურული გმირის საკუთარი "მეს", გამთლიანების ძიება, ანუ ლიტერატურის ინტერესის საგნად იქცა შინაგანი გმირის გარე სამყაროსთან მიმართება (მეტერლინკი, იბსენი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ჩეხოვი...).

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში კიდევ ერთი ღმრთისმბრძოლი ევრო-რუსული მსოფლმხედველობა შემოიჭრა მარქსისტულ-სოციალისტური მსოფლმხედველობის სახით, რომელმაც საუკუნეთა მიჯნა რუსეთსა და საქართველოში რევოლუციური ძვრების კატასტროფად აქცია. სწორედ ამ რადიკალურ ისტორიულ-კულტურულ რეფორმაციათა ფონზე ხდება ადამიანთა ცნობიერების, სულიერი და ფიზიკური ცხოვრების რყევა, ტრადიციასთან მაკავშირებელი სასიცოცხლო, როგორც გერონტი ქიქოძე იტყოდა, "ეროვნული ენერგიის" სადინარების მსხვრევა.. და ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, აისახა ლიტერატურული ბრძოლების პერიპეტიებში.

ერთი შეხედვით, პარადოქსულად შეიძლება ჩანდეს, თუ ვიტყვით, რომ XIX-XX საუკუნეთა მიჯნა გაცილებით უფრო ტრაგიკული აღმოჩნდა საქართველოსთვის, ვინემ XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნა, რადგან თუკი პირველ შემთხვევაში საქართველომ სახელმწიფოებრიობა დაკარგა, მეორე შემთხვევაში მან თითქმის დაკარგა ქართული ცნობიერება, ეროვნული იდეა, რომლის დვრიტა ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერება იყო ("ქართულად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების..." და "ენა, მამული, სარწმუნოება"). XIX-XX საუკუნეთა მიჯნის საქართველოს ეროვნული ტრაგედია ერთიანი სულიერ-ზნეობრივი საყრდენის ნგრევაში გამოიხატა, რამაც იმ პერიოდის პარტიულ-ლიტერატურულ, თუ ლიტერატურულ-პარტიულ კონფერენციებში იჩინა თავი. ქართული ლიტერატურული ტრადიციები, ფასეულობები იმხანად ეროვნული ტრადიციების კვალად დროის სულისკვეთებით იქნა გაჯერებული. 90-900-იანი წლების საქართველოში თავი იჩინა უცხო, ევრო-რუსულმა მარქსისტულ-სოციალისტურმა იდეოლოგიამ ცალკერძ და, მეორე მხრივ ოკულტურ-მისტიკურმა მოდერნისტულმა მსოფლმხედველობამ და ისინი ერთნაირი ძალისხმევით დაუპირისპირდნენ პატრიარქალურ ეროვნულ იდეას. საუკუნეთა მიჯნის ქართული ლიტერატურული ცხოვრებაც სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა, რომელიც ლიტერატურულ დაჯგუფებათა მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლებით წარმოჩნდა. სავალალოდ, საუკუნეთა მიჯნის ამ ბრძოლებში ეროვნული თვითმყოფადობის, დამოუკიდებლობის, მართლმადიდებლური სარწმუნოების ცენტრალური იდეა, რომელმაც საქართველო საუკუნეთა ცეცხლში, ,,ვითარცა რვალი რკინისა" (ფსალმ), ეგრეთ გამოაწრთო ცეცხლში და გამოატარა – ამ პერიოდში უახლესი ქართული ლიტერატურის დასაბამს, უკანა პლანზე გადადის და წინ წამოიწევს სოციალურ-პოლიტიკური, თუ ლიტერატურისა და ხელოვნების მისტიფიკაცია; ერის სულიერი ერთობის ტრადიციული ცნობიერების რღვევამ ერის სულიერ-ზნეობრივი ტრაგედია წარმოქმნა. შესაბამისად ქართულ ლიტერატურაში თავს იჩენს კონცეფციათა ნაირსახეობა, რაც ცალკეულ ლიტერატურულ მიმართულებებად და დაჯგუფებებად წარმოჩნდება.

სწორედ ამ ისტორიულ რეალიებში ყალიბდება ახალი პიროვნება მწერლისა და შესაბამისად ლიტერატურული პერსონაჟისა (გნებავთ, გმირისა). ასე იწყება ახალი ქართული ლიტერატურის პერიოდი ახალი თემებით, ახალი ესთეტიკური სისტემებით, მათ შორის ბრძოლებით, რაც ხელოვნების დანიშნულების, ესთეტიკური პროგრამების რადიკალური ნაირსახეობით ვლინდება.

ამ ზღვრულ პერიოდში კვლავაც მყარად დგას 60-იანელთა და მათი ლიტერატურულ-იდეური მრწამსის მქონე ძველი თუ ახალი თაობა. 60-იანელთა სკოლის ახალი თაობა (რომელთა შორის დუტუ მეგრელი, უიარაღო, შიო მღვიმელი მოიაზრება) ევრო-რუსულ, იმპორტულ იდეურ-პოლიტიკურ, თუ ესთეტიკურ "დასებს" ემიჯნება.

გარდამავალი პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ორი მკვეთრი წარმმართველი ძალა იჩენს თავს: პოლიტიკურ-სოციალური და ხელოვნების როლისა და დანიშნულების ნიშნით მოღვაწე დაჯგუფებები, რომლებიც ეროვნულ იდეებს რამდენადმე იზიარებენ, ხოლო ეროვნული ცნობიერების, სულიერ-კულტურულ ფუნდამენტს – მართლმადიდებლობას პირველნი ("მესამე დასელნი" – მარქსისტულ-სოციალისტური, თუ სოციალისტურ-ფედერალისტურ) – ათეიზმს უპირისპირებენ, ხოლო მეორენი ("ცისფერყანწელები") – მისტიკურ-ოკულტურ რელიგიას. თუმცა ამ პერიოდში არატრადიციულ ფასეულობებს, თავსმოხვეულს უცხო მსოფლმხედველობას და სულიერ უღელს, რომელიც ყოველ უღელზე უფრო სამძიმოა, რომლისთვისაც წმინდა წერილი გვასწავლის: "ნუ გეშინინ მათგან, რომელნი მოგწყვეტენ ხორცითა, არამედ გეშინოდენ მათა, რომელნი მოგწყვეტენ სულითა" – 60-იანელთა ფხიზელი თვალი და მათი მძლავრი ხმა ჯერაც კიდევ შემაკავებლად წარმოსდგება ქართული ცნობიერების იმ მეწყრისა, რომელმაც ფიზიკურად შეიწირა ჯერ ილია ჭავჭავაძე და შემდეგ მრავალი ერის შვილი.

მოსალოდნელი კატასტროფის მოლოდინი ერთი ნაწილისათვის იყო "კატასტროფის მოლოდინი", ხოლო მეორე ნაწილი მასში ხსნას ხედავდა და

"ზეციურ მანანასავით" ელოდა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ წარსული მაინც ყველას აერთიანებდა და გასული საუკუნის მხატვრულ გამოცდილებას, ზნეობრივ კრიტერიუმებს მაინც ითვალისწინებდნენ... ყველა ერთად კი რადიკალურ ცვლილებებს ელოდა და ლიტერატურის რეფორმაციაც ზოგისთვის ქართული მწერლობის "ევროპის რადიუსით გამართვა იყო", ზოგისთვის კი მოწოდებით: "პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით", ცხადია ისიც, რომ არც ერთის და არც მეორის თვალსაწიერში ქართული მართლმადიდებელი ეკლესია არ ექცეოდა, ან ეს თემა მათთვის სამღვდელოების კრიტიკით, გმობით ამოიწურებოდა. ამიტომაც "ახალი დროების" შვილები, რომელთა დიდი ნაწილიც სასულიერო წრიდან იყო და თავადაც სასულიერო სასწავლებელები ჰქონდათ გასრულებული (რისთვისაც ქართული ლიტერატურის ისტორიამ მათ მოსწრებულად უწოდა "დიაკვნის შვილები"), თავადაზნაურობის კრიტიკასთან ერთად, უეჭველად სამღვდელოების, ეკლესიის განკითხვასაც ურთავდნენ მათ თვალსაწიერში არც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები ექცეოდა და არც აწ წმინდანებად შერაცხული დიდი მამები: წმინდა გაბრიელი (ქიქოძე), წმინდა კირიონი (საძაგლიშვილი), წმინდა ლეონიდე (ოქროპირიძე), წმინდა ალექსი (შუშანია) და სხვანი მრავალნი; არამედ ამ ღვთისა და ერის მსახურ მამებს კვლავ და კვლავ 60-იანელთა თაობა წმინდა ილია მართლის, წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის, ნიკო მარის, ალექსანდრე ცაგარლის და სხვათა სახით ედგნენ მხარში. მაშინ როცა "დასელები" პროლეტარულ საპროტესტო მოწოდებებს არ ელევიან, ხოლო "ცისფერყანწელები" ამბოხს უწყობენ სამოციანელთა თაობას, ილია ჭავჭავაძე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისთვის მებრძოლ ჯგუფს, რომელმაც დემონსტრაციის მოწყობა გადაწყვიტა, ეტყვის: "თუ საჭიროა, მე წაგიძღვებითო!" ხოლო მარქსისტულ-რევოლუციური დამანგრეველი სულით გამსჭვალული "ახალი დროის" პოეზია კი ამ დროს მოუწოდებს "ნაჯახის აღებისაკენ": "დაჰკარითო, არ დაინდოთ, თუნდ ამოძვრეს აქვე სული", ანდა – "გამოვკრათ ჩახმახს, ან მტერნი, ან ჩვენ, ორივ ერთად კი ვეღარ ვიქნებით" ("ჩემს ჩანგს" – იროდიონ ევდოშვილი).

ცხადია, "ნაჯახი" და "ჩახმახი" კლასობრივ მტერზე: თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიაზეა ალმართული – მაგრამ ერთიც და მეორეც განა ქართველი კაცი არ იყო?! ამგვარი ზნეობრივი "გარდაგულარძნა" (როგორც იოანე საბანისძე იტყვის), ეს "განლაღებული" ათეისტური სული ნიშნეულია როგორც სოციალ-ფედერალისტთა, ასევე სოციალ-დემოკრატთა პარტიული მწერლობისათვის.... ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერება ევრო-რუსულმა ღვთისგანდგომილების სულმა შეცვალა და უახლეს ქართულ ლიტერატურაში სათავე დაუდო "ჰუმანისტურ" ათეიზმს, მისტიკურ-ოკულტურ იდეოლოგიას. ამ პერიოდის პრესაში დიდი ადგილი ეთმობა მარქსის, რენანის, ნიცშეს თხზულებებს. ამ უკანასკნელის შესახებ ვაჟა იტყვის: ,,ხერხემალგამოფიტული ევროპიელი ფილოსოფოსია შენი ნიცშე, ჩვეულებრივი ნაცარქექია, აზვიადებს ყველაფერს, რაც თვითონ არ მოეპოვება" (გ. ქიქოძე, ,,წერილები, ესეები, ნარკვევები", თბ., 1985 წ., გვ. 372-73).

ცნობილია, რომ XIX საუკუნის 90-900-იან წლებში ჩამოყალიბდა ქართული სალიტერატურო კრიტიკა, როგორც ლიტმცოდნეობის დარგი, რომელიც ქართული მწერლობის კვალდაკვალ, ერთი მხრივ, მარქსისტულ-სოციალისტურ ესთეტიკას ეყრდნობოდა (ალ. წულუკიძე, ფ. მახარაძე, პ. გელეიშვილი) და, მეორე მხრივ, ევროპული ესთეტიკის ნოვაციებს (კიტა აბაშიძე, გ. ჭუმბურიძე, ალ. წერეთელი, ლეო ნათაძე, გრ. ცეცხლაძე (ზანგი), არჩილ ჯორჯაძე, დ. ონაშვილი...), მაგრამ მათ აერთიანებდა ის ღვთისმბრძოლი სული, რომელიც შემდგომ მთელი საუკუნე წარმართავდა ქართულ ლიტერატურას.

ყოველ ეპოქას თავისი კულტურული სახე აქვს, რომელსაც ძირითადად სულიერი კატეგორიები წარმართავს. კაცობრიობის სულის ისტორიაც სულიერისა და ხორციელის ჭიდილში წარემართება და მისი ცნობიერების სახეცვალებაც ამას ემყარება, ,,რამეთუ ხორცი იბრძვის სულისთვის და სული – ხორცისათვის" – ამბობს წმინდა მოციქული პავლე. ქართული ცნობიერების ზნეობრივ-ესთეტიკური ცნობიერების წარმმართველი ძალა დასაბამიდანვე (საქართველოს სახელმწიფოს

შექმნიდანვე) წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი იყო, ვინემ XIX-XX საუკუნის მიჯნამდე, სანამ ევროპულმა ნიჰილისტურმა და მებრძოლი ათეიზმის სულმა არ შეარყია ქართული ცნობიერება, რასაც მთელი სიცხადით ხედავდნენ ქართული სულის სადარაჯოზე მდგომი სამოციანელები და რის გამოც გულშეძრული წმინდა ილია მართალი წერს: „საწყალო ქვეყანავ! შენს ღონიერს დედამიწაზედ იჭნება ორიოდე კაცი იმისთანა დადიოდეს, რომელიც სადმე მარტო ჩუმად სტირის შენს მაგ ჯოფაზედ, ჩუმად სტირის იმიტომ, რომ შენს შვილებს თავისი ცრემლი დაანახოს, ის პატიოსანი, მდუღარე ცრემლი, – შენი კეთილი შვილები თვითონვე დასცინებენ და პატიოსანს ცრემლს უპატიოსნოდ გაუხდიან. რა გამოვა, რომ შენთვის მტირალა ხმამ, შენ შვილებისადმი მოალწიოს?..“ (ი. ჭავჭავაძე, ტ., III, „ცისკარი“...)

ილიას ამ პოეტურ ხილვაში საქართველოსთვის „მარტო, ჩუმად მოტირალი“ ქართველის პორტრეტში მართლაცდა „პატიოსანი, მდუღარე ცრემლით“ მოტირალი პოეტის, დუტუ მეგრელის სახე ცოცხლდება, რომელიც მოგვიანებით იტყვის:

„ოჰ, რად არ ძალმიძს მთლად ცრემლად ვიქცე,
გავხდე მდინარე აღქაფებული
და გადავრეცხო, რაც ქვეყანაზე
ბოროტებაა დამყარებული!.“

ამ სტრიქონების ავტორი არის დუტუ მეგრელის ფსევდონიმით ცნობილი პოეტი, მწერალი, დრამატურგი და პუბლიცისტი დიმიტრი ხოშტარია, რომელსაც თანამედროვე საქართველო იცნობს, მხოლოდ ვითარცა ავტორს კლასიკური ლექსისა “შე პატარა ქართველი ვარ...”

XIX ს. 80-90-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში მეტად მნიშვნელოვან სახედ წარმოდგება დუტუ მეგრელი (დიმიტრი ხოშტარია). იგი უაღრესად საინტერესო, გარდამავალი პერიოდის პოეტი, მწერალი, დრამატურგი და პუბლიცისტია, რომლის შემოქმედებაში ახალი დროების სულისკვეთებით აღძრული პრობლემატიკა არის გაანალიზებული.

საუკუნეთა ხსენებულ მიჯნაზე უცხოეთიდან შემოჭრილმა სოციალისტურმა

თუ ფორმალისტურმა იდეოლოგიამ საქართველოში სოციალური ყოფა, კლასთაშორის ბრძოლის თემა წამოაყენა და, მეორე მხრივ, ხელოვნების საგნად ხელოვნების ფორმალისტურ-ირაციონალური საკითხი დააყენა, რითაც ავანსცენაზე გამოსული ახალი სალიტერატურო სკოლები ცდილობენ „ოთარაანთ ქვრივის", „ბაში-აჩუკის", „განკიცხულის" საქართველო (ჩვენ ამ მოთხრობებს ვასახელებთ, რადგან ამ პერიოდში იბეჭდებიან) შეცვალონ დღიური ლუკმისთვის მოტირალი, ხორციელი საზრუნავით (და არა სულიერით) ამბოხებული, ანდა სულაც – შეშინებული, მხდალი სპირიდონ მცირიშვილებით („ტარიელ მკლავაძე"), რომლის „მართალი", „პატიოსანი" და დაუცველი „უმწეობის" მიღმა ასე კარგად განჭვრიტა და საჯაროდ გააშიშვლა მიხეილ ჯავახიშვილმა, თეიმურაზ ხევისთავში სიმხდალით ჩამკვდარი ღირსება...

დუტუ მეგრელმა, რომელიც ეროვნულ თავისუფლებისკენ მოუწოდებდა თავის ე.წ. რევოლუციურ ლექსებში და არა სოციალისტური ჯანყისკენ, ღმრთისმბრძოლი მარქსისტულ-სოციალისტური რეოლუცია რუსეთისა (1905 წ.) ასე შეაფასა:

„სისხლისღვრა, ისევ სისხლისღვრა,
ტანჯვა-ვაება, ტირილი,
მეორედ მოსვლის დღესა ჰგავს!
ქვეყნად ბატონობს სიკვდილი!
კვლავ გაშმაგებით ეძებენ
მაცხოვარს, ახლად შობილსა,
რომ აკვანშივე გასრისონ
და ჰფენენ ყველგან სიკვდილსა..."

(„ნუგეში", 1906 წ.)

მაგრამ პოეტმა კარგად იცის, რომ ეს შეუძლებელია: „მაგრამ რა მოჰკლავს ღვთის სიტყვას... რა მოსპობს გრძნობას, დიდებულს, ერთხელვე ხალხში გაჩენილს?" პოეტს იმედი აქვს და დაასკვნის: „რომ დიდხანს ვერ გასტანს ეს დრო, შავბნელი".

ახალ თაობას უპირველეს და უმთავრეს საკითხად სოციალური ყოფის

ამბოხით და სხვა ამგვარი ქმედებით გარდაქმნა დაუსახავს ლიტერატურული ნაწარმოების თემად და იდეად მათი შეტევის და მხილების საგანი მხოლოდ თავადაზნაურობა და სამღვდელოებაა (იშვიათად ბურჟუა). მარქსისტულ-რევოლუციური კრიტიკაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამასვე მოითხოვდა მწერლობისგან.

დუტუ მეგრელი, სწორედ ამ ახალი თაობის, კერძოდ კი მესამედასელთა თუ სხვა პარტიული ნიშნით დაჯგუფებულთა გარემოში ტრიალებდა (პეტრე გელეიშვილთან ურთიერთობაც საკმარისია), მაგრამ მათ სულისკვეთებას არ წარუტაცნია. პირიქით, იგი გულშეძრული შეცქერის თავის ქვეყანაში ჩამომდგარ სულიერ ანარქიას:

„მხარევ ტანჯულო,
მხარევ დევნილო,
მხარევ ჩაგრულო,
უმწე შთენილო,
ნუთუ დღეს ისე დაეცი, წახდი,
სათრევი გახდი?!" (1909 წ.)

თუ კი იმ დროიდან მოყოლებული, საბჭოთა პერიოდში და დღემდისაც ირ. ევდოშვილის, შიო არაგვისპირელის, ანასტასია ერისთავის, ჭოლა ლომთათიძის და სხვათა გმირების ბრძოლა არსებობისთვის, ღმრთივგანდგომილთა სასოწარკვეთილ გმინვად წარმოსდგება — დუტუ მეგრელის გმირები სულიერ ბრძოლას ეწევიან და ისინი ზნეობრივი, სულიერი ეროვნული ფასეულობებისათვის ბრძოლაში ან ეცემიან, ან იმარჯვებენ

რა თქმა უნდა, დუტუ მეგრელის შემოქმედებაში სოციალურ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მაგრამ დუტუსთვის უფრო მნიშვნელოვანია სოციალურ ძვრებში ადამიანის სულის გამოვლენის ფორმები, მისი სულიერი სახე, რამეთუ დუტუსთვის კარგად ნაცნობია, რომ ადამიანი განსაცდელის ჟამს გამოიცდება და მან სწორედ განსაცდელში (სოციალური იქნება ეს თუ

პოლიტიკური) პიროვნული ღირსების, ეროვნული ცნობიერების დაცვისკენ მოუწოდა ქართველებს.

განსაკუთრებით საზიერად, მაღალმხატვრულად აქვს მას აღწერილი, როგორ იკვეთება პიროვნული „მე" კონკრეტულ სოციალურ-ისტორიულ თუ პოლიტიკურ მოვლენებში. ამის საუკეთესო ნიმუშია მოთხრობა „საცოდავნი"", „ფეჩეია", „სვიმონ მღვდელი", „გოგია და ქანა", „ქნეინა სალომე" და სხვა.

დუტუ მეგრელი ერთ-ერთი პირველი მწერალია საუკუნეთა მიჯნისა, რომელმაც ურბანიზაციის საშინელება, ეროვნული ტრადიციის, მორალის და ყოველგვარ ფასეულობათა გადაგვარება მიაწერა არა ერთ, რომელსამე კლასს (და მეორე კი გააიდეალა), არამედ მან ახალი დროის ღმრთისგანდგომილების სულისკვეთება ქართული საზოგადოების ორსავე (მაღალი და დაბალი) ფენის ცოდვად შერაცხა და მისი გმირების დაცემის მიზეზად სოციალურზე მეტად ზნეობრივ გადაგვარება დაინახა.

სინამდვილის რეალურ-ისტორიული წინააღმდეგობა, სულიერ-ზნეობრივი ტრაგიზმი, პატრიოტულ-რელიგიური ცნობიერება — აი, თემები, რომლებიც დუტუ მეგრელის შემოქმედებითი წარმმართველია. მის ლიტერატურულ გმირებში გარდამავალი, ზღვრული ეპოქის წინააღმდეგობრივი თავისებურებანი აირეკლება და მწერალი მკითხველს ანდობს, განსაჯოს — „ახალი ეპოქის" ახალ ფასეულობებს სრულყოფისკენ მიჰყავს ერი, თუ დეგრადაციისკენ....

შეშფოთება, ცრემლები და სასოწარკვეთა, რაც მის შემოქმედებას თან გასდევს, დუტუს ინდივიდუალური თვისება კი არ არის, არამედ ეს საუკუნეთა მიჯნის ერის სულის ძრწოლაა, რომელსაც ასეთი სურათით წარმოადგენს:

„ქარი ჰქრის, ქარი გრიალებს,
არ ცხრება განრისხებული;
დამხობის მოლოდინშია
ქვეყანა შეშინებული..."

("ქარი ჰქრის").

თავი I. კრიტიკის სამსჯავროზე

1937 წლის 4 ივნისი. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საქართველოს მწერალთა კავშირის მეოთხე პლენარული სხდომა. თავმჯდომარეა ბესო ჟღენტი. სიტყვით გამოდის დუტუ მეგრელი:

„...მე მოწმე ვარ იმისა, რომ ჩვენში, ჯერ კიდევ აპრილამდე ცხადი იყო, რომ თითქმის უნდა მოსპობილიყო ყოველივე ის, რაც წინათ გაკეთდა და ყოველივე მხოლოდ მათგან (პროლეტარული მწერლები – ნ ლ.) უნდა დაწყებულიყო. ასეთი ცდა წინათაც იყო „ცესფერყანწელებისგანაც", რომლებმაც ხაზი გაუსვეს ყოველგვარ წარსულს. მხოლოდ ვაჟა-ფშაველა დასტოვეს, დანარჩენებს კი არ ცნობდნენ, უმეტესად კი ჩვენ, რომლებიც ძველ, ილიას დროინდელ მწერლებს ვეკუთვნოდით... გუშინაც, ირაკლი აბაშიძემ ისე, ზერელედ ჩამოგვითვალა... აღნიშნა, რომ ილიას შემდეგ ყოველივე ისპობა, მხოლოდ ეხლა საბჭოთა მწერლები იწყებენ წერასო. მე სხვა მწერალთა შორის მომიხსენია და აღნიშნა, რომ „მას აქვს დაწერილი „მე პატარა ქართველი ვარ"-ო, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ პატარა ლექსით არ განისაზღვრება ჩემი მნიშვნელობა ქართულ მწერლობაში".

1937 წლის მძვინვარე რეპრესიების დროს დუტუ მეგრელის ეს „აღსარება", რომელიც ილია ჭავჭავაძის „რეაბილიტაციის" დღეებში წარმოითქმება, ცხადლივი მაგალითია იმისა, თუ როგორ ებრძოდა პარტიული იდეოლოგიით გაჯერებული კრიტიკა ყოველივეს, რაც არ იყო პროლეტარიატის, რევოლუციის, სოციალიზმის „აღმშენებლობის" გამომხატველი და რაც ეროვნულს ემსახურებოდა.

ქართული კრიტიკის პარტიულობას, მის მავნე ზეგავლენას ლიტერატურულ პროცესებზე ჯერ კიდევ გერონტი ქიქოძემ მიაქცია ყურადღება და კრიტიკული აზროვნების ეს სენი უმალ ამხილა: "თანამედროვე კრიტიკაში რამდენიმე მიმართულება ებრძვის ერთმანეთს, ერთის მხრივ ე.წ. პუბლიცისტური კრიტიკა, რომელიც არაესთეტური საზომებით ხელმძღვანელობს და მხატვრული ნაწარმოების ღირსებას მისი სოციალური პოლიტიკური შედეგების მიხედვით აფასებს..."

კრიტიკული აზროვნების სწორედ ამგვარი მონოლითი წააყრის ხოლმე მტვერს ლიტერატურის მრავალ ღირსეულ მესიტყვეს და მით – ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაჩინო ფურცლებსაც.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე ქართული ლიტერატურის ისტორიაში დუტუ მეგრელის (დიმიტრი ხოშტარიას) ადგილი ვერ, თუ არ გამოიკვეთა. თუკი 1982 წელს გამოცემულ „ქართული ლიტერატურის ისტორიაში" (ტ., V, თბ., გვ. 227) დავით თევზაძის სტატია „დუტუ მეგრელი", რამდენადმე მაინც წამოსწევს (და ისიც საბჭოთა იდეოლოგიის ფონზე) ამ მნიშვნელოვანი მოღვაწის სახეს, სამწუხაროდ, შემდგომ, სახელმძღვანელოებიდანაც კი ქრება ის ერთადერთი ლექსი („მე პატარა ქართველი ვარ"), რომელიც იაკობ გოგებაშვილმა „ბუნების კარში" და „დედა ენაში" შეიტანა და რომელიც 1980 წელს გამოცემული „ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგიაშია" შესული (თბ., გამ-ბა "მერანი").

დუტუ მეგრელი სიცოცხლეშივე ხედავდა ტენდენციური კრიტიკის ბრძოლას არა ოდენ მის წინააღმდეგ, არამედ იმ მიმართულების, იმ სულისკვეთების წინააღმდეგ მიმართულს, რასაც ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერება ჰქვია და ილია ჭავჭავაძის ნათქვამი სიტყვები, რომ მამულიშვილის „პატიოსან მდუღარე ცრემლს დასცინებენ და პატიოსან ცრემლს უპატიოსნოდ გაუხდიანო", ზედმიწევნით აღსრულდა დუტუ მეგრელზე, რომელიც ზემოთხსენებულ მწერალთა კავშირის სხდომაზე, ვითარცა სამსჯავროზე წარმდგარი თავს იცავს, იმართლებს და თავისი მწერლური ღირსების, როგორც თავადვე ამბობს, „მემკვიდრეობის" დაცვა უწევს: "მე ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მინდა მოგახსენოთ კიდევ ორიოდ სიტყვა. რომ მე მიუღებელი ვყოფილვარ მაშინაც, როგორც ნაციონალ-დემოკრატების, ისე სოციალ-დემოკრატების და შემდეგ მენშევიკების ბანაკშიც (როგორც „ნაციონალ-დემოკრატი"). ჩემი ლექსების კრებული საბჭოთა ხელისუფლების დროსაც გამოვიდა და მასზე დაწერილ რეცენზიაში წერია: „მაგრამ განახლებული ცხოვრების ჰიმნს ჰფარავს წარსული ნაციონალისტური თემატიკა..."

დარბაზიდან ბესო ჟღენტი ეკითხება: ვინ აწერს ხელს?

დუტუ მეგრელი: დაწერილია სალიტერატურო გაზეთში და ხელს აწერს ალი.

დარბაზში სიცილი, შეძახილები: ალი არსენიშვილი. მერე რა გეწყინა?!

დუტუ სიტყვას აგრძელებს: „მე მინდა გითხრათ, რომ გარდატეხა თქვენთვის არის საჭირო, მაგრამ ჩემთვის ეს საჭირო არ ყოფილა, იმიტომ რომ, მე ვდგავარ თავიდანვე სკოლის ეროვნულ და, ამავე დროს, სოციალურ ნიადაგზე... ერთი სიტყვით ჩვენ რომ (დუტუ აქ არ ამბობს – „თქვენ, რომ") თავს ვიმტვრევდით დიალექტიკურ მატერიალიზმზე, თურმე თქვენ ისე უნდა წეროთ, როგორც ილია ჭავჭავაძე წერდა თავისი დროის მიხედვით, მაგრამ ეხლა უნდა წერდე შენი თანამედროვე ცხოვრებიდან "

ამ გამოსვლაში დუტუ მეგრელი ხაზგასმით ამბობს, რომ „საზოგადოდ ისეთი ხელმძღვანელობა იყო მაშინ (1893 წ, „ივერიაში"– ნ.ლ.), რომ თვით ყაზბეგის მოთხრობა „განკიცხულიც" მიუღებლად მიაჩნდათ. ერთი სიტყვით იყო "ნაროდნიკული მოძრაობა„ (კრიტიკოსთა ნაწილი კი მას ხალხოსან მწერლებს მიაკუთვნებს(?!) – ამაზე ქვემოთ ვიტყვით).

დუტუ მეგრელის ეს გამოსვლა პოეტისა და მწერლის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე წარმოთქმული მსჯავრია ლიტერატურულ კრიტიკაზე (იგი 1938 წელს გარდაიცვალა), რომელმაც სამსჯავროზე დააყენა ქართული სიტყვის ისეთი გოლიათები, როგორიც იყვნენ მიხ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, კ. გამსახურდია და მრავალნი.

ქართული სალიტერატურო კრიტიკის ტენდენციურობაზე ჯერ კიდევ 1896 წლის „კვალში" საუბრობდა დუტუ, იგი შენიშნავდა: "თუ ერთი მხრით, ჩვენს სიტყვაკაზმულ სალიტერატურო კრიტიკას ჯერაც ვერ მოუკიდია ფეხი; ჯერაც კი არ დამყარებულა იგი მკვიდრ ნიადაგზე. ამნაირად ჩვენი ლიტერატურა თავიდანვე ნაკლულევანი დაიბადა: სიტყვაკაზმულ ლიტერატურას თან არ დაჰყვა შესაფერი სალიტერატურო კრიტიკა, რომელსაც უნდა აეხსნა იგი ქართველი საზოგადოებისთვის... რატომ მოხდა ეს ამბავი?" – კითხულობს დუტუ მეგრელი

და თავიდანვე პასუხობს, რომ „შემარიტი კრიტიკა „უდრის პოეტურ შემოქმედებას", ხოლო არსებობს "მეორენაირი კრიტიკა, თუ შეიძლება ეს სახელი ვუწოდოთ, (მასზე) უადვილესი არა არის რა, რადგან ამნაირი მწერლის მიმართულება და პოეტურ შემოქმედების ხასიათი თვითონ კრიტიკოსს, ან აქებს და ზეცამდე აჰყავს მისი ნაწარმოები, ან აძაგებს და მიწასთან ასწორებს უსაბუთოდ, ცარიელი სიტყვებით.. "

სწორედ ლიტერატურული კრიტიკის ამგვარმა პარტიულმა, თუ ჯგუფურმა ტენდენციებმა წარმართეს ქართული აზრი შინაგანი რყევის, ურთიერთგამომრიცხავი იდეოლოგიისკენ და ეროვნული სულისკვეთება დროის სულისკვეთებით ჩაანაცვლა, რასაც მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ებრძოდა ლიტერატურაში დუტუ მეგრელი

როგორც დუტუს ზემოთმოყვანილ გამოსვლაში ვნახეთ, ლიტერატურული კრიტიკა მას ურთიერთგამომრიცხავ ლიტერატურულ სკოლას, თუ მიმდინარეობას (მიმართულებას) აკუთვნებდა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში და შემდგომად მისი გარდაცვალების მერეც. მას გამუდმებით წინაღუდგებოდა და დღემდე ნაცარს აყრის ის კოსმოპოლიტურ-ათეისტური იდეოლოგიის სხვადასხვა განშტოება, რომლებმაც სამოციანელთა გზის წარხოცვა სცადეს და ყოვლითურთ დაამცრეს, მიჩქმალეს ამ გზას შედგომილი მოღვაწეები.

დუტუ მეგრელის წინააღმდეგ სხვადასხვა ფორმით გამოდიოდა კრიტიკა: ზოგი „ეპიგონედ", ზოგი „პროტოკოლისტად", ზოგიც (სიმბოლისტები) თერგდალეულთა სკოლის „კარიკატურულ სახეში" მოიაზრებდა ილიასა და აკაკის სკოლის მიმდევართ; საბჭოთა კრიტიკოსთა უმრავლესობა დუტუს შემოქმედებას „ხალხოსანთა" და ზოგიც „ნატურალისტთა" სკოლის წარმომადგენლად თვლიდა და უახლესი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოებშიც ასევე იხსენიება... უმეტეს შემთხვევაში კრიტიკა დუმდა საუკუნეთა მიჯნაზე და დღესაც სულაც გვერდს უვლის მის სახელს, როგორც სახელმძღვანელო, ასევე ცალკეული გამოკვლევებში XIX-XX საუკუნის მწერლობისა

მაშინ, როცა დღესაც დიდი ადგილი და ცალკეული თავები ეთმობა ეგნ. ნინოშვილის, იროდიონ ევდოშვილის, შიო არაგვისპირელის, ანასტასია-ერისთავ ხოშტარიას (დუტუს მეუღლე) არაფრით აღმატებულ ნაწარმოებებს, რომელნიც სულ ერთად შეკრებულნი, ესრეთ გადასწონა დუტუ მეგრელის ერთმა ლექსმა „მე პატარა ქართველი ვარ", რომ კრიტიკოსთა და სასწავლო სახელმძღვანელოებისგან დღეს ზურგშექცეული ლექსი ყველა ოჯახის, ყოველი ნორჩისთვის ლამის ჟმაწვილთა ენის გასატეხ ლექსად არის ქცეული. სწორედ ტენდენციური კრიტიკის წყალობით, არა თუ მრავალი პროზაული თუ პოეტური შედევრი დარჩა დარაბებს მიღმა დუტუ მეგრელისა, არამედ ქართული კლასიკური ლიტერატურის მშვენებაც კი „მე პატარა ქართველი ვარ", სრული სახით არ შემოუნახა მოზარდებს (ცერძოდ, ლექსის მესამე და მეოთხე სტროფი საბჭოთა სახელმძღვანელოებიდან ამოღებულ იქნა და ასე შეკვეცილი სახით ახსოვს დღეს იგი ხალხსაც). აი, ეს ორი "უცნობი" სტროფი:

„ქვეყნის თვალის ეს ქვეყანა
ღვთისმშობლისა არის წილი;
ბევრ მწარე დღეს მოსწრებია
და უნახავს ბევრიც ტკბილი.

ხან თუ მტერი აოხრებდა,
იყო მღვრელი ცრემლის ცხარის,
ბრწყინვალე დღეც დადგომია,
დრო დავითის და თამარის!"

დუტუს შემოქმედებაზე კრიტიკის დუმილის ტენდენციამ თვით იპოლიტე ვართაგავაც კი გააკვირვა („თვითო" ვამბობთ, რადგან მისი დამოკიდებულება საოცრად წინააღმდეგობრივია დუტუს შემოქმედებისადმი, მისი აზრით, „დ. მეგრელი "მუშა მწერლების" ადგილს უნდა დასჯერდეს ქართულ ლიტერატურაში, ი. ვარტაგავა უწუნებს პოეტს ფორმას და დეკლარაციულ-პუბლიცისტურად მიაჩნია მისი თხზულებები, ხანაც (ცალკეული ნაწარმოებების განხილვისას)

აღტაცებულია მისი ოსტატობით, თემისა და იდეის სიმწვავით, ფსიქოლოგიური ხედვით... იპ. ვართაგავა აღნიშნავს: "მართლაც, ქართული კრიტიკა არ ეხმაურებოდა დ. მეგრელის შემოქმედებას. თუმცა 1911 წელს გამოვიდა მისი ნაწერების კრებული ორ ტომად, მაგრამ არც ერთ გაზეთში და ჟურნალში არ დაბეჭდილა მოკლე რეცენზიაც კი. მე პირადად გამაკვირვა პრესის ასეთმა გულგრილობამ მისი ნაწერებისადმი: ვფიქრობდი, ნუთუ იმდენად ცუდია, იმდენად მოკლებულია მხატვრულ ღირებულებას და, საერთოდ, ყოველგვარ მნიშვნელობას მისი ნაწერები, რომ ღირსიც არ არის მათი გამოქვეყნების აღნიშვნა?.." (იპ. ვართაგავა, „ქართული მწერლები; სილუეტები", გვ 65). ვართაგავა ამავე წერილში თავის ვარაუდსაც გამოთქვამს ხსენებულ საკითხზე. "სჩანდა, რომ კიტას გალაშქრებას დ. მეგრელის წინააღმდეგ გავლენა მოუხდენია და ერთგვარი შეხედულება შეუქმნია მის შესახებ..." ვართაგავას ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიიდან მოყოლებული და შემდგომ ოდესის უნივერსიტეტით დამთავრებული, კიტა და დუტუ უახლოესი მეგობრები იყვნენ. დუტუ მეგრელის არქივში დაცულია ათზე მეტი წერილი კიტა აბაშიძისა დუტუსადმი, სადაც ლიტერატურულ თუ პირად საკითხებზე გულგახსნით საუბრობს; თავის მხრივ, დუტუს მეგობრებისადმი (კიტას) სამი ლექსი აქვს მიძღვნილი, შემდეგ კი... მათ შორის კამათი პრესის ფურცლებზეც ჩნდება (კიტას წერილი "ზმა ახლოდამ" და დუტუსი – „სალიტერატურო შენიშვნები")... მაგრამ, რა თქმა უნდა, რომ ეს ერთ კერძო შემთხვევად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, რომ არა კიტა აბაშიძის პარტიულ-ლიტერატურული კონცეფციები. როგორც ცნობილია, კიტა სოციალ-ფედერალისტთა მოსაზრებებს იზიარებდა და იგი პარტიულ ბრძოლებშიც აქტიურად იყო ჩაბმული; ხოლო მისი ლიტერატურული მსოფლმხედველობა ფრანგი კრიტიკოსის ფერდინანდ ბრიუნეტიერის „ევოლუციურ მეთოდს" ემყარებოდა, რომელიც დარვინისტულ მატერიალიზმს ემყარებოდა.

კიტა აბაშიძის სახელთან იმისთვის შევჩერდით, რომ პროფესიონალური კრიტიკა მის ასპარეზზე გამოსვლას უკავშირდება და უმალ იმსჭვალება ერთიცა

და მეორეც სოციალისტური ათეიზმით, სოციალისტური კრიტიკა, რაკიღა ილიასა და აკაკის ფესვმაგარ სულიერებას ძვრასაც ვერ უზამს, მის ტოტებს მიჰყოფს ხელს, რომელთაგანიც იყო დუტუ მეგრელი, უიარაღო და სხვა....

90-900-იანი წლების კრიტიკისათვის უცხო არ იყო გარკვეული კატეგორიის მწერლებისთვის „შავი ზეწრის", „უჩინმაჩინის ქუდის" გადაფარება, როგორც ამას მოსწრებულად შენიშნავს ვაჟა-ფშაველა, თავისი ძმის ბაჩანას დასაცავად გამოქვეყნებულ წერილში „ჩვენი უმადურობა" წერილში ვაჟა გულისტკივილს გამოთქვამს იმაზე, რომ მწერალთა ერთ ნაწილს უღირსად პატივს მიაგებენ, ხოლო მეორეთ – ივიწყებენ. ამის მიზეზის განსჯას ვაჟა მკითხველს მიანდობს, ხოლო თავად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ: „არც დიდად საჭიროა ზიზილ-პიპილოები იმისთვის, **ვინც ერთგულია თავის ერის, ვინც ჩუმად მოღვაწეობს, ვინც ცდილობს თავის მცირე ძალ-ღონით ქვეყანას რამე არგოს...** ხოლო ერისთვის, მკითხველი საზოგადოებისთვის არ არის ერთი – თეთრი და შავი, არ არის სასიამოვნო; ერთს მოღვაწეს დაფნის გვურგვინს ადგამენ, ხოლო მეორეს არა თუ იმაზე მეტს, არანაკლებს არაფრით, **შავ ზეწარს აფარებდე, უჩინმაჩინის ქუდსა ჰხურავდე...**" (ხაზი ჩვენი – ნ.ლ.) ასე გამოხატა ვაჟა-ფშაველამ სამართლიანი გულისტკივილი იმ დუმილისთვის, კრიტიკის იმ დაუმსახურებელი უგულებელყოფისთვის, რომელსაც იგი ღირსეულ მწერლებზე „შავი ზეწრის გადაფარებას" და „უჩინმაჩინის ქუდის დახურვას" უწოდებს და რომელსაც დღემდე ეწევა ლიტერატურული კრიტიკა ამა თუ იმ ტენდენციის გამო. სამწუხაროა, რომ დუტუ მეგრელისთვის „შავი ზეწრის" გადაფარებაში მის ახლო მეგობარს და 900-იანი წლების კრიტიკული აზრის მეტრს კიტა აბაშიძესაც მიუძღვის წვლილი. იგი ათეიზმით გაჯერებულ ევროპული ბომონდის სათავეებთან მდგომი, არა მარტო დუტუ მეგრელის, არამედ თავად ვაჟას, ყაზბეგისა და სხვათა შეფასებაშიც დაბრკოლდება. კრიტიკოსი შალვა რადიანიც აღნიშნავს: „კ. აბაშიძის კრიტიკულ წერილებში შეინიშნება გაუმართლებელი ტენდენციურობა. მას ან ცამდის აჰყავს მწერალი, ან მიწასთან ასწორებს" (XX

ს., ქართ. ლიტ.).

სავალალოა, რომ დუტუს და კიტას მეგობრობა პარტიულ-იდეურ ბრძოლას ემსხვერპლა, რის გამოც ყოფილი მეგობრები მტრები ხდებოდნენ და მტრები – მეგობრები. კიტა აბაშიძის დუტუსადმი გაგზავნილი წერილებიდან ცხადი ხდება, რომ მათი მეგობრობა მეტი იყო, ვინემ პროფესიონალური ერთობა, რომ ისინი სასაუბრო თემას არ არჩევენ, არამედ ღიად საუბრობენ ყველაფერზე, რაზეც ძმას და მეგობარს შეიძლება ესაუბრო. ერთ-ერთ წერილში კიტა წერს დუტუს: „...დადგა ახალი წელი და რა? თავიდან ფეხებამდის იგივე დავრჩი, რაც ქუთაისიდან წავედი, ერთი მხოლოდ ფეხსაცმელი გამოვიცვალე, იგივე სერთუკი, იგივე ჟილეტი და იგივე პერანგი. გული? გულიც იგივე მოყვარე თავის ამხანაგებისა და მეგობრებისა სიგიჟემდის, რომელთაც ბოდვათ მიაჩნიათ თავისივე გაგიჟებამდის სიყვარული სამშობლოისა... ჩემი მიზანი გინდა შეიტყო? – ნუთუ არ იცი? ნუთუ კითხვა გჭირია? მაშ, გეტყვი, მარა გარეშე ყოვლის ფლიდობისა, არამედ პატიოსნის თრთოლვით და აღტაცებით: „ჩემი მამულის სიკვდილისგან გამობრუნება“... უნდა მოვიპოვო ის აზრები, ცოდნა, რომელიც ჩვენის ავადმყოფისთვის არის საჭირო და უნდა წიხლი ვკრათ დედაბერ-ექიმებს და ჯადოებს, რომელნიც ტყუიან და უფრო უსწრაფებენ სიცოცხლეს ჩვენს ავადმყოფს... ხალხი იღვიძებს...“ (ლიტ. მუზეუმი, დ. მეგრელის არქივი, 6229-32).

სწორედ ამ “ხალხის გამოღვიძებას”, პარტიულ-დასურ დაყოფას შეეწირა დუტუს და კიტას მეგობრობა. რომელიც კიტას ერთ-ერთი პირადი წერილიდანაც კარგად ჩანს, რომელშიც იგი წერს. „გუშინ, როგორც ჩამოველ აქა, მაშინვე შენი თხზულებები ვიყიდე. ჩემი აზრი შენ ყველა ამ მოთხრობაზე კარგად იცი, ყველას კი, ქინაქინა“ მირჩევნია.. აი, შენს ტალანტს „ქინაქინა“ უფრო შეფერის“. და შემდგომ უკვე, მიუხედავად მის მიერ დუტუ მეგრელის მწერლური ღირსების აღიარებისა იგი უკვე ხელაღებით იმეტებს და წყალს ასხამს დუტუ მეგრელის, როგორც მწერლის სახელს: “მუხლმოდრეკილიც, რომ ვეხვეწო, არც დეკანოზიშვილი და არც ზურაბიშვილი არცერთი, ბატონ დუტუ მეგრელის

„თხზულებას“ ხელს არ მოაწერენ“. ანდა ამგვარ უსამართლო დასკვნას აწვდის მკითხველს დ. მეგრელის მთელს შემოქმედებაზე (რომელზედაც ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ ვრცლად): „ბ დუტუ მეგრელის ნაწარმოებები ნინოშვილის მოთხრობების ტიპის ძლიერ სუსტი და მკრთალი წარმომადგენელია და მათი მიბაძვაა... იგი არ მიმაჩნია ნიჭიერ და ორიგინალურ მწერლად... ჩვენ დიდებულ მოღვაწეთა ბიოგრაფია რომ გამოიცეს, მგონი იმის სახელს მათ რიცხვში არავინ შეიტანს“. აი, ამგვარი განაჩენი გამოუტანა კ აბაშიძემ XIX ს. თვალსაჩინო, ერისთვის მოამაგე მწერალს – დუტუ მეგრელს (კ. აბაშიძე „ცხოვრება და ხელოვნება“, თბ., 1977წ.). ყოველივე ზემოთქმულის საპასუხოდ კი დუტუ წერს: “შევნიშნავ მხოლოდ, რომ ჩემი „სურათები ხალხის ცხოვრებიდან” (ალბათ ამათზე ლაპარაკობს კიტა აბაშიძე) შეუძლებელია ეგნ. ნინოშვილის მოთხრობების მიბაძვა იყოს, რადგან სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უფრო ადრე არიან დაწერილნი და დაბეჭდილნი უკანასკნელზე, რაც დარწმუნებული ვარ, რომ კარგად უნდა მოეხსენებოდეს თვით კიტა აბაშიძეს“ (გაზ „ცნობის ფურცელი“, 1901 წ., №1390).

როგორც საბჭოთა პერიოდამდე, ასევე საბჭოთა პერიოდის პარტიული კრიტიკა დუტუ მეგრელს განიხილავს, როგორც “ზალხოსნური” და „ნატურალისტური“ სკოლის წარმომადგენელს, რაც სრულიად საფუძველს არის მოკლებული. ზემოთმოყვანილი დუტუს შეხედულება „ნაროდნიკულ, ანუ ხალხურ მოძრაობაზე“ რომც არ გავიხსენოთ, ის მაინც უნდა ითქვას, რომ ხალხოსან მწერალთა ძირითადი მახასიათებელი არის სოფლის, გლეხობის გაიდეალება (მსგავსად რუსი „ნაროდნიკებისა“) ხალხოსნები მათი გაუსაძლისი ცხოვრების მიზეზს ხელისუფლებაში ხედავდნენ და მოუწოდებდნენ კიდეც მის წინააღმდეგ, ასეთნი იყვნენ ქართულ ლიტ-ში: მელანია (ნ. ნათაძე), ნ. ლომოური, განდეგილი, სოფრომ მგალობლიშვილი, ეკ. გაბაშვილი... დ. მეგრელის შემოქმედება კი პირიქით – ერთნაირად ამხელს, როგორც თავადაზნაურობას, ასევე ბურჟუაზიის და მეტადრე გლეხის ზნეობრივ-სულიერ დაცემას. მისი შემოქმედება არც სოციალურ საკითხს არ მოიაზრებს ქართველი კაცის გაჭირვების მიზეზად (ამაზე ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ).

ყველაზე უფრო საკვირველია კიტა აბაშიძის მიერ და მის კვალდაკვალ შალვა რადიანისა და საბჭოთა კრიტიკისაგან დუტუ მეგრელის ნატურალისტ მწერლად გამოცხადება იმგვარად, რომ ვერც პირველს განუმარტავს ნატურალიზმის რაობა და ვერც მისი აზრის გამზიარებელ შ. რადიანს და სხვა ლიტერატურის ისტორიკოსებს გადაუსინჯავთ მათეული „ლიტგანაწესი". უნდა ითქვას, რომ კიტა აბაშიძისეული თვალსაზრისი რეალიზმისა და ნატურალიზმის შესახებ სამართლიანად გააკრიტიკა დ. გამეზარდაშვილმა: „ერთი სიტყვით კ. აბაშიძე არც ცდილობს არსებითი განსხვავება მონახოს რეალიზმისა და ნატურალიზმს შორის, იგი ამ ცნებებს ხშირად სინონიმებად ხმარობს და ამბობს, მაგალითად: „ეს არის ძირითადი თვისება რეალიზმისა, ან უკეთ ვთქვათ ნატურალიზმისა ხელოვნებაშიო, „აგრეთვე ს. ჰილაიამაც შენიშნა კიტას მიერ ნატურალიზმისა და რეალიზმის მიმართულებათა აღრევა და დასტურად მოჰყავს კიტას გამონათქვამი: „გ. წერეთელი შეიქმნა ჩვენს ლიტერატურაში გადაგვარებული ნატურალიზმის, უკეთა ვთქვათ **თავისებური ნატურალიზმის** წარმომადგენელი და როგორც ეგრეთმა, ლიტერატურული მიმდევრები შექმნა (ნინოშვილი, დ. მეგრელი, დ. ერისთავი)". ამავე ნიშნით განსაზღვრავს და მიათვლის „ნატურალისტურ" სკოლას შალვა რადიანი დუტუ მეგრელს: „90-900-იანი წლების **თავისებური სახეობა**, რომლის წარმომადგენლები იყვნენ მელანია (ნ. ნათაძე), დ. მეგრელი (დ. ხოშტარია), ნ. აზიანი (დონდაროვისა), განდეგილი (დ. მდივანი), დ. თომაშვილი (ოყროშიძე), ი. ნიკოლაიშვილი — ისინი თავიანთი ნაწაროების თემად ჩვეულებრივად იღებდნენ საზოგადოების დაბალი ფენების ცხოვრებას. ისინი იძლევიან მრავალ ყოფით დეტალს, მაგრამ როგორც საერთო წესი, ვერ სცილდებიან მხატვრული ასახვის საშუალო დონეს და პლატონურ (ანუ შორით ტრფობას) თანაგრძნობას ხალხისადმი და თანამიმდევრული დასკვნის გამოტანას. მათი შემოქმედება განმსჭვალულია სენტიმენტალური სულისკვეთებით".

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ არც „საზოგადოების დაბალი ფენების ცხოვრების თემა" და არც „მხატვრული ასახვის საშუალო დონე" არ

არის ნატურალიზმის მახასიათებელი. ამ პრინციპით ნატურალზმის ფუძემდებელი ლიტერატურაში ე. ზოლაც „მხატვრული ასახვის საშუალო დონეს" უნდა მივაკუთვნოთ, მაგრამ შ. რადიანისეულ ციტატაში იკვეთება ის უმნიშვნელოვანესი მიმართება დუტუ მეგრელისადმი, რითაც განისაზღვრება მარქსისტ-სოციალისტთა თუ ათეისტური მსოფლმხედველობის სხვა მიმართულების დაჯგუფებათა მიერ დუტუ მეგრელის უგულებელყოფა – ეს არის დუტუს შემოქმედების არა სოციალისტურ-ათეისტურ პოზიციაზე დგომა და ეროვნულ-სარწმუნოებრივი გზით ქართული ცნობიერების განმტკიცება. სწორედ ამას საყვედურობს დუტუს და ნატურალისტ მწერლებს შ. რადიანი: „ვერ ახერხებენ მკვეთრი პროტესტის და თანამიმდევრული დასკვნის გამოტანასო", ანუ – დუტუ ვერ ახერხებს ეგნატე ნინოშვილის „ჯანყის", იროდიონ ევდოშვილის „ნაჯახისა" და „ჩახმახის გამოკვრის" ქადაგებას და „ვერ ახერხებს დასკვნის გამოტანას" – რომ ქართველი ერის „ხსნის" ერთადერთი გზა არის რევოლუცია?

მაგრამ რევოლუციურ ფასადს მიღმა სხვა ვითარებაა. 90-900-იანი წლების ლიტერატურული აზრის სადავე კვლავაც სამოციანელებს და მის მეკვიდრეებს უპყრიათ, რომელთა რიგშიც იმკვიდრებს ადგილს დუტუ მეგრელი; დ. მეგრელი არის რეალისტური სკოლის გამგრძელებელი და როგორც იდეურად, ასევე მხატვრული ფორმებითაც იგი ილიას, აკაკის, გოგებაშვილის და სხვათა ღირსეული მემკვიდრეა. ამიტომაც მან მთელი სავსებით უწყოდა, რომ ლიტერატურა, მწერლობა ქართული სინამდვილისთვის კიდევ მეტი იყო, ვინემ აზროვნების სპეციფიკური მხატვრული სფეროს გამოხატულება, რომელიც არა მარტო რომელიმე ჯგუფის კერძო ინტერესს უნდა აკმაყოფილებდეს, არამედ იგი ერთ დიდ საკითხს – საქართველოს ისტორიულ ბედს უნდა გამოხატავდეს, რომელიც თავისი არსებობის გარდამტეხ პერიოდში შედიოდა. სწორედ ეს აზრი იყო მისი შემოქმედების წარმმართველი ძალა, რასაც იგი ასე ნათლად გადმოგვცემს: "ჩვენს მდგომარეობაში ჩავარდნილი ერისთვის ერთი უმთავრესი იარაღი, გარემო ვითარების საწინააღმდეგო ბრძოლაში, თვითარსებობის დასაცავად, არის

ლიტერატურა, დედაენაზე მწერლობის განვითარება, გაძლიერება – დაივიწყეთ ქართული ენა, მოსპეთ ქართული ლიტერატურის განვითარება და საქართველოც მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინიღა იქნება!" („ივერია", 1893 „დროა!")

ლიტერატურის დანიშნულების ამგვარი ხედვით მოღვაწე ქართული საზოგადოება სიცოცხლეშივე პატივს მიაგებდა დუტუ მეგრელს, რომელსაც ფართოდ უღებდა რედაქციის კარს ილია ჭავჭავაძე და იმ დროის ყველა რედაქცია. დუტუ ზემოხსენებულ გამოსვლაში იგონებს, თუ როგორ გამოუგზავნა ილიამ საპასუხო წერილი დუტუს: „თქვენს ნაწერებს დავბეჭდავთო!" და ამით აღფრთოვანებული დუტუ ამბობს: „ესაა ჩემთვის მთავარი" ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ წერილში ეხმიანება დუტუს წერილს „ხმა შორიდან".

იაკობ გოგებაშვილმა ლექსი „მე პატარა ქართველი ვარ", „ბუნების კარში" და „დედა ენაში" შეიტანა; მიუხედავად მარქსისტ-სოციალისტებთან განსხვავებული პოზიციისა, „კვალის" რედაქცია სისტემატურად ბეჭდავს დუტუს მხატვრულ, თუ პუბლიცისტურ ნამუშევრებს; ასევე მუდმივი ავტორია დ. მეგრელი „თეატრის", საბავშვო გამოცემის „ჯეჯილისა" და „ნაკადულისა".

1893 წელს მისი ლექსების კრებული „ცრემლები" გამოიცა თბილისში, რომლის გამომცემელიც დუტუს ახლობელი პეტრე გილეიშვილი იყო (რომელიც შემდეგ დიდ ინიციატივას იჩენს უსამსახურო დუტუ მეგრელის ნარჩევან-ოლთისში სამსახურში ჩაყენებისთვის, თუ მისი ნებსითი განსახლებისთვის – ეს კიდევ ცალკე საკითხია). დუტუს პირველ წიგნს უმალ გამოეხმაურა „კვალის" რედაქცია: „დუტუ მეგრელი, როგორც ახალგაზრდა მწერალი შესამჩნევია თავისი ნიჭით. მას არ აკლია პოეტური აღტაცება, მაგრამ... დუტუ მეგრელის ფორმა ჩარჩენილია ძველსა და ახალს შორის ერთი უაღრესი ღირსება დუტუ მეგრელის ლექსებისა ისიც არის, რომ მკითხველს მხნეობას ულვიძებს, უფრო გაბედულს მოქმედებისთვის".

დუტუ მეგრელის შემოქმედებას დიდ ხოტბას ასხამს ასევე განსხვავებული მსოფლმხედველობის კრიტიკოსი ივანე გომართელი, რომელიც დუტუსადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: „დიდად პატივცემულო, ძმაო დიმიტრი... რამდენიმე

კაცმა შევადგინეთ ამხანაგობა იმ მიზნით, რომ სიტყვაკაზმული კრებული გამოვცეთ. პირველი იანვრიდან შევუდგებით ბეჭდვას. კრებულს გამოვცემთ დრო და დრო, შეიძლება თვეში ერთხელ... ჩვენი ცნობილი მწერლების ნაწარმოებებს, ჩვენი მოწონება აღარ ესაჭიროება იმათ საზოგადოება აფასებს. ჩვენ კი რაც უნდა გამოგვიგზავნოთ ცახელმა, დედაბრიშვილმა და სხვა, უსათუოდ დავბეჭდავთ. პირველ კრებულში უნდა იყოს თქვენი და თქვენი მეუღლის ნაწარმოებები და სხვა ჩვენი ცნობილი მწერლების, რომ პირველ კრებულითვე მოვიგოთ საზოგადოების გული...“ (ივ გომართელი. დ მეგრელის ფონდი 6355).

აღსანიშნავია, რომ დუტუ მეგრელის შემოქმედება აღიარა თვით ისეთმა მკაცრმა მსაჯულმაც კი, როგორიც იყო გერმანელი მეცნიერი არტურ ლაისტი, რომელმაც გერმანულ ენაზე თარგმნა დუტუ მეგრელის ლექსები და ქართველ კლასიკოსთა პოეზიის გერმანულ ენაზე გამოცემულ კრებულში შეიტანა (ამ ცნობას დუტუ მეგრელი მწერალთა ზემოთხსენებულ სესიას აწვდის. ამჟამად ჩვენ ეს კრებული ვერ მოვიძიეთ – ნ.ლ.).

დუტუს შემოქმედებისადმი დიდი პატივგებით არის გამსჭვალული თედო სახოკიას პირადი წერილები, რომლებშიც თედოსა და დუტუს თანამოაზრეობა და თბილი ურთიერთობა ცხადდება. დ. მეგრელის პირად არქივში მრავალი თხოვნისა თუ მილოცვის ბარათია დაცული, სადაც იგი ხან ატმის ნერგებს სთხოვს მეგობარს, ხან დახმარებას, ხშირად კი დღესასწაულებს ულოცავს.

ეროვნული და ლიტერატურული თანამოაზრეობა იკითხება დუტუ მეგრელის პირად არქივში შემონახული (ლიტ., მუზეუმი, №14710-6) წერილიდან, რომელშიც დუტუ უახლესი ქართული ლიტერატურის სიამაყეს დავით კლდიაშვილს დაბადების დღეს ულოცავს:

„ძვირფასო დავით,

ავადმყოფობა მაიძულებს მხოლოდ წერილით მოგილოცო ეს დღე, როცა მადლი და მადლობა შენის და საქართველოს საზოგადოების სახით ერთხელ კიდევ ასე ღირსეულად ხვდებიან ერთმანეთს. დღევანდელ დღესასწაულს კიდევ

უფრო ასხივოსნებს ის გარემოება, რომ დღეს თავისუფალი საქართველო უკვე ყველასგან ცნობილია და მხოლოდ ერთი პატარა ჩრდილი ჰმურავს მას; სახელდობრ, რომ საქართველოს განთავისუფლებასთან მისი გაერთიანება არ არის განხორციელებული და მის საზღვრებში არ შემოდიან არამც თუ ლაზისტანი, თვით აჭარა – ქობულეთიც კი – ბათუმით; იმ ბათუმით, რომელიც ასე საფასურელია ყოველი ქართველისთვის და მით უმეტეს შენთვის, რადგან უმეტესი შენი ცხოვრება იქ გაგიტარებია... დღევანდელი დღის განმეორება ჩვენს ბათუმში მომხდარიყოს, ის საქართველოს საზღვრებში დაბრუნების დრესასწაულთან ერთად.

15 თებერვალი 1920 წ., თბ., შენი მარადის დუტუ მეგრელი".

ცალკე წერილები უძღვნეს დუტუს შემოქმედებას სტეფანე ჭრელაშვილმა, ივ. გომართელმა, იპ. ვართაგავამ, რომანოზ ფანცხავამ, ი. ნიკოლაძემ, ალ. გარსევანიშვილმა, ალ. ხახანაშვილმა; რუსულ ენაზე დუტუს მოთხრობები თარგმნა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ გრ. ვოლსკიმ, ალ. გარსევანიშვილმა; ხოლო სომხურ ენაზე მისი მოთხრობები თარგმნა ლ. კარაპეტიანმა.

მეტადრე უნდა გამოვყოთ დუტუ მეგრელის შემოქმედებითი ღირსების ყველაზე უფრო მიუკერძოებელი და ზუსტი სულიერი მეგობრის შალვა დადიანის პირად წერილებსა თუ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, სადაც დუტუ მეგრელის შემოქმედებითი პორტრეტი მთლიანდება.

როგორც დუტუს ავტობიოგრაფიიდან, ასევე თანამედროვეთა მოგონებებითაც დასტურდება, დუტუ სიყრმისას დედასთან ერთად შალვა დადიანის ოჯახში ცხოვრობდა და დუტუს სწავლა-განათლებაში, ასე ვთქვათ, "საზოგადო ასპარეზზე" გამოსვლაში სწორედ შალვას მამას, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ნიკო დადიანს მიუძღვის ლომის წილი.

ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებულ ქართული პროზისა და დრამის სვეტს – შალვა დადიანს სარცხვენლად და სამხილებლად საბჭოთამდელი, თუ საბჭოური ტენდენციური კრიტიკოსებისა და პატივსაგებად დუტუ მეგრელის

შემოქმედებისა, 1938 წელს ,,ლიტერატურულ საქართველოს'' №-ში გამოუქვეყნებია ნეკროლოგი სათაურით ,,რეალისტი მწერალი''. ანუ მან სათაურშივე ხაზი გადაუსვა დუტუ მეგრელის შემოქმედების განმჭიქებელთა მიკიბულ-მოკიბულ "ლიტერატურჩინას" და განაცხადა, რომ დუტუ მეგრელი რეალისტური მიმართულების მწერალია, .რასაც იგი წერილში ასაბუთებს: ,,...იგი მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგიით ეკვეთა მდორე ცხოვრებას, პირველმა მან დასცა ყიჟინა... მანვე აღშფოთებულმა იმდროინდელი დუხჭირი ცხოვრებით და გულმოკლულმა თავის,,განმარტოებულის'' უძლურებით, მიმართა ცრემლებს და ამ ცრემლებს ამოაყოლა მძლავრი პროტესტი: ,,ოჰ, რად არ ძალმიძს მთლად ცრემლად ვიქცე...'' მისმა ლექსებმა მაშინდელ ახალგაზრდობაში მოიპოვა პოპულარობა. ხალხმა დაიწყო სიმღერა ამ ლექსებისა, ბავშვებმა კიდევ დეკლამაცია ,,მე პატარა ქართველი ვარ'' დ. მეგრელი თავის ნაწერებში თითქოს პესიმისტურია და ხშირად მიმართავს ცრემლებს და კვნესას, მაგრამ იმედი მის გულს და გრძნობას მაინც არ შორდება. ის წერს ერთგან: ,,სამშობლოვ, რისთვის შეწუხებულხარ? ...ნუთუ არ იცი, რომ ეს დროც შავი, ვით წინანდელი, მალე გაჰქრება..'' მართალია ის აზრი, რომ მისი ლექსები, უწინარეს ყოვლისა აღვიძებდა ქართველ ხალხში ეროვნული განთავისუფლების თვითშეგნებას... ასეთივე იყო დ. მეგრელი პროზაშიც...

დუტუ მეგრელს აქვს აგრეთვე პუბლიცისტური წერილები სათაურით ,,ხმა შორიდან'', რომლებსაც აწერდა ოდიშარიას და სადაც თავისი დროის ე.წ. საჭირბოროტო საკითხები ჰქონდა საგნად...

საერთოდ კი იგი უსათუოდ მხატვრულ ლიტერატურაში გამგრძობი და დამამკვიდრებელია რეალისტური სკოლისა, რომელიც სოციალური მოტივებით არის გამსუფთებული. მის სახელს უსათუოდ მოიხსენებს საქართველოს ლიტერატურის ისტორია''.

ეს იყო მართალი სიტყვა ქართველ საზოგადო მოღვაწეზე, რომელიც შალვა დადიანმა თან წაატანა დუტუ მეგრელს, როგორც მწერალსა და პოეტს, და

რომლისკენაც საზოგადოების სწორი მზერა მიაპყრო; ხოლო როგორც ძმას და მეგობარს, იგი ესაუბრებოდა დიდი სიყვარულით, პატივითა და გულგახსნით. ყველა წერილი შალვა დადიანისა დუტუსადმი იწყება მიმართვით: „ძმაო, დიმიტრი!“ უსაზღვრო სიხარულსა ჰგვრის მას დუტუს ყოველი წერილი და ამ სიხარულს ყმაწვილური უშუალობით გამოხატავს: „ვერ წარმოიდგენ ჩემს გაკვირვებას და სიხარულს, როგორ მეამა შენი წერილი მშიერი კაცივით. კიდევ უფრო ცოდვად მივიჩნევდი შენთან ზეზეულად ბარათის მოწერას და სწორედ ამ დროს ვეძებდი თავისუფლებას, რომ დავმჯდარიყავი და დალაგებით ბევრ რამეზე შენთან მომელაპარაკა... ისე ბევრი მინდა ვილაპარაკო, რომ თავში ერთი სალაპარაკო მეორეს უსწრებს... ვერ ვასწრებ ქაღალდზე აღნუსხვას... ნუ იფიქრებ, რომ ლაქლაქი შემყვარებოდეს...“

ამგვარ სულიერ ძმობას პროფესიონალური ერთობაც განამტკიცებდა. შალვა დადიანი იმხანად ქუთაისის თეატრალური ამხანაგობის რეჟისორად დაუნიშნავთ, რაზეც იგი დუტუს ხუმრობით სწერს: „შენ თუ კარგი ადგილი გიჭირავს, მეც არა ვარ ნაკლები. პირიქით, ადგილით კიდეც გჯობივარ. შენ „ჩინოვნიკი“ და მე კი **“свободный художник”**-ი გახლავართ... თვალებდაბლეტილი ვარ ხელოვნების წიგნების კითხვით...“ სწორედ ამ დროს შალვა დუტუ მეგრელს ზედიზედ უგზავნის თხოვნის ბარათებს, რომ მისი პიესა „ძიძიშვილი“ ქუთაისის სცენაზე დასადგმელად გაუგზავნოს. როგორც ჩანს, დუტუ კარგა ხანს თავს იკავებდა, რაზეც შალვა დადიანი წერს: „ისევ შენ „ძიძიშვილსა“ გთხოვ... ერთხელ გთხოვე და სუსტიაო, მიპასუხე. ტყუილა გგონია, რამდენადაც მახსოვს სხარტული დაწერილია... ამ პიესაზე დიდი აზრისა ვარ. ერთი, რომ სულ ახალია ჩვენს ლიტერატურასა და დრამატურგიაში... მეორე, ბატონისა და ყმის დამოკიდებულება ფართოდა გაქვს დასურათებული, მესამე და უმთავრესი – პიესა თეატრალურად არის დაწერილი, ე.ი. ბევრი მოძრაობა, მოქმედება და თან მელოდრამული კილოც ახლავს. ამგვარი მანერა უყვარს თეატრს და ესეთი პიესა ყოველთვის მოსწრონს ხალხს“.

შალვა დადიანის წერილი აქ თითქმის სრულად მოვიყვანეთ, რადგან მისი, როგორც დრამატურგისა და თეატრალური მოღვაწის აზრი დ. მეგრელის დრამებზე (იგი სხვა პიესებსაც ასევე აფასებდა) უეჭველად უნდა გაითვალისწინოს ლიტერატურულმა კრიტიკამ და დღემდე გამოუქვეყნებელი დუტუს პიესები უნდა გამოიცეს.

ქართული ლიტერატურა ქრისტიანული კულტურის პირმშოა და ამდენად მისი ზეობისა თუ დაცემის ხანაც სწორედ ქრისტიანულ-ეროვნული ცნობიერების სიმტკიცე-სისუსტის იდენტურია; რასაც ქართული ლიტერატურის ისტორიაც ადასტურებს და ამა თუ იმ პერიოდის განხილვისას ხაზს უსვამს და გამიჯნავს ეროვნულ-სულიერ იდეოლოგიას – ხორციელ-მიწიერი უცხო იდეოლოგიისაგან.

დუტუ მეგრელი და მისი თაობის ახალგაზრდა მწერლები ლიტერატურულმა კრიტიკამ "დიაკვნის შვილებად" მონათლა, სწორედ ამგვარი ეპოქალური და იდეური მრწამსის მიჯნასთან, გზაგასაყართან აღმოჩნდა დუტუ მეგრელის თაობა, რომელთაგან ცოტამ აირჩია ტრადიციული, ეროვნულ-ქრისტიანული ცნობიერების სულიერი გზა, სახარებისეული სწავლებით „გზა იწრო" რომ ეწოდება; ხოლო მრავალნი კი გაჰყვნენ და მიჰყებიან დღესაც დროის სულისკვეთების „გზაფართოს", რის შესახებაც დუტუ მეგრელი წერს:

„მას ჰხვდა გზა სწორი და ფართო,
შენ – ვიწრო და ეკლიანი;
ის მოიმღერის სიცილით,
შენ მიჰკვნეს თვალცრემლიანი..."

(„ბედმწარეს")

საუკუნეთა გზაგასაყარზე დუტუ მეგრელი ცხოვრებისა და. შემოქმედების „ვიწრო გზას" ირჩევს და „ფართო გზას" შედგომილთ პოეტი მიუგებს:

„ამბობენ, შეგვაწუხაო
ამდენმა მოთქმა-ტირილმა!
საკვირველია!.. მაშ, რა ქნას,
იცინოს მამულიშვილმა?.."

(„ამბობენ შეგვაწუხაო")

დიმიტრი ხოშტარია ლიტერატურულ მოღვაწეობას იწყებს დუტუ მეგრელის

ფსევდონიმით. როგორც მისი მეგობარი შალვა დადიანი გადმოგვცემს: „შემთხვევით არ არის ფსევდონიმი დიმიტრი ხოშტარიას – დუტუ მეგრელი. ის XIX საუკუნის პირველი ქართველია სამეგრელოს კუთხიდან, რომელმაც თავისი ნიჭი უძღვნა მხატვრულ ლიტერატურას და თითქოს ამით გზა გაუკაფა თავის მიმდევრებს". შალვა დადიანის ამ განმარტებას ალბათ ისიც უნდა დაემატოს, რომ მწერალი თავისი ფსევდონიმით საქართველოს კუთხეებად დაყოფის მოსურნე დამპყრობელს წინ აღუდგა, რასაც თავისი შემოქმედებითაც ქადაგებდა. 1901 წლისთვის იყო მცდელობა, რომ სამეგრელოს კუთხისთვის მეგრული ანბანი შეექმნათ, სწორედ მაშინ გამოაქვეყნა დუტუმ ლექსი "მეგრელნო, ყური დამიგდეთ" და შეშფოთებული მიმართავს იმგვარი მკრეხელობის მზრახველს, რომელსაც, შესაძლოა, გული გაევლო: „რად ვიკითხავთ ქართულსა, როცა გვაქვს ჩვენი მეგრული!", მაგრამ ღრმად დარწმუნებული პოეტი სამეგრელოს კუთხეს მიმართავს:

„არა, არ იტყვით თქვენ ამას,
არ გაუხარებთ მტერს გულსა,
არ დაუჯერებთ იუდას,
სამშობლოს გამცემს, წყეულსა.
და მოიგონებთ იმ დროთა,
როცა თამართან მხნეობდით,
უსმენდით დიდსა ჭყონდიდელს,
რუსთველის ჩანგით სტკბებოდით!"

დიმიტრის მამა თომა შიოს ძე ხოშტარია სასულიერო წოდების აზნაურთაგანი იყო. იგი აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის წმიდა გიორგის ეკლესიის „სამღვდელო დიაკვანი იყო". სასულიერო განათლება თომას ნამარნევის მონასტერში შეუძენია იღუმენ ვენედიქტესაგან და კარგი ცოდნა მიუღია სასულიერო წიგნების, ხუცური წერა-კითხვის, გალობისა და ტიპიკონისა; ხოლო მარტვილის საკათედრო ტაძარში მღვდლის ეპიფანე გაწერელიასგან კატეხიზმო და მათემატიკა შეუსწავლია („ავტობიოგრაფიული შენიშვნები", დ. მეგრელის პირ. არქივი., ლიტ. მუზეუმი, 22438).

თომას მამა შიოც მღვდელი იყო და სამი ვაჟი ჰყავდა, რომელთაგან უმცროსს ამზადებდა სამღვდლოდ, მაგრამ იგი გარდაიცვალა და რადგან უფროს ვაჟს საჭირო განათლება არ ჰქონდა, თომას მიანდო სასულიერო მოღვაწეობა. თომა დიდი ყოყმანის შემდეგ გადაწყვეტს ამ გზაზე დადგომას და 1866 წელს მას დიაკვნად დაასხამენ ხელს. ამავე წელს თომა ჯვარს დაიწერს მარიამ გაგუაზე.

დიმიტრის (დუტუს) დედა თეო დადიანის მოურავის, გაგუას ქალიშვილი იყო, რომელიც დადიანის ქალთან ანასთან იზრდებოდა და როდესაც ანა აბაშიძეების ოჯახში (ზემო იმერეთში) გათხოვდა, მარიამიც თან გაჰყოლია. დადიანებთან მარიამს კარგად დაუსწავლია ხელსაქმე, საღმრთო წერილი, ძველი ქართული მწერლობა „განსაკუთრებით კი „ვეფხისტყაოსანიო" – ხაზგასმით აღნიშნავს დუტუ ავტობიოგრაფიაში.

თომას და მარიამს 1867 წელს ოქტომბრის 26 შეეძინათ ვაჟი დიმიტრი. ამავე წლის 13 იანვარს კი თომა გარდაიცვლება ფილტვების ანთებით. სწორედ იმხანად თომა მღვდლად უნდა ეკურთხებინათ.

ახალგაზრდა ქვრივი, მარიამი სუჯუნის ეკლესიაში მონაზვნად აღიკვეცება და ეკლესიასთან მცხოვრებ სუსა ხოფერიას სენაკში დაბინავდება, სადაც ჩვილ დიმიტრისაც თან წაიყვანს და თუმცა დიმიტრი დედის სურვილს არ აღასრულებს და ოჯახის სასულიერო მსახურების ტრადიციის გაგრძელებაზე უარს იტყვის, მაგრამ მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა ეროვნულ-სარწმუნოებრივი მრწამსის აღსრულებას მიუძღვნა.

დიმიტრის პირველი მასწავლებელი დედამისი იყო, რომელსაც შინაურობაში ყველა „დედუს" სახელით იცნობდა. მარიამმა შვილს შეასწავლა ხუცური წერა-კითხვა, სასულიერო და საერო საკითხავები... შემდეგ კი, როგორც დუტუ თავადვე იგონებს: "თითქმის დაბადებიდანვე მშობლიურ კერას მოკლებული, მე ვიზრდებოდი ხან სუსას სენაკში, სადაც მარცხენა ფეხის დამბლა მემართება და სამუდამოდ მაკოჭლებს; ხან – სხვადასხვა ნათესავ-მეგობრებს შეფარებული, მშობლიურ კერას მოკლებული კარიდან კარზე მოხეტიალეს, მუდამ შიშმა და

სხვის თვალში ცქერამ გული ადრევე გამიტეხა...“ შემდეგ კი იყო დადიანების ოჯახის დიდი თანადგომა (რაზეც ზემოთ უკვე ითქვა). დუტუ მათ შვილებთან ერთად, შინამასწავლებლებისგან იღებს განათლებას და ქართული ლიტერატურის დიდ სიყვარულს; ხოლო 1877წ. ნიკო დადიანის შუამდგომლობით იგი ქუთაისის გიმნაზიაში ჩაირიცხება და საცხოვრებლად პანსიონში გადადის, რის შესახებაც იგი წერს: „ძლივს კმაყოფილად ვგრძნობ თავს, რომ მეც სხვების თანასწორუფლებიანი ვარ პანსიონში“. გიმნაზიაში დუტუს მეგობრები იყვნენ: კიტა აბაშიძე, ნიკო თავდგირიძე, იოსებ ლორთქიფანიძე, ზაქარია მაჭავარიანი.

ფიზიკურად სუსტი, მაგრამ დიდი სულიერი ძალის მქონე დიმიტრი ხოშტარია სწავლას აგრძელებს ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც მან მრავალმხრივი განათლება მიიღო. ძალიან ბევრს მუშაობს დუტუ სტუდენტობის პერიოდში, რაშიც დედის თანადგომაც უწყობს ხელს, რომელიც თან ახლავს მას. ყველაზე ნაყოფიერი შემოქმედებითი პერიოდია ეს დუტუს ცხოვრებაში. იგი ზედმიწევნით ეცნობა, როგორც რუსულ, ასევე ევროპულ ლიტერატურას. ოდესაში მასთან ერთად სწავლობენ ცნობილი მოღვაწეები: გიორგი ლასხიშვილი, კოტე მესხი, ვასილ წერეთელი, კიტა აბაშიძე, რომანოზ ფანცხავა (ხომლელი), ვანო ელაშვილი, ზაქარია მაჭავარიანი.

ოდესის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში დუტუ სტუდენტურ მოძრაობაშიც აქტიურად ერთვება, რაც დედამისისთვის სრულიად მიუღებელია. მარიამს „ახალდროების პირმშო“ ახალგაზრდობის არც მსოფლმხედველობა და არც მათი ცხოვრების წესი არ მოსწონს, მასში „სტუდენტური არეულობა“, შფოთი და მღელვარება სრულ პროტესტს იწვევს. დუტუ ასე იგონებს ოდესის უნივერსიტეტში “სტუდენტურ შფოთს: „ოდესაში ხალისით ჩავები ქართველ სტუდენტთა წრის მუშაობაში... მაგრამ მალე მოხდა არეულობა, რომელიც გათავდა უნივერსიტეტის დახურვით. ამ არეულობასთან დაკავშირებით, რომელშიც უმთავრესად ქართველი სტუდენტები ვღებულობდით მონაწილეობას (მაშინ დაიჭირეს გ. ლასხიშვილი, კ. მესხი, ვ. წერეთელი), მომდის ლაპარაკი დედუსთან, რომელიც, რასაკვირველია,

წინააღმდეგია ჩემგან არეულობაში მონაწილეობისა". დედა-შვილს შორის კამათი მძაფრ ხასიათს იღებს და სწორედ ამ დროს იჩენს თავს დუტუს ფილტვების დაავადება. ისინი იძულებულნი არიან საქართველოში დაბრუნდნენ. შემდეგ კი, სასოწარკვეთილ დედას დუტუს ოდესაში გამგზავრება კატეგორიულად აღარ სურს... დუტუს ავტობიოგრაფიიდან ეს ვრცელი ეპიზოდი იმისთვის მოვიყვანეთ, რომ მოგვიანებით ამ თემას მოთხრობაში ("დაშორებულნი") წამოსწევს, რომელშიც მარადიული, ტრადიციული ფასეულობა დროის სულისკვეთების წარმავალ ფასეულობას უპირისპირდება. ის მსოფლმხედველობა, რომელსაც დუტუ მოგვიანებით განაჭიქებს, მისი დედისთვის, მონაზონი მარიამისთვის ადრევე საცნაური და მიუღებელი იყო – ეს იყო ათეისტურ-რევოლუციური სულისკვეთება. ამიტომ ცდილობდა დედა დუტუს სულიერი სენისგან ხსნას... მაგრამ დ. მეგრელი ამას მალევე აცნობიერებს და ოდესაში ოდენ სწავლის გასასრულებლად მიემგზავრება. დიპლომს მოგვიანებით, 1893 წელს იღებს ავადმყოფობის გამო.

სტუდენტობის წლები მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველაზე უფრო ნაყოფიერი და ცხოვრების ყველაზე ხალისიანი პერიოდია. მიუხედავად ხშირი ავადმყოფობისა, მას სულიერად აღაფრთოვანებს შემოქმედებითი წარმატება, რაც უმალ თან ახლავს მისი ნაწარმოებების გამოქვეყნებას. სალიტერატურო კრიტიკაც და მკითხველიც სიყვარულით შეხვდა მის ლექსებს, მოთხრობებს: „პატრიოტულად განწყობილ ახალგაზრდობაში მან დიდი რეზონანსი მოიპოვა, მახსოვს, თუ როგორი მოუთმენლობით მოელოდნენ თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეები ყოველ მის ლექსს... და გავლენიანი საზოგადო მოღვაწეები და მწერლებიც (ნიჭიერ ახალგაზრდა მწერლად სთვლიდნენ დ. მეგრელს; ჩვენი რედაქციები ფართოდ უღებდნენ მას კარს". (იპ. ვართაგავა, „კრიტიკული წერილები", I, „ცოდნა", თბ, 1958წ)

დ. მეგრელმა წერა ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს დაიწყო. მისი პირველი ლექსი „ნეტა ვიცოდე" დაიბეჭდა გაზეთ „თეატრში" 1886 წ. „ოტიას" ფსევდონიმით; ხოლო ოდესიდან დროებით სამშობლოში მობრუნებული პოეტი

1888 წელს „ივერიაში“ აქვეყნებს მისი შემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოთხრობას „საცოდავნი“. „ეს მაფრთოვანებს, რადგან მწერლობა ხორცს ისხამს და გამხნევებული მივდივარ ოდესაში“ – წერს მოგვიანებით დუტუ თავის ავტობიოგრაფიაში. ამ დროს დუტუ 21 წლისაა და აქედან მოყოლებული იგი „დუტუ მეგრელის“ ფსევდონიმით აქტიურად მოღვაწეობს თითქმის ყველა ქართულ პერიოდულ გამოცემაში.

1892 წელს მისი ნაწარმოებების პირველი კრებული გამოსცა ქუთაისის ამხანაგობამ სათაურით „სურათები ჩვენი ცხოვრებიდან“, ხოლო მეორე კრებული გამოსცა პეტრე გელეიშვილმა ამავე პერიოდში აქვეყნებს დუტუ მეგრელი უაღრესად საჭირბოროტო პუბლიცისტურ წერილებს „ხმა შორიდან“ და „დროა“ – პირველს გამოეხმაურა (როგორც უკვე აღვნიშნეთ) ილია ჭავჭავაძე, ხოლო მეორეს – ეკ. გაბაშვილი (პუბლიცისტიკაზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

„როცა ვერც ქუთაისში და ვერც თბილისში ვერაფერს გავხდი“, – წერს დ. მეგრელი, პეტრე გელეიშვილის დახმარებით იგი ყარსის ოლქის ოლთისის მაზრის გადასახადთა ისპექტორად ინიშნება. „გული მწყდება, რომ საქართველოში ვერ მოვეწყე, მაგრამ ვნუგეშობ იმით, რომ ოლთისიც ერთ დროს საქართველო იყო და მივდივართ იქ მე, დედუ, დედუს ძმისწული...“ 1894 წელს, 26 წლის დ. მეგრელი ლუკმაპურის საშოვნელად ტოვებს სამშობლოს და სამშობლოსთან ერთად წყდება საწერ მაგიდასაც, რადგან როგორც თავადვე გადმოგვცემს, „ოლთისის-ნახჩივან-ყაზახ – ერევანში მოხელის მაგიდასთან მიჯაჭვული“ მთელ დროს დაკისრებულ მოვალეობას უთმობდა და “მე აღარ შემეძლო რიგიანი მოთხრობის წერაო”. და აქ საინტერესოდ შენიშნავს: „თვითონ ნ. ბარათაშვილსაც ნახჩევანსა და /განჯაში ყოფნის დროს, თუ მის კერძო წერილებს არ ჩავთვლით, თითქმის ვეღარაფერი დაუწერია“. „ქართველ მწერალს უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ შეგირდობისა და სტუდენტობის დროს აქვს ნიჭის ასე, თუ ისე გასაშლელი პირობები, შემდეგ კი მატერიალური მდგომარეობა, თუ სხვა გარემოებანი, არამც თუ ხელს აღარ უწყობს მისი ნიჭის გაზრდასა და განვითარებას, პირიქით, ხუთავენ და ახშობენ მას“.

თითქმის 25 წლით ნებსით თუ უნებურად ლუკმაპურისთვის სამშობლოდან გადახვეწილი პოეტი სულიერად მაინც არ სწყდება ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას და ახერხებს დროდადრო ხმა მოაწვდინოს საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. 1903 წელს დუტუს ერევანში მსახურებისას ივერიაში (№123) წაუკითხავს ფელეტონი "ქუთათური რამე-რუმე". სადაც ავტორი Amicus -ის ფსევდონიმით აწერს ხელს და აღნიშნავს, რომ ზოგიერთი წარჩინებულ გვარიშვილს ქართული ენის გაკვეთილებიდან შვილების გათავისუფლება მოუთხოვია. ამით აღშფოთებული დუტუ უმალვე აგზავნის ,,ივერიაში'' წერილს, რომელიც 128-ე ნომერში იბეჭდება წერილში დუტუ აცხადებს: ,,ამას იქით წასვლა აღარ შეიძლება ზნეობრივი დაცემისა და გათახსირების გზაზე ეს უკანასკნელი წერტილია ადამიანისა, რომლის იქითაც ყოველივე ადამიანური ისპობა, და მხოლოდ სულმდაბალი და ავაზაკნი უარყოფენ ხოლმე თავის ვინაობას. თავის ეროვნების უარის ყოფაც იგივე ვინაობის უარის ყოფაა, ხოლო ვინაობის უარის ყოფა სრული ზნეობრივი გაკოტრება, ინტელექტუალური სიკვდილია ყოველი ცალკე პიროვნებისთვის! თქვენს თავს რაც გინდათ უყავით, ბატონებო, და რა ნება გაქვთ, რომ საუკუნოდ ამახინჯებთ და აუბედურებთ თქვენს შვილებს...''

1897 წელს დუტუ მეგრელი ცნობილ მწერალ ჭალზე ანასტასია ერისთავზე (გიორგი ერისთავის შვილზე) დაქორწინდა; ქორწილს მრავალი საზოგადო მოღვაწე დასწრებია, რომელთა შორის აკაკი წერეთელიც ყოფილა (ცნობილია, რომ აკაკი ახლოს იყო ანასტასიას ოჯახთან და მწერლური გზაც მანვე დაულოცა ჭაბუკ ანასტასიას). დიმიტრის და ანასტასიას შემდეგ ხუთი შვილი შეეძინათ...

დ. მეგრელისა და ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას პირად არქივებში დაცული წერილებიდან იკვეთება მათი ურთიერთმზრუნველი, პატივმიმგებელი ურთიერთობა, მაგრამ თანამოაზრეობა, ლიტერატურული, სულიერი ერთობა, როგორც ჩანს, აკლდა თანაცხოვრებას.... დუტუ არც ოჯახური, პირადი ცხოვრების სიამით ყოფილა განებივრებული, რადგან ზემოთქმული ფაქტიც, რომ არა, იგი მთელი თხუთმეტი, თუ მეტი წლის განმავლობაში უცხოობაში მარტოობისთვის იყო

განწირული, რადგან "შვილების სწავლის ასაკის დადგომის გამო" ანასტასია შვილებთან და დედამთილთან ერთად საქართველოში დაბრუნდებიან და გორში დასახლდებიან, სადაც 1913 წელს დუტუს დედა გარდაიცვლება და იქვე დაასაფლავებენ.. "მხოლოდ 1917 წელს ეღირსა ჩემს ქმარს თბილისში გადმოსვლა, რადგან ქმრის მცირე ჯამაგირი პურის ფულადაც არ გვყოფნიდა ჩვენ და ჩვენს შვილებს" – იგონებს დუტუს მეუღლე ანასტასია თავის ავტობიოგრაფიაში (ფ. №6448). თბილისში დ. მეგრელი მეხუთე კლასის საგანგებო საქმეთა მოხელედ იწყებს მუშაობას ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის სამმართველოში, შემდეგ კი – ჯერ საქართველოს დამფუძნებელი კრების საქმეთა სამმართველოში და მერე – თბილისის სასამართლოს წევრად მსახურობს.

თავი III. „პატარა ჭართველი“

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად წარმოჩნდება და წინა პლანზე წამოიწევს საბავშვო ლიტერატურის ფორმირებისა და სისტემატიზაციის საკითხი.

მართალია, ქართული საბავშვო ლიტერატურა, ქართული პედაგოგიკის კვალდაკვალ, სათავეს ჯერ კიდევ ძველ ქართულ დიდაქტიკურ თხზულებებში იღებს (რომელთა ბრწყინვალე ნიმუშებად წარმოსდგებიან სულხან-საბას, გურამიშვილის, მამუკა ბარათაშვილის და სხვათა ნაწარმოებები), მაგრამ საბავშვო ლიტერატურის თემატიკა არასოდეს ისე ფართოდ და მაღალ დონეზე არ განხილულა, როგორც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

ტრადიციულად, ქართული საზოგადოება საბავშვო ლიტერატურას მაღალ პედაგოგიურ მოთხოვნებს უყენებდა. საბავშვო ლიტერატურაც, თავის მხრივ, პედაგოგიური აზრის გათვალისწინების შესატყვისად ანვითარებდა იმ ამოცანებსა და პრინციპებს, რომლებსაც მას პედაგოგიკა უყენებდა.

XIX ს. მეორე ნახევარში საბავშვო ლიტერატურა რუსული და ევროპული ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საგნად იქცა. სწორედ ეს პერიოდი გახდა ქართული საბავშო ლიტერატურის ზეობის ხანაც. ამ პერიოდში ყალიბდება ქართული საბავშო ლიტერატურის კლასიკური საგანძური, რომელსაც ქმნიდნენ ქართული „სადიდო“ ლიტერატურის კლასიკოსები (ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი...) ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, საბავშვო ლიტერატურის მესიტყვეები, როგორებიც იყვნენ შიო მღვიმელი და თედო რაზიკაშვილი და საბავშვო მწერლობის ისტორიისთვის საგულისხმო მწერლები: ეკატერინე გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი; ხოლო ქართული საბავშვო ლიტერატურის და პედაგოგიკის კლასიკოსი იაკობ გოგებაშვილი იყო წარმმართველი და ფუნდამენტი ამ დარგებისა, რომლებიც ერთსა და იმავე დროს პედაგოგიური აზრისა და საბავშვო ლიტერატურის თეორეტიკოსიც იყო და ავტორიც მრავალი კლასიკური საბავშვო

თხზულებისა. სამოციანელთა მწერლობის წინამბრძოლი იაკობ გოგებაშვილი საბავშვო მწერლობის რაობას ასე განმარტავს. „საბავშვო ლიტერატურა საუკეთესო საძირკველია, რომელზეც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა“ (თხზ. სრ. კრებ., ტ., 2, 1954 წ., გვ. 11). სწორედ ამ მიმართულებით წარმართა მან, არა მარტო საკუთარი მოღვაწეობა, არამედ მთელი მისი და შემდგომი დროის თაობების პედაგოგიურ-საგანმანათლებლო პრაქტიკულ-გამოყენებითი საქმიანობა, რომლის თვალსაჩინოებას „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ წარმოადგენს

ამ პერიოდში დასავლეთსა და რუსეთში საბავშვო ლიტერატურული თეორიის ერთ-ერთ უმთავრეს ნოვაციას წარმოადგენს საკუთრივ საბავშვო ლიტერატურისა- და საგანმანათლებლო ლიტერატურის გამიჯვნა (ამ უკანასკნელს მოგვიანებით (XXს) „ლიტერატურა ბავშვებისთვის“ ეწოდა)

გოგებაშვილის და სამოციანელთა ღვაწლით (ილიას, აკაკის და სხვათა) საბავშვო ლიტერატურაზე იწერება მრავალი სტატია და ითარგმნება კ. უშინსკის, ბ. ბელინსკის, ნ. ნოვიკოვის კრიტიკულ–მეთოდური წერილები, სადაც განიხილება დასავლეთსა და რუსეთში გამართული პოლემიკა ე.წ. „სადიდო“ და საბავშვო ლიტერატურის განმყოფ პრინციპებზე...

ილია ჭავჭავაძე მრავალ პუბლიცისტურ წერილს უძღვნის და მიმოიხილავს, როგორც პედაგოგიურ-საგანმანათლებლო საკითხებს, ასევე საბავშვო ლიტერატურის თეორიისა და სხვა მნიშვნელოვან პრინციპებს: “დღეს ყოველიფერი შეწირული აქვს მარტო გონების გახსნას და დავიწუბიათ, რომ ადამიანს, ჰკუა-გონების გარდა, გულიცა აქვს, რომელსაც კაი კაცობრიობისთვის ისეთივე წურთნა და გახსნა უნდა, როგორც ცოდნისთვის ჰკუა-გონებას...“ (ი. ჭავჭავაძე, „პედაგოგიის საფუძვლები“ თხზ., ტ., 3 თბ., 1988 წ.). ილია ჭავჭავაძე საბავშვო მწერლობის სწორედ იმ კრიტერიუმს განიხილავს, რომლის შესახებაც წერდა გოგებაშვილი და რომელიც, ნ. ნოვიკოვის აზრით, „ბავშვის ბედნიერ ადამიანად და სასარგებლო მოქალაქედ ჩამოყალიბებას უნდა უწყობდეს ხელს“.

საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკაზე, მის დამოუკიდებელ დარგად

არსებობაზე ქართულ საზოგადოებაშიც იმართება პოლემიკა. საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკაზე, დამოუკიდებელ ლიტერატურულ სფეროდ მის არსებობაზე გოგებაშვილი წერდა: „...საბავშვო რამეების წერა შესაბამისად, მიზნის შესაფერად ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე დიდებისთვის ლიტერატურული შრომა. ამ სიძნელის დაძლევა კერძო პირებისთვის ადვილი არ არის. ზოგმა მშვენივრად იცის ქართული ენა, მაგრამ მომზადებული არ არის იმდენად, რომ კარგი არჩევანი ჰქმნას გადმოსათარგმნელისა; ზოგს შეუძლიან მშვენიერი საბავშვო წერილები დასწეროს შინაარსით, მაგრამ ენა არ უვარგა; ბოლოს, პირველნიც და მეორენიც არიან საბავშვო წიგნებით." (თხზ, ტ, 2, 1954, გვ. 196).

საბავშვო ლიტერატურისთვის არასწორი, დამოუკიდებელი ადგილის განუსაზღვრელობამ განაპირობა ალბათ ის, რომ ანდერსენი, როგორც ცნობილია, ბრაზდებოდა, როცა მას საბავშვო მწერალს უწოდებდნენ; ხოლო ქართული ლიტერატურული საზოგადოების ნაწილის არაპროფესიონალურმა მიდგომამ განაპირობა ისიც, რომ საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსი შიო მღვიმელი კარგახანს რჩებოდა შეუმჩნეველი და გარიყული, ვინემ ეს გაუგებარი დუმილი შიოზე დიდმა ვაჟამ არ დაარღვია: „სირცხვილი ქართველებს, რომლებიც არ აფასებენ და არ იცნობენ თავის დიდ შვილს და პირველხარისხოვან პოეტს – შიოს"-ო (იპ. ვართაგავა, „კრიტიკული წერილები", I, „ცოდნა", თბ., 1958 წ.).

XIX ს. 80-იანი წლებისთვის საქართველოში მკვიდრდება საბავშვო ლიტერატურა უკვე როგორც თვითმყოფადი ლიტერატურული დარგი, რაც კიდევ ერთხელ გამოიხატა, როგორც ცალკე წიგნებად საბავშვო ნაწარმოებთა გამოცემით, ასევე პირველი საბავშვო ჟურნალების დაარსებით: 1883 წლიდან გამოდის ჟურნალი „ნობათი", 1890 წ., – ჟურნალი „ჯეჯილი", 1904 წლიდან – „ნაკადული" და სხვა. სწორედ ამ საბავშვო ჟურნალების წახალისებით მრავალი მწერალი იწყებს საბავშვო მწერლობაში მუშაობას და ისინი ქართველი ბავშვის გონებრივ-ზნეობრივ აღზრდას და მათში პატრიოტული გრძნობის განვითარებას ემსახურებიან, როგორც ეს წინასწარ განსაზღვრა იაკობ გოგებაშვილმა: „საბავშვო

ლიტერატურა სამშობლოს მოუმზადებს ბევრს მხნეს და გულწრფელს მამულიშვილს". საბავშვო ლიტერატურის მთავარი კრიტერიუმი იდეოლოგიური მიმართულება იყო, რომელიც კონკრეტულ პედაგოგიურ იდეასთან ერთად, ზნეობრივ-ესთეტიკურ იდეალებს უნდა შერწყმოდა. დასავლური და რუსული თეორიული გამოცდილებასთან ერთად (ბელინსკის, უშინსკის, ლ. ტოლსტოის) ქართული პედაგოგიკა და საბავშვო მწერლობა პატრიოტულ-რელიგიურ ღრმა სულიერ იდეოლოგიას ეფუძნება. უნდა ითქვას, რომ ეკლესიის როლი დიდი იყო პედაგოგიურ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. სწორედ ამ პერიოდში გამოიცემა ერმათათვის შედგენილი ძველი და ახალი აღთქმის წიგნები (ნესტორ ყუბანეიშვილის და სხვა სასულიერო პირთა მიერ ერმათათვის შედგენილი „საღმრთო სჯული", „წმიდათა ცხოვრება", იაკობ გოგებაშვილის "ბიბლიური მოთხრობები"). პედაგოგიურ-საგანმანათლებლო ღვაწლით გამოირჩევა წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), რომლის სახე, როგორც პედაგოგისა, თავის მოგონებებში უკვდავყო გოგებაშვილმა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ეკლესიას მიმართავდნენ ხშირად ქართველი მოღვაწეები, როდესაც საქმე პედაგოგიკას და საბავშვო ლიტერატურას ეხებოდა. თვით იაკობ გოგებაშვილიც, როდესაც ჟურნალ „ჯეჯილს" მატერიალურად გაუჭირდა, მიმართავს ეპისკოპოს წმინდა კირიონს (საძაგლიშვილს – შემდგომში კათალიკოს-პატრიარქს) წერილობით. "...მოგახსენებთ, რომ ქართველ ბავშვთა ზნეობრივ და გონებრივ აღმზრდელ პერიოდულ ორგანოდ დღეს ერთადერთი ჟურნალი „ჯეჯილია", რომელიც სათანადო მთავრობისგან საერო და სასულიერო სკოლებში სახმარებლად ნებადართულია, როგორც საკითხავი წიგნი... მაგრამ რა გარემოებით არის იგი მოცული და რა ღონისძიებით სულდგმულობს, ჩვენმა საზოგადოებამ სრულად არ იცის. ნივთიერი ხელმოკლეობა... მეტად აფერხებს „ჯეჯილის" საქმესაც, რაც არის შედეგი ქართველი საზოგადოების შეუგნებლობის და გულგრილობისა.."

ქართული პედაგოგიკისა და საბავშვო ლიტერატურის იდეოლოგიურ-

ესთეტიკური ფუნდამენტი – იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ გალაკტიონ ტაბიძემ ასე შეაფასა „დედა ენა“ და “ბუნების კარი“ სახელმძღვანელოები კი არა, უდიდესი პოემებია. მე თანახმა ვიქნები, გამოვიდეს ეხლა ეს წიგნი, არა როგორც სახელმძღვანელო, არამედ საკითხავ წიგნად“ (გ. ტაბიძე, ტ., 2, გვ. 285).

„დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ – „ამ უდიდესი პოემების“ საუკეთესო თავებად უნდა მივიჩნიოთ დუტუ მეგრელის ლექსი „მე პატარა ქართველი ვარ“ და მოთხრობა „ქინაქინა“, რომლებიც თავად გოგებაშვილმა შეიტანა უცვლელად ხსენებულ სახელმძღვანელოებში და რომლითაც ეს ნაწარმოებები ქართული საბავშვო მწერლობის კლასიკად აღიარა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პროცესების აქტიური მონაწილე და იდეოლოგიურ-ესთეტიკური ნოვაციების ერთ-ერთი დამნერგავი იყო დუტუ მეგრელი, რომელიც ალბათ ის იშვიათი მწერალია ქართულ საბავშვო ლიტერატურაში, ვინც ზედმიწევნით იცნობდა პედაგოგიკას და საბავშვო მწერლობის თეორიას, რაც ასე თვალსაჩინოა მის საბავშვო პოეზიასა და მწერლობაში. მაგრამ ზემოთხსენებული ორი ნაწარმოების გარდა, დუტუ მეგრელს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საბავშვო თხზულებები აქვს დაწერილი, რომელთაც ისტორიულ-იდეოლოგიური მტვერი შეაყარეს და დღეს საბავშვო ლიტერატურის მეთოდურ სახელმძღვანელოებშიც კი არ არის შეტანილი დუტუ მეგრელის სახელი.

დუტუ მეგრელი რომ ზედმიწევნით იცნობდა იმდროინდელ პედაგოგიურ-აღმზრდელობით მეთოდებს და საბავშვო მწერლობაში მიმდინარე პროცესებს, ეს მის შემოქმედებაში აშკარად იკითხება. მის შემოქმედებაში მხატვრულად აისახა საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი, რასაც იაკობ გოგებაშვილის განმარტებით: „გულისა და გონების, შემეცნების განვითარების სასიამოვნოსთან შერწყმა“ ჰქვია. საბავშვო ლიტერატურის ისტორიკოსი ფ. სეტინი წერს: „საბავშვო მწერალი ბავშვის სიყვარულთან ერთად, ბავშვში უნდა ხედავდეს მომავალ თაობას, მომავალი საზოგადოების პიროვნებას, მომავლის

წარმმართველ პიროვნებას" ეს თვალსაზრისი ზოგადი თეზაა მსოფლიო საბავშვო ლიტერატურისა, რომელსაც ისტორიულად საზოგადოების წარმმართველი იდეოლოგია განაპირობებს.

დუტუ მეგრელის საბავშვო ნაწარმოებები აღზრდის ტრადიციულ ქართულ ხედვასთან ერთად ემყარება რუსულ-ევროპული საბავშვო ლიტერატურის მხატვრულ ნორმებს და ნაწარმოების ისეთ ფორმებს, რომელთა მეშვეობითაც ბავშვი თავად მიჰყავს ამა თუ იმ გადაწყვეტილებამდე („ქინაქინა", „პატარა ქველმოქმედი"...), სადაც ავტორი ბავშვის თვალით ხედავს და მისი ხატოვანი აზროვნების ასოციაციებს ბავშვისთვის ნათელი, გასაგები ენით გადმოსცემს.

დუტუს საბავშვო ნაწარმოებებში მრავალი განსაკუთრებული გამომსახველობითი ხერხი შემოაქვს, რაც გულისხმობს როგორც სიუჟეტურ-კომპოზიციური, ასევე ფსიქოლოგიურ-ემოციურ მხარეებსაც. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ დუტუ მეგრელის საბავშვო თხზულებების ადრესატი არის ბავშვი და არა ზრდასრული ადამიანი; ამიტომ მის ნაწარმოებებში სოციალური თემები, როგორც ასეთი, არ განიხილება, არამედ იგი ნებისმიერ სოციალურ ყოფაში (უკიდურეს სიღატაკეში მყოფსაც კი) ბავშვის ზნეობრივ-მორალურ საბუნებზე აკეთებს აქცენტს და წარმართავს მის ფიქრებს და გრძნობებს პატრიოტიზმის, ზნეობის, მშვენიერების განცდისკენ ისე, რომ ავტორის მიზანმიმართული ქმედება ნაკლებად იჩენს თავს. ყოველივე ამის საპირისპიროდ წარმოდგება ეკატერინე გაბაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის და სხვა იმ პერიოდის "საბავშო მწერალთა" თხზულებები, სადაც სოციალური თემატიკის არა ბავშვური ხედვა, არამედ პერსონაჟი ბავშვების ფონზე ამ თემის სიმძაფრეა ასახული და განხილული ზრდასრული ადამიანის პოზიციიდან.

ყოველივე ზემოთქმულთან მიმართებაში უნდა განვიხილოთ დუტუ მეგრელის საბავშვო პოეზიისა და პროზის კლასიკური ნიმუშები, რომელთაგან დღეისთვის მხოლოდ ლექსს „მე პატარა ქართველი ვარ" ვერ გადააფარა „შავი ზეწარი" ვერც იდეოლოგიურმა და ვერც დროის მანქანებმა.

ქართული კლასიკური საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი შედევრი,

რომელსაც დღეს შემოკლებული სახით იცნობს ფართო საზოგადოება სათაურით „მე პატარა ქართველი ვარ", დუტუ მეგრელმა დაწერა 1901 წელს და ამავე წელს ჟურნალ „ჯეჯილის" №10-ში გამოაქვეყნა სათაურით „პატარა ქართველი". იაკობ გოგებაშვილმაც სრულად შეიტანა ეს ლექსი „დედა ენაში", მაგრამ შეუცვალა სათაური და დაარქვა "საყვარელი სამშობლო". ერთი შეხედვით, გოგებაშვილისეული სათაური ლექსის თემას სათაურშივე უფრო კონკრეტულს ხდის; მაგრამ ავტორისეული სათაური „პატარა ქართველი" გაცილებით ღრმა და შორსმიმავალი მნიშვნელობისაა, ვინემ გოგებაშვილისეული „საყვარელი სამშობლო", ან „საბჭოური" სათაური "მე პატარა ქართველი ვარ" (რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ).

თანამედროვეთა მოგონებით, ლექსი უმალ აიტაცა ერმა და არა ოდენ მისი დეკლამირება ხდებოდა, არამედ მას მღეროდნენ კიდეც: „...დები ჯაფარიძეები, თუ ანდრონიკაშვილები ბედავდნენ, ემღერათ „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი" და ეს მაშინ ხდებოდაო, იგონებს ქართველი საზოგადო მოღვაწე ქალი, როცა "ჩვენი დიდებული მწიგნობარი წინაპრების წარმტაცი ენა ჩვენთვის უცნობი იყო. თითქმის ქართველობა არც საგულვებელი ყოფილიყოს, თითქოს ქართველთ არც ისტორია გვქონდეს და არც კაზმული მწერლობა!" (ბ. ხოსიტაშვილი, „მშობლიური სოფლიდან ქალაქში", 1964 წ.)

სახეცვალებული, შემოკლებული ვარიანტი „პატარა ქართველისა" პირველად „დედა ენის" 1912 წლის განმეორებულ გამოცემაში დაისტამბა გოგებაშვილისეული სათაურით („დედა ენა", 1912 წ., გვ. 221). ამ გამოცემაში ლექსიდან ამოღებულია იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი სტროფი:

„ქვეყნის თვალი, ეს ქვეყანა
ღვთისმშობლისა არის წილი;
ბევრ მწარე დღეს მოსწრებია
და უნახავს ბევრი ტკბილი".

საგულისხმოა, რომ ლექსის იდეური ხელყოფა (საქართველოს ღვთისმშობლის

წილხვედრობის რელიგიური იდეოლოგიისა) ხდება იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების შემდგომვე (გოგებაშვილი გარდაიცვალა 1911 წელს;. ლექსი შეცვლილი სახით გამოიცა 1912 წლის „დედა ენაში“). რა შეიძლება ითქვას?!. ალბათ მხოლოდ ის, რომ დუტუ მეგრელის ამ ლექსის და მისი შემოქმედების დევნას სწორედ აქედან ეძლევა დასაბამი. ათეისტური მსოფლმხედველობის სოციალისტური დაჯგუფებები (ფედერალისტები თუ დემოკრატები) თუკი ენისა და მამულის ეროვნულ კონცეფციებს მეტნაკლებად იზიარებდნენ, სარწმუნოებრივი იდეოლოგია მათთვის უკვე შეუწყნარებული იყო. არადა დუტუ მეგრელის როგორც საბავშვო, ასევე სადიდო მწერლობის უპირველესი იდეა სწორედ მართლმადიდებლურ მსოფლმეხდველობას ეფუძნება თანაბრად მამულისა და ენისა; რამეთუ დუტუ სამოციანელთა მიმდევარი, თუ გნებავთ მიმბაძველიც იყო.

რაც შეეხება ლექსის სათაურს „პატარა ქართველი“, ეს ოდენ კნინობით-ალერსობითი მხატვრული სახე კი არ არის, არამედ აქ ქართველი ბავშვის ზოგადმხატვრული ფენომენია მოცემული, რომელიც საბავშვო ლიტერატურაში სრულიად განუმეორებელ ზნეობრივ სახელს აყალიბებს – ქართველი ბავშვის ეროვნულ-ზნეობრივი განცდის ცნებისას. დუტუმ ამით ხაზი გაუსვა, რომ გარდა საბავშვო ლიტერატურაში არსებული საყოველთაო ზნეობრივ-ესთეტიკური კრიტერიუმებისა, რომლებსაც უშინსკის მიხედვით „ბავშვთა სამყარო“ ეწოდება, არსებობს კიდევ კერძო, „პატარა ქართველის“ მიერ ქართველობის განცდის უცილობელი კრიტერიუმი – ეროვნული განცდის ესთეტიკა, რომლის წინარე სახედ უნდა ჩაითვალოს და ნაწილობრივ ანალოგიად ილიას მიერ „ყვარლის მთებში“ გადმოცემული ბავშვური განცდა ეროვნული ღირსებისა:

„მახსოვს ყრმა ვიყავ, ძლივს მოსული გონს და ცნობასა,
როს სიდიადე თქვენი მგვრიდა კანკალს, ჟრჟოლასა,
იგი არ იყო შიშის ჟრჟოლა, შიშის კანკალი....

...თუ მაშინ ყრმისთვის უცხო იყო თავმოწონება,

აწ მომწონს თავი, მეობრებო, რომ დაბადება
თქვენს შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი...“

დუტუ მეგრელის ლექსის „პატარა ქართველის“ შეთხზვის წინაპირობაც მეტად საგულისხმოა, ამიტომ ამ საკითხზე აქ მსჯელობას არა მარტო ლექსის ისტორიის გარკვევის აუცილებლობა, არამედ დღევანდელ სინამდვილეში მისი აქტუალურობაც განაპირობებს.

ცნობილია, რომ „პატარა ქართველი“-ს შექმნას (1901 წ) წინ უსწრებდა სამეგრელოს კუთხისთვის “მეგრული ანბანის“ შექმნის მცდელობა და თანამდევი მოვლენები, რამაც ქართული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია და მრავალი პუბლიცისტური გამოსვლით აღიმაღლეს ხმა ილიამ, გოგებაშვილმა და თავად დუტუ მეგრელმა (რომელმაც ზემოთხსენებული ლექსი „მეგრელთა მიმართ“ უძღვნა ამ საკითხს).

ილია ჭავჭავაძე ხსენებულ მოვლენებზე წერდა: “ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა თითოეული ყველასთვის არ ფიქრობს და ყველა თვითოეულისთვის (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ., 3. 1986 წ.).

1894წ. გაზეთი „ივერია“ აქვეყნებს იაკობ გოგებაშვილის წერილს “ნაციონალური ერთიანობა ქართველთა“, სადაც ვკითხულობთ:„ოღონდაც ჰყვთ ყველა ქართველებს, იმერებს და ამერებს ერთი მთავარი ქართლოსი, ერთის ტომისანი არიან, ერთ ენაზე საუბრობენ, ერთი ლიტერატურა დაჰბადეს... ფარნაოზიდან დაწყებული მეთექვსმეტე საუკუნემდე მრავალჯერ ყოფილა შეერთებული სახელმწიფო..“ (ი. გოგებაშვილი, რჩ. ჩანაწერები, ტ., 2, თბ., 1990 წ.). ამ წერილს გოგებაშვილის მეორე წერილიც მოჰყვა: „ბოროტი წადილი სამეგრელოს შესახებ“, სადაც ავტორი აღნიშნავს: „ცნობილია, რომ ყველა ერს აქვს მთავარი ენა, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს, ამ ერის ყველა ნაწილისთვის და იწოდება მის დედა-ენად, და თემური კილო-კავები, რომელნიც ადგილობრივ იხმარებიან... ჩვენში კი გამოჩნდნენ იმისთანა ჰკუით გლახაკნი, რომელთაც

გაჰბედეს და წარმოთქვეს, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდან დედა ენა უნდა იქმნას გამორიცხული, რადგან ხალხი აქ ადგილობრივს კილოკავებსა ხმარობს...“

აღნიშნულ ანტიეროვნულ მცდელობას დუტუ მეგრელი „სამშობლოს გამცემთ“ და „წყეულ იუდას“ ქმედებას უწოდებს ლექსში “მეგრელთა მიმართ“. ქართველთა ეროვნულ-სულიერი ერთობის მრწამსი კი უბადლოდ განმარტა ლექსში „პატარა ქართველი“, რომელიც საყმაწვილო აღთქმად შეიძლება ჩაითვალოს და რომელმაც საუკუნე გამოიარა და დღესაც, ენის ამოდგმის უმალ პატარა ქართველი იწყებს დეკლამირებას “მე პატარა ქართველი ვარ...“ ქართული პოეზიის ამ შედევრის ღირსება ლიტერატურის ისტორიისთვის წარუშლელია და იგი 1980 წელს “ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგიაში” იქნა შეტანილი სრული სახით; რითაც ანთოლოგიის შემდგენელებმა გივი გეგეჭკორმა და ემზარ კვიტაიშვილმა საბჭოთა პერიოდში პირველად დაუმკვიდრეს დუტუ მეგრელს ღირსეული ადგილი.

საქართველოს ერთიანობის და უკვდავების იდეას კიდევ ერთი საინტერესო ლექსი უძღვნა დუტუ მეგრელმა სათაურით “საქართველო”. რომელიც საბავშვო ლიტერატურის ასაკობრივი კლასიფიკაციით მოზარდ თაობას განეკუთვნება. 1906 წელს დაწერილ ლექსში საქართველოს მოახლოებული თავისუფლების მძაფრი განცდაა გადმოცემული (რასაც რუსეთში მიმდინარე რევოლუციური მოვლენების შედეგად ელოდა ქართული საზოგადოება). ლექსის იდეურ-თემატური ხაზი საბავშვო პოეზიის რიტმიკის თავისებურებით და სიუჟეტურ-კომპოზიციური დინამიზმით არის წარმოდგენილი და ლექსის დიდაქტიზმი ბავშვის ცნობიერებისკენ არის მიმართული:

„ყველა სთვლიდა მომაკვდავად, –
უმზადებდნენ ბნელს სამარეს
და იყოფდნენ უსირცხვილოდ
მისს მშვენიერს არემარეს“;

საქართველოს დღემდე ამ ტრაგიკული ყოფის აღწერის შემდეგ, ავტორს

სტილის სიმარტივით და ლაკონურობით უეცრად შეჰყავს ბავშვი მოულოდნელ, მაგრამ დამაჯერებელ სამყაროში:

„ის — კი თურმე ძალს იკრებდა
და, ჰა, ფეხზე კვლავ დამდგარი,
იბრძვის თავისუფლებისთვის,
ისევ ისე მხნე, მედგარი!“

ავტორი აქ აშკარად მთხრობელის ფუნქციას ასრულებს, მაგრამ თხრობა იმდენად სადა და დინამიურია, რომ მოზარდს საქართველოს თავისუფლების გარდუვალ რწმენას უნერგავს და ლექსის ზნეობრივ-დიდაქტიკური მიმართულება მოზარდის ცნობიერებაზე დიდ ესთეტიკურ ზეგავლენას ახდენს:

„და ვით მთიდან გადმოხეთქილ
ზვავის საზარს ძლიერებას,
წინ ვეღარა დაუდგება
ამ საერთო მისწრაფებას!..“

პატრიოტულ თემაზე დაწერილი კიდევ ერთი უსათაურო ლექსი, რომელიც მოზარდს უსამართლობის პირადული განცდიდან ამაღლებული განცდებისკენ წარმართავს და სამშობლოს ტკივილს აზიარებს, დაწერილია 1888 წელს. ლექსის პირველი სტრიქონის მიხედვით, პირობით ლექსს შეიძლება ვუწოდოთ „ბუნებავ, რისთვის დაღონებულხარ“. ეს ლექსი უწინარეს ყოვლისა გამოირჩევა ნატიფი, სადა სტილით და ფსიქოლოგიური წვდომის ზედმიწევნილობით. ლექსში ზამთრის სევდით მოცული ბუნებაა აღწერილი და ავტორი შეწუხებული ბავშვის თვალით აღწერს გაშიშვლებული, დამზრალი ბუნების, ფრინველთა შეწყვეტილი ჟივჟივის და ბავშვის შეზღუდული სანავარდო არეალით გამოწვეულ “დაღონებას”: “ბუნებავ, რისთვის დაღონებულხარ?”, მაგრამ პოეტი იქვე შეახსენებს ბავშვს გაზაფხულის გარდუვალ დადგომას:

„ნუთუ არ იცი, რომ გაზაფხული
კვლავ დაგიდგება, კვლავ აყვავდები;

კვლავ მოფრინდება ნაზი ბულბული,
კვლავ დაგატკბობენ ნაზი ჰანგები?!"

მაგრამ ამ ლექსში საინტერესოა დუტუს მიერ ბუნების დროთა ცვალებადობის შეპირისპირება სამშობლოს ბედის ცვალებადობასთან, რასაც ავტორი ახლებური პოეტიკის თავისებური ოსტატობით ასრულებს: ლექსში პოეტს უეცრად შემოაქვს სამშობლოს იგივე მწუხარე სახე და იმავე სიტყვებით სვამს კითხვას: "სამშობლოვ, რისთვის შეწუხებულხარ?" ავტორი ბავშვისთვის ნაცნობ ზამთრის მწუხარე სურათს ცვლის სამშობლოს მწუხარე სურათით და ასოციაციურად განაცდევინებს სამშობლოს წუხილს და ასევე მისი მომავლის რწმენასაც:

,,სამშობლოვ, რისთვის შეწუხებულხარ,
რად იგლოვ წარსულს, მალე გაჭრება;
კვლავ გაგიღიმებს ბედის ვარსკლავი,
კვლავ მოგეცემა თავისუფლება?!"

დუტუ მეგრელის პოეტიკის თავისებურება: ბავშვისთვის კარგად ნაცნობი ერთი საგნიდან და განცდებიდან მეორეში, მისთვის უცნობში უცბადვე გადაყვანა და გათავისება, ან პეიზაჟისა და სულიერი განცდების მონაცვლეობა – საბავშვო პოეზიის ორიგინალურ მეთოდად შეიძლება ჩაითვალოს.

ხსენებული მხატვრული ხერხით არის შესრულებული დუტუს უსათაურო ლექსი: (მოდის, მოშხუის), სადაც ადიდებული მდინარის ბრძოლას ,,ახალი გზის გასაკვლევად" ენაცვლება ახალგაზრდული მშფოთვარე სულის ჭაბუკის პორტრეტი:

,,მოდის, მოშხუის, მოღელავს
მდინარე ადიდებული...
ცდილობს, მილეწოს კლდეები,
ფრთა თავისუფლად გაშალოს;
ცდილობს, დასტოვოს ძველი გზა
და ახალი გზა გაჰკვალოს..."

ხევში მოხეთქილ მდინარის ამ ცოცხალ სურათს ენაცვლება ჭაბუკის

პორტრეტი:

"მოდის, მოყვირის, მოშფოთავს
ჭაბუკი, აღელვებული,
და გარს შემორტყმულ პირობებს
ებრძვის თავდავიწყებული..."

მოხმობილ ლექსებში ავტორის მიმართება მოზარდის გრძნობებს წარმართავს და გრძნობა წინ უძღვის დიდაქტიკას; ხოლო დიდაქტიკური განზოგადება მათში უკვე ლექსის დასასრულს, დასკვნის სახით შემოაქვს პოეტს:

"მხოლოდ რჩეულნი..... (ნეტა მათ!)
აროდეს არ დასცხრებიან –
ან სძლევენ გარს მყოფ პირობებს
და ან ზედ შეაკვდებიან".

დუტუ მეგრელის შემოქმედებაში და, კერძოდ, საბავშვო თხზულებებში რელიგიურ თემატიკას ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია და იგი ეროვნულობის იდენტურობად არის წარმოდგენილი. რელიგიური თემატიკის მხატვრული ფორმით მოწოდება დუტუს შემოქმედებაში დიდ ესთეტიკურ განცდას ანიჭებს მკითხველს.

დუტუს პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია და "პატარა ქართველის" შემდეგ მისი შემოქმედების კიდევ ერთ შედევრად შეიძლება ჩაითვალოს ლექსი "სურათი", რომელიც 1898 წლით არის დათარიღებული. ლექსში ავტორს ღვთისმშობლის ხატთან მიჰყავს პატარა ქართველი და მასში აღძრავს არა ხატის ფიზიკურ ხილვას, არამედ სულიერ განცდას და აზიარებს ბავშვს ღვთისმშობლის, როგორც ყოველთა დედისა და უფლის, მშობლის თაყვანისცემას.

ლექსში კანონიკურად არის აღწერილი ღვთისმშობლის ხატი ყრმითურთ და იმავდროს საოცარი სისადავითა და ნათლად არის გადმოცემული ღვთისმშობლის ხატის დოგმატი; ისე, რომ არა თუ პატარა მკითხველს, არამედ ზრდასრულსაც ბუნებრივად განაცდევინებს ხატის სიმბოლურ ენას და საღმრთო სჯულის იმგვარ რთულ სწავლებასაც კი, როგორიც არის ღვთისმშობლის ორმაგი განცდა:

სიხარული – ღვთის დედობისა და მწუხარება და ტანჯვა – ძის ჯვარცმისა, რომლისთვისაც ჯერ კიდევ სვიმეონ წინასწარეტყველმა უწინასწარმეტყველა ყოვლადწმინდა ქალწულს ჩვილ იესოზე: "შენსაცა სულსა განვიდეს მახვილი" (ევსუქი იერუსალიმელი, "ტაძრად მიყვანებისთვის" – "სინური მრავალთავი", 1959 წ., გვ. 22. ლუკ. 2.35).

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად სრულად მოვიყვანთ ფართო საზოგადოებისთვის ამ უცნობ ლექსს:

"ციურ მადლით ცხებულ დედას
მშვენიერი ყრმა უჭირავს
და ნეტარებს, ბედნიერი,
თვალზე ცრემლი თან უბრწყინავს:
ხარობს, რომ ხვდა ქალთა შორის
რჩეულს ბედი, საკვირველი:
ვინც მის შვილად დაიბადა,
თვით ქრისტეა ქვეყნის მხსნელი;
მაგრამ ამ დროს მომავალი
ეხატება თვალწინ მწარე,
ველარ ითმენს და უნებლივ
გადმოსკდება ცრემლი ცხარე;
ბედნიერი, უბედური,
ორგვარ გრძნობით იმსჭვალება:
ვით ღვთისმშობელს უხარია
და ვით დედა იტანჯება!"

ლექსად მოტანილი ღვთისმშობლის სიყვარულის, ხატის ცხოველმყოფელობის ამგვარი მხატვრული და იმავდროულად კანონიკური სახე, რომელიც საბავშვო პოეზიისთვის ზედმიწევნით სადა, ნათელი და ხელმისაწვდომი ენით არის გადმოცემული, ქართული საბავშვო ლიტერატურისთვის სრულიად ორიგინალურია.

ლექსში სრულებით არ არის და გამორიცხულია პირდაპირი, სწორხაზოვანი დარიგება; და კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: დუტუმ ამ ლექსს სათაურად "ხატი" კი არ უწოდა (რაც ყოველმხრივ უფრო უპრიანი იქნებოდა ლექსის თემატურ-სიუჟეტური ანალოგიით), არამედ – "სურათი". ამ შემთხვევაშიც დუტუ მეგრელის, როგორც საბავშვო მწერლის უბადლო ალღო, საბავშვო ლიტერატურის პოეტიკის სპეციფიკაციის ზედმიწევნით ცოდნა წარმოჩინდება – რადგან ლექსის სათაურში გამოტანილი სიტყვა "ხატი" უმალ დააშორებდა, ძნელად მისაწვდომს გახდიდა ბავშვისთვის ღვთისმშობლის დედად აღქმას და გაუცხოებული ნაკლებად აღიქვამდა ღვთისმშობლის ტანჯვა-სიხარულს, როგორც "ციურ მადლით ცხებულ დედას". ხოლო ლექსის სათაური "სურათი" ბავშვს უფრო აახლოვებს, უფრო ათამამებს მასთან მისასვლელად, ვითარცა დედასთან და მისი ტკივილებისა და სიხარულის უშუალოდ განცდასთან; მაგრამ ალბათ დუტუმ ისიც გაითვალისწინა, რომ ხატის სიტყვიერი დიდება ჰაგიოგრაფიის პრიორიტეტია და რომ "ენა მეტყუელთა ვერ შემძლებელ არს ღირსად გალობისა შენისა, დედოფალო" (გალობა შ. სძლის–პირი "ღვთისმშობლის დაუჯდომელი".

რელიგიურ თემებზე დაწერილი საბავშვო ლექსებიდან საინტერესოა ლექსი "მფარველი ანგელოზი", "ლოცვა" და სხვა, რომლებშიც პოეტი პატარა მკითხველს განუმარტავს მისთვის გასაგები მხატვრული ფორმებით ლოცვის, მფარველი ანგელოზის მნიშვნელობას: ქრისტიანულ სწავლებას, იმის შესახებ რომ "ყოველ ქრისტიანს ანგელოზი ჰყავს მცველადო" და "რომელიც აძლევს მას ძალას, ბოროტთაგან საბრძოლველადო", მაგრამ ბავშვის გონება რომ განაშოროს მისტიკას, დუტუ ამისთვის ბავშვის გულს მიმართავს და ქრისტიანული სიყვარული-სკენ მიაქცევს:

"ის ანგელოზი მფარველი
უმანკო სიყვარულია,
რომლითაც ჩემი არსება
მარადის განმსჭვალულია!..

მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმის სისადავით და ბავშვის ცნობიერების საზღვრებში დატეული ზომიერი დიდაქტიზმით აწვდის დუტუ მეგრელი პატარა მკითხველს მოვლენათა შესაბამისობას, კანონზომიერებას და ურთიერთმიმართებას. ყოველივე ამას ისე სხარტი, დასამახსოვრებელი და ნათელი ფრაზებით აწვდის ბავშვს, რომ მისი ყურადღების ს̓წრაფმონაცვლეობას ითვალისწინებს და არ ღლის მას:

"გაზაფხულია! ბუნებამ
გადიძრო თეთრი სუდარი
და შეიმოსა მწვანითა
მთა-ბარი, ტყე და ბუჩქნარი;
გაზაფხულია! ტბილი დრო
ბუნების მკვდრეთით აღდგომის
დრო მოძრაობის, სიცოცხლის,
დრო სიყვარულის და შრომის..."

ბუნების მოვლენათა მრავალი ფერწერული ტილო დახატა პოეტმა: "წყარო", "შემოდგომის სუსხმა დაჰკრა", "მთის წყარო", "მზის მოლოდინში" და სხვა; მაგრამ მათგან გვინდა გამოვყოთ ლექსი "მკვდარი ჩიტი", სადაც ავტორი ბუნების მშვენიერებასა და სიდიადესთან ერთად პატარა მკითხველს აცნობს სევდა-მწუხარების განცდის უცილობლობასაც. კერძოდ, იგი ცდილობს ბავშვს ესაუბროს და ბუნების სხვა მოვლენათა რიგში დაანახოს ისეთი მოვლენა, როგორიც არის სიკვდილი. ალბათ ძნელი წარსმოსადგენია ბავშვი, რომელსაც გული არ ამოსჯდომია ჩიტის ან სხვა არსების სიკვდილზე, მაგრამ ცხოვრების, ბუნების ამ ურთულეს და გარდუვალ მოვლენას დუტუ ბუნებრივად და მარტივად წარმოუსახავს ჟმაწვილს მოჭრილი ფრაზითა და ბავშვური ცნობიერებისთვის დამაჯერებელი პასუხით განუმარტავს მას, რომ სიკვდილიც ბუნებრივი მოვლენაა და ამისთვის მწუხარება არ გვმართებს:

"...მოელხინა ბუნებასა; მასთან ერთად მეც ვილხენდი.

უცებ თვალი მოვკარ ბუჩქზე ჩიტებისა გუნდს, მხიარულს,
და სიამით ყურს ვუგდებდი აღფრთოვანებულ მათს ჟრიამულს,
რომ წამს თავზე გადამევლენ .... ჩუ, დაიკრა თითქო ზარი
და რაღაცა დაეცა ძირს .... ვნახე, ჩიტი იყო მკვდარი!
იქვე, მაღლა გაბმულ მავთულს შეეცვალა საბრალოსა;
ბუნება კი კვლავ ლხინობდა და ჩიტებიც კვლავ თავისთვის
მიფრინავდნენ უდარდელად, — არ ეცალათ ცოცხლებს მკვდრისთვის".

დუტუ მეგრელის საბავშვო პოეზიაში დიდი ადგილი ეთმობა ქართული პოეზიის ისეთ განსაკუთრებულ სახე-თემას, როგორიც არის დედის სახე; რომლის კვლავ და კვლავ განცდაც მხოლოდ მართალი ემოციური დატვირთვით, ახალი შტრიხის მიგნებით შეუძლია გამოიწვიოს ავტორმა. სწორედ ამ გზით აღწევს დუტუ, დასამახსოვრებელი გახადოს მის მიერ დახატული დედის პორტრეტი და იმავ დროს სიფარულის ამ პირველ განცდით აღბეჭდოს ბავშვში ღვთის და სამშობლოს, თუ სხვა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა სიფარული.

სამშობლოს და დედის იდენტურობის პოეტურ ინტერპრეტაციას იძლევა პოეტი ლექსში "ორი დედა", რომელიც პატარა ქართველში მშობელი დედისა და სამშობლოსადმი თანაბარ გრძნობა-მოვალეობას აღძრავს:

"ორი დედა მყავს ძვირფასი,
ორივე მიფარს გულითა
მჭონდეს სიცოცხლე ათასი,
მათ ვუძღვნი სიხარულითა!"

ავტორი ამ ლექსში აკონკრეტებს, რომ ერთი "საბრალო ქვრივია, უდროოდ დაბერებული", რომელსაც "მალე ეწვია ტანჯვა-ვაება" და მშობელი დედისადმი ბავშვის ბუნებრივ სიბრალულს, მასში აღძრული გრძნობა-მოვალეობას დედაზე ზრუნვისას დუტუ მიაქცევს სამშობლოზე, მეორე დედაზე, რომელიც ასევე "ბედკრულია" და "ტანჯვა-ვაებით" აღვსილი:

"მეორე... მაგრამ ვერ აღწერს

მისს ამბავს ჩემი კალამი;
მოელის ახალს რუსთაველს
ბედკრულის ტანჯვა-ვარამი!..”

დედისა და დედასამშობლოს მხატვრული იგივეობა მოგვცა აგრეთვე ვაჟამ: “სამშობლო – დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა”. მაგრამ დუტუ მეგრელის “ორი დედა” თავისი სადა, მცხრალი დიდაქტიზმით და სევდის აღმძვრელი ინტონაციით, ამ თემის ახლებური და ბავშვისთვის განკუთვნილი მორალურ-ზნეობრივი დიდებული სახეა.

ქართველი დედის სრულიად ახალი და ცოცხალი სურათი დახატა დუტუმ ლექსში “ქართვლის დედის ლოცვა.” ლექსის სიუჟეტურ-კომპოზიციური ხაზი, თხრობის დინამიკური, მაგრამ იდუმალი ინტონაცია ბავშვის წინაშე აცოცხლებს თითქოსდა ნაცნობ, მაგრამ იმავდროს იდუმალებით მოცული ხატის წინ მლოცველი დედის პორტრეტს:

,,სძინავს ყველას, მხოლოდ ერთ ქალს
ჯერ არ სძინავს, შავით მოსილს,
დაჩოქილი დგას ხატის წინ
და ავედრებს სხვაგან მყოფ შვილს!“

ხატის წინ დაჩოქილი შავით მოსილი დედის ლოცვა-ვედრება თავისთავად დასრულებული მხატვრული სახეა და ყოველგვარი ავტორისეული შეფერილობისგან თავისუფალი ეს პორტრეტი თავისი დამაჯერებლობით, ბავშვის გონებას თვალცრემლიანი დედის ღაღადისის განცდისკენ მიმართავს და მას დედის ნება-სურვილის გათავისებისკენ მოუწოდებს:

,,რომ ძლიერი, გმირთა-გმირი,
ღირსი შვილი მამულისა,
ის მჩაგვრელის რისხვა იქნეს
და ნუგეში ჩაგრულისა!“

დუტუ მეგრელის პოეზიაში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი იგავ-

არაკულ ჟანრს. მასში მრავალი საინტერესო პოეტური სახე, თუ მორალურ-ზნეობრივი სწავლებაა თავმოყრილი და ეს იგავები თემატურ-იდეური აქტუალურობით ამდიდრებენ ქართული საბავშვო პოეზიის ამ ჟანრს, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დუტუ მეგრელის იგავ-არაკებს აშკარად ატყვიათ კრილოვის, აკაკის, ხშირად ვაჟას – არა ოდენ გავლენა, არამედ მათი მხატვრული სახეების, თხრობის, თუ სიუჟეტურ-კომპოზიციური ვარირება!

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ლექსი თავად დუტუს რატომღაც „იგავ-არაკების" რუბრიკაში გაუერთიანებია მაშინ, როცა ცალკეული მათგანი ამ ჟანრს არ განეკუთვნება, არამედ ისინი უფრო ტიპური საბავშვო ლირიკის ნიმუშებია, რომლებიც სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის არის განკუთვნილი და ორიგინალობითაც გამორჩევიან. ასეთი ლექსებია: "ჯინული", "ბავშვი და მზე", "ჭაფარა" (ჩხიკვი) და სხვები.

დუტუ მეგრელის საბავშვო პოეზიაზე საუბარს გავასრულებთ იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მისი ლექსით "ჩიტები", სადაც ქართული პედაგოგიკისა და საბავშვო ლიტერატურის პატრიარქისადმი უდიდესი სიყვარული და მადლიერებაა გამოხატული. ლექსი, რომელსაც წამძღვარებული აქვს "ვუძღვნი იაკობ გოგებაშვილს", დაიწერა და გამოქვეყნდა 1909 წელს. მასში "დედა-ენისა" და "ბუნების კარის' პოეზიის პერიფრაზით, ოსტატურად არის წარმოდგენილი ის სამყარო, რომელიც გოგებაშვილმა გაუხსნა პატარა ქართველს. დუტუ მეგრელი "ბუნების კარის" ცალკეულ სურათს შლის და წარუმძღვარებს "სიყვარულს": "მიყვარს პატარა ჩიტი ბეღურა, ჩვენს სახლის ჰერ ქვეშ დაბუდებული...", "მიყვარს მერცხალი, კუდმაკრატელა, გაზაფხულისა მახარობელი..." და ასე აგრძელებს ვინემ ბულბულის სახე-სიმბოლომდე, რომელიც, ჩვენი აზრით, გოგებაშვილის მხატვრული სახეა: "და კიდევ უფრო მიყვარს ბულბული, მგოსანი ტურფა მაისის ღამის", რომლის ხმაც "ციურ ქნარის" მსგავსად ისმის.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ის პოლემიკაც, რომელიც ამ ლექსის დაწერას ბევრად წინ უსწრებდა და რომელიც კიდევ ერთგზის წარმოაჩენს იაკობისა და

დუტუს ურთიერთპატივისცემასა და იმავდროს უკომპრომისობას: როგორც ცნობილია, ჟურნალი "ჯეჯილი" გააკრიტიკა მიხ. ნასიძემ ფსევდონიმით "პაატა". დუტუ მეგრელმა კი ფსევდონიმის უკან მდგომ ავტორად მცდარად მიიჩნია იაკობ გოგებაშვილი და მის წინააღმდეგ უსამართლოდ გაილაშქრა. საინტერესო კი ის არის, რომ გოგებაშვილი თავის მხრივ (დუტუსადმი საპასუხო წერილში "ჯეჯილის ადვოკატს") სამართლიანად მიიჩნევს უმისამართო გალაშქრებას და აქცენტს აკეთებს არა დუტუს უმისამართო გალაშქრებაზე, არამედ "ჯეჯილის" რედაქციის მუშაობაზე და დუტუ მეგრელსაც მოუწოდებს რეალურად შეაფასოს ჟურნალის საქმიანობა.

XIX ს. მეორე ნახევარში ქართული საბავშვო პროზა როგორც თემატურად, ასევე ჟანრობრივად და სიუჟეტურ-კომპოზიციური წყობით გამოირჩევა. იგი სრულად მოიცავს როგორც დასავლური, ასევე რუსულ საბავშვო ლიტერატურის პედაგოგიურ დომინანტებს. ქართული საბავშვო პროზა ამ პერიოდში წარმოდგენილია: 1. ავტობიოგრაფიული ჟანრით (აკაკის "ჩემი თავგადასავალი"), 2. ისტორიული ნაწარმოებებით (უიარაღოს "მამლუქი", იაკობ გოგებაშვილის ისტორიული მოთხრობები), 3. ლიტერატურულ-ზღაპრული ფანტასტიკის ჟანრული სინთეზით (ვაჟას "შვლის ნუკრის ნაამბობი", "მგელი" "მელია სერეფენია", "კლდე სალი" და სხვა), 4. საბავშვო სასულიერო ლიტერატურით (ბავშვებისთვის შედგენილი "ალმრთო სჯული" ნესტორ ყუბანეიშვილისა, ი. გოგებაშვილის "ბიბლიური ისტორია", გიორგი იოსელიანის "ალმრთო ისტორია", "წმინდათა ცხოვრება", ნესტორ ყუბანეიშვილის "გზა ცხოვრებისა" და სხვა მრავალი), 5. ფსიქოლოგიური ჟანრით (ილიას "სარჩობელაზედ", დუტუ მეგრელის "ქინაქინა", "კეთილი პეტრე", "პატარა ქველმოქმედი", "მხიარული სამხარი") და ბოლოს ლიტერატურით ბავშვების შესახებ, რომელიც ცალკე, განკერძოებული ჟანრია და რომლის ადრესატიც არის არა ბავშვი, არამედ უფროსი მკითხველი.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ხშირად საბავშვო მწერლებად მოიხსენებიან ისეთი მწერლები (და ხშირად უფროსი პროზაიკოსები), რომელთა

ნაწარმოებების პერსონაჟები (და ხშირად მთავარი მოქმედი პერსონაჟებიც) არიან ბავშვები. მაგრამ ამგვარი ნაწარმოებები თვისობრივად განსხვავდებიან საბავშვო ლიტერატურისგან, როგორც ფორმით, ასევე ენობრივ-სიუჟეტური და ჟანრობრივი სტრუქტურითაც; საბავშვო ლიტერატურას რომ საკმაოდ გამოხატული ზნეობრივ-ესთეტიკური და სოციალური საზღვრები აქვს, ამას ხშირად ივიწყებენ და ქართველი კრიტიკოსები ხშირად მთელ რიგ "ხალხოსან" მწერალთა თხზულებებს საბავშვო მწერლობას მიაკუთვნებენ. ამგვარი აღრევა დღესაც ხშირია.

XIX საუკუნეში წარმოდგენილი ჟანრობრივი სიმრავლე ქართულ საბავშვო პროზაში, ერთი მხრივ, მის სწრაფ აღორძინებას მოასწავებდა და, მეორე მხრივ, ქართული პედაგოგიკის განვითარებას, რაც ქართველი ბავშვის ზნეობრივ-ესთეტიკურ აღზრდისკენ იყო მიმართული...

საბავშვო პროზის ამ ჟანრულ და რიცხვობრივ სიმრავლეში, რა თქმა უნდა, ძნელი იქნებოდა მწერლისთვის საკუთარი ადგილის დამკვიდრება და, მით უფრო, აღიარების მოპოვება მაშინ, როცა იწერება: "შვლის ნუკრის ნაამბობი", გოგებაშვილის, ილიასა და აკაკის საბავშვო მოთხრობები...

მაგრამ დუტუ მეგრელის პირველსავე საბავშვო მოთხრობა "ქინაქინას" დიდი აღიარება მოჰყვა და "ბუნების კარში" მისი შეტანით, ფაქტობრივად მაშინვე კლასიკურ მოთხრობად იქნა მიჩნეული, რაც კრიტიკოსთა მხრიდან ერთმნიშვნელოვანი შეფასებითაც დადასტურდა.

პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი დუტუ მეგრელს განიხილავს, როგორც ფსიქოლოგიური ჟანრის მწერალს. იგი თავის წიგნში "Очерки по грузинской словесности" მაღალ შეფასებას აძლევს დუტუს, როგორც პროზაიკოსს და სხვა ნაწარმოებებთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოთხრობა "ქინაქინას".

იპოლიტე ვართაგავაც კი, რომელიც უაღრესად ტენდენციურია დუტუს ბრწყინვალე სადიდო მოთხრობების განხილვისას, "ხელებს სწევს" დუტუ მეგრელის საბავშვო პროზის წინაშე და იგიც ფსიქოლოგიური პროზის დიდებულ წარმომადგენლად მიიჩნევს მას: „დ. მეგრელის საუკეთესო მოთხრობებად ისინი

ჩაითვლებიან, რომლებშიც ბავშვის ფსიქოლოგია აქვს გამოხატული. ამ მოთხრობებშიც მწერალს ჰუმანური აზრები და იდეა აქვს გატარებული; მას მიზნად დაუსახავს მკითხველის სულის გაფაქიზება და მის გულში სიფარულის და სიბრალულის გაღვივება. საზოგადოდ, ამ თვისებებშია დ. მეგრელის ყველა მოთხრობის და, კერძოდ, ბავშვის ცხოვრებიდან აღებულ მოთხრობების მნიშვნელობა". კრიტიკოსი ვართაგავა განსაკუთრებით აღფრთოვანებულია მოთხრობით "ქინაქინა", რომლის შესახებაც იგი სწორ ანალიზს იძლევა: "დ. მეგრელის მოთხრობა "ქინაქინა" ყოველმხრივ საუცხოო ნაწარმოებია: მაღალი აზრი, უწმინდესი გრძნობა, მშვენიერი ტექნიკა, მარტივობა, ბუნებრივობა აქ ერთად შეხამებულ-შეზავებულია და აღმოუფხვრელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე... ჩვენს ლიტერატურაში უბადლო ბავშვის სულის ანალიზი და ყოფა-ცხოვრების აღწერაა... ამ მოთხრობაში უნაკლოდ გამოკაშკაშებს დ. მეგრელის ნიჭი და რომ მას ამ მოთხრობის მეტი არაფერი არ დაეწერა, მაინც მისი სახელი უკვდავი იქნებოდა".

ამავე აზრს იზიარებს დუტუს "ქინაქინაზე" კიტა აბაშიძეც, რომელიც დაუნდობლად აკრიტიკებდა დუტუს, მაგრამ "ქინაქინაზე" თავის მაღალ აზრს ვერ მალავდა: "...როგორც ჩამოველ აქა, მაშინვე, შენი თხზულებები ვიყიდე. ჩემი აზრი შენ ყველა ამ მოთხრობაზე იცი, ყველას კი "ქინაქინა" მირჩევნია... აი, შენს ტალანტს "ქინაქინა" უფრო შეეფერება".

საბჭოთა პერიოდში უკვე კნინდება ინტერესი და აღქმაც დუტუს, როგორც სადიდო, ასევე საბავშვო მოთხრობებისა. "ქართული ლიტერატურის ისტორიის" V ტ-ში შესულია დავით თევზაძის გამოკვლევა "დუტუ მეგრელი", სადაც კვლავაც ხაზგასმულია, რომ: "ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს დუტუ მეგრელის საბავშვო მოთხრობები. მათში მწერალი დიდი ბუნებრიობით ახერხებს გადაგვიშალოს ბავშვის კაცთმოყვარე ბუნება, მისი ადამიანური გრძნობა... დიდ ინტერესს იწვევს საყოველთაოდ ცნობილი მოთხრობა "ქინაქინა", რომელიც ქართული საბავშვო პროზის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია..." ბატონი ანდრო თევზაძე აღიარებს,

რომ "ქინაქინა" საბავშვო პროზის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია", მაგრამ იქვე "გაკვრით" დასძენს, "რომელიც ეხება რევოლუციამდელ სინამდვილეს" – აი, ეს მიდგომა, რითაც დუტუ მეგრელის მოთხრობა "ქინაქინა" და სხვა საბავშვო მოთხრობები არამც თუ სასკოლო სახელმძღვანელოებში, არამედ საბავშვო მწერლობის მეთოდურ სახელმძღვანელოებშიც აღარ განიხილება. და ის, "შავი ზეწარი" (ვაჟასეული გამოთქმა რომ ვიხმაროთ), რომელიც საბჭოთა კრიტიკამ გადააფარა დუტუ მეგრელის კლასიკურ საბავშვო მწერლობას, დღეს აუცილებლად უნდა აეხადოს მას.

დუტუ მეგრელის საბავშვო პროზა გამოირჩევა განსაკუთრებული გამომსახველობითი ხერხებით და ბავშვის ფსიქოლოგიის თავისებურებების ცოდნა-გათვალისწინებით. იმ დამაჯერებლობას და ესთეტიკურ განცდას, რომელსაც მისი მოთხრობები აღძრავენ, უწინარეს ყოვლისა, ავტორის მიერ ბავშვის თვალით დანახული სამყაროს გადმოცემაა, სადაც დუტუ, როგორც მთხრობელი ხან ხილული, ხანაც უხილავი თანამგზავრია თხრობის პროცესისა. ხოლო თხრობა საოცრად დინამიკური და ნათელია. მის მოთხრობებში აქცენტი გადატანილია გმირის შინაგან სამყაროზე, მის მორალურ განვითარებაზე და იმ კონფლიქტზე, რომელიც გმირს გარე სამყაროსთან მიმართებაში, თუ საკუთარ თავში უჩნდება.

ყოველივე ზემოთქმულთან მიმართებაში, უწინარეს ყოვლისა, განიხილება დუტუ მეგრელის მოთხრობა "ქინაქინა", რომელიც რეალისტური სკოლის საუკეთესო ნიმუშთაგანი და ფსიქოლოგიური პროზის ერთ-ერთი პირველი მხატვრული ტილოა. ნაწარმოების კომპოზიცია ცოცხალი, მოკლე სურათების მონაცვლეობის ტექნიკით არის აგებული, რაც მოთხრობის მესამე თავში წარმოჩნდება: ამას მწერალი სულ ორ გვერდში, თითო აბზაცით ახერხებს

მოთხრობის მოკლე სიუჟეტის მოჭრილ დიალოგებში ცოცხლდება, როგორც პერსონაჟთა ხასიათები, ასევე იდეურ-თემატური მხარე. მწერალი მცირე მოცულობის ნაწარმოებში ახერხებს ზუსტად გადმოსცეს ბავშვის შინაგანი კონფლიქტი. მოთხრობის მთავარი თემაა მშობლის სიყვარულის უზენაესობა, რომელიც ბავშვის

ნებისა და მოვალეობის შინაგანი კოფლიქტის შედეგად აღესრულება; ავტორი მძაფრი ემოციური ფონით, მიზანმიმართული მოქმედებით და ქმედითი დიალოგებით უდიდეს ესთეტიკურ განცდას აღძრავს მკითხველ"ში.

მოთხრობის პირველ თავშივე ორიოდ შტრიხით ხატავს დუტუ მასწავლებლის, როგორც მოძღვრის იდეალურ სახეს (რომელიც ილიას "გლახის ნაამბობის" მოძღვრის სახეს ენათესავება). დუტუ ხატავს მასწავლებლის სახეს, რომლის თვალს არც მოწყენილი გოგო რჩება შუმჩნეველი, არც თამაშით ბედნიერი ბავშვების კმაყოფილი სახეები, არც ეკალგარჭობილი ბიჭის კოჭლობა (რომელიც საკუთარი მშობელივით მიანდობს მასწავლებელს "გამოგლეჯილი წუღიდან გამოყოფილ ტიტველ ქუსლს ეკლის ამოსაღებად"); სკოლის ერიამული, რომელიც "მაღლა ღმერთს ეყურებოდა და მათი მომზირალი, ყოვლისმხედველი თვალი მასწავლებლისა" სკოლაში დამყარებული სიფხარულის იშვიათ მხატვრულ სურათს წარმოადგენს. დუტუ აქ პირდაპირი დიდაქტიზმის გარეშე ახერხებს სკოლის, სწავლების პირველწყაროდ სიფხარულის უზენაესობის წარმოჩენას.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, მიხა, სკოლაში დამყარებულ ამ სიფხარულის გარემო"ში იზრდება და მწერალი მოკლედ, მაგრამ, დამაჯერებელი მხატვრული მიგნებით, მიხას ოჯახურ გარემო"ში გამეფებულ სიფხარულსაც გადმოგვცემს:

ყანაში მომუშავე მიხას მამას საჭმლის მიმტანიც არ ჰყავს; მძიმე შრომასთან ერთად ავადმყოფ მეუღლეზე და მისთვის წამლის ფულის შოვნაზე ფიქრით დაქანცული მამა ოჯახ"ში მაინც მოსიფხარულე და ალერსიანი შედის: "ამ მწარე ფიქრებ"ში იყო გართული უბედური მიხას მამა, მაგრამ შევიდა თუ არა თავის სახლ"ში, სადაც ავადმყოფი ცოლი დახვდა, მაშინვე ალერსიანად დაეკითხა: როგორ ხარო".

წაწარმოების მთავარი თემა: პირადული ნება-სურვილის მოვალეობასთან დაპირისპირება, რომელსაც პირველად აწყდება ბავშვი და როდესაც ბავშვის ადამიანად ჩამოყალიბება ხდება – დუტუ მეგრელს უზადო მხატვრული ფორმით და პედაგოგიური ცოდნის გათვალისწინებით აქვს გადმოცემული. შინაგანი კონფლიქტი ნაწარმოებში

ბავშვის ფიქრთადენით არის გადმოცემული: პატარა მიხა ავადმყოფ დედას გვერდით მისწოლია და დედას ჩაკრული ბავშვი სრულად ითვისებს მის ტკივილს, მისი ფიქრი დედის ავადმყოფობას შეუპყრია, მაგრამ როგორც კი დედა ცოტას მოიხედავს და დაწყნარდება, მიხა ფიქრით კვლავ თავის საყვარელ სკოლაშია. მისი გული, გონება კვლავ მისთვის სალაღობო გარემოშია: "ნეტა ეხლა რა ამბავია სკოლაში? იქნებ კარგი რამ არის და მე კი წასვლა არ შემიძლია". ამ ეპიზოდში დუტუ მეგრელი ბავშვის ფსიქოლოგიის უაღრესად მახასიათებელ თვისებას გადმოგვცემს – ფიქრთა და განცდათა მსწრაფლმონაცვლეობას. მიხა თუმც გულით და გონებით სკოლაშია, მაგრამ იგი ადგილიდან არ იძვრის, კვლავ დედის თავთან ზის, მას ესმის თავისი, როგორც შვილის მოვალეობა, მაგრამ საკუთარი ნება-სურვილი კი ისაა,, რომ: "ნეტა ეხლა მამა მოვიდოდეს, რომ მე სკოლაში წავიდოდეო!"

დუტუმ ამ ეპიზოდში შექმნა პატარა ქართველის, მოქალაქის სახე, რომელმაც დედაშვილური მოვალეობა იცის და მას წინ აყენებს საკუთარ სურვილზე...

ნაწარმოების კიდევ ერთი ზნეობრივი შეგონება ის არის, რომ განსაცდელში მყოფ ადამიანს ღმერთი ყოველთვის შეეწევა, თუკი ადამიანი მას ლოცვით მიმართავს. ამ რელიგიურ სწავლებას ავტორი ამბის მარტივი, სადა და ბუნებრივი მდინარებით აწვდის: როდესაც მიხამ დედ-მამის საუბრიდან შეიტყო, რომ არსებობს წამალი "ქინაქინა", რომელსაც დედის განკურნება შეუძლია და რომლის შესაძენი ფულიც მშობლებს არ აქვთ, ნატრობს: "ნეტა ერთი ფულს ვიპოვიდე დღეს, რომ დედისთვის ქინაქინა ვაყიდვინო მამას, – ფიქრობდა მიხა და გულში ღმერთს ეხვეწებოდა: – ღმერთო, გზაზედ ფული მაპოვნინეო!" სწორედ ამ ლოცვის შედეგად გზაც მალე გამოჩნდება და დედა ეტყვის: "მიხა, შვილო, თუ გინდა, წადი სკოლაში". მამაც დასტურს აძლევს ბავშვს, "წადი, შვილო."

საგულისხმოა, რომ დუტუს სიცოცხლეში გამოცემულ ტექსტებში მიხას ლოცვა ზემოთმოხმობილი ციტატის სახით არის შესული, მაგრამ საბჭოთა გამოცემაში, კერძოდ, "ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ბიბლიოთეკის" სერიით გამოცემულ წიგნში "დუტუ მეგრელი, პარმენ ცახელი" (თბ., ნაკადული,

1981 წ) – მიხას ლოცვის ეპიზოდი ტექსტიდან ამოღებულია; რითაც ნაწარმოების როგორც იდეა, ასევე სიუჟეტური მიზეზ–შედეგობრივი ხაზია დარღვეული: ის, რომ მშობლები ასე დაგვიანებით ბავშვს სკოლაში აგზავნიან, ხოლო იქ მისულს მისი სანუკვარი სურვილი უსრულდება და სკოლაში "უცხო სტუმრად" მოსული მასწავლებელი მას ფულს ჩუჭნის – სწორედ ბავშვის წმინდა გულით აღვლენილი ლოცვის ნაყოფია... ხოლო სკოლაში გამოვლენილი ნიჭით და ცოდნით მასწავლებელთა აღფრთოვანება და მიხას მიერ საჯაროდ წარმოთქმული მისი ერთადერთი სურვილი (რომ დედისთვის ქინაქინას ყიდვა სურს) მოყვასის სიყვარულის ის რეალური გარემოა, სადაც აღესრულება ღმრთის მოწყალება.

დუტუ მეგრელის საბავშვო პროზის წამყვანი თემაა სიყვარულის გრძნობა, რომელსაც ბავშვი ავლენს მშობლის, მოყვასის, ღვთის მიმართ. ამ სიყვარულის გამოვლენაში, ბავშვის მორალურ-ზნეობრივ ჩამოყალიბებაში გარე სამყაროს ზეგავლენა, ბავშვის სულში მიმდინარე კონფლიქტის ფსიქოლოგიური ანალიზი, ანუ ბავშვის თვალით დანახული გარესამყარო ქართულ საბავშვო მწერლობაში პირველად დუტუ მეგრელმა ასახა. მისი პოეზიის თავისებურება სწორედ ის არის, რასაც XIX–XX სს-ში თეორიულ დონეზე ამუშავებდა პედაგოგიკისა და საბავშვო ლიტერატურის თეორია, ეს არის – ბავშვის შინაგანი სამყარო.

ამ მიმართულებით კიდევ უფრო საინტერესოა დუტუ მეგრელის ფსიქოლოგიური ნოველა "პატარა ქველმოქმედი". ნაწარმოებში უმთავრესი აქცენტი მიქცეულია ბავშვის სულიერ მოძრაობაზე, სულიერ კონფლიქტზე. "პატარა ქველმოქმედში" ავტორი მკაცრი ფორმებით აღწევს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესს ანუ იმას, თუ როგორ იბადება პიროვნება, მისი მორალურ-ზნეობრივი სახე.

ნოველის მთავარი პერსონაჟი არის პატარა კოტე, რომელსაც მარტოხელა დედა ჰყავს და შვილს მრეცხაობით არჩენს. სკოლიდან დაბრუნებულ კოტეს ერთხელ დედა მიანდობს, რომ სარეცხი წაუღოს პატრონს, რაც ბავშვის სიხარულს იწვევს. მას უხარია, რომ "ის დიდია ახლაც და შეუძლია დაეხმაროს

დედას, რომელიც მუდამ დღე შრომობს...” ბავშვის სიხარული, “რომ ის დიდია უკვე”, რომ ის დედას □სჭირდება, ზედმიწევნით ზუსტი რწმენით “ის ახლა პატარა აღარ არის”. მოზარდი მკითხველისთვის მსუბუქი თხრობით არის გადმოცემული ეს მისეული განცდა.

ნოველაში კონფლიქტი თავს იჩენს, როდესაც კოტეს ქუჩაში მჯდომი მათხოვრის “საცოდავი ხმა” ჩაესმის: “გამიკითხე, ღმერთი გაგიკითხავსო”. კოტე აღაშფოთა მათხოვრისადმი გამვლელთა გულგრილობამ: “გულქვები, საზიზღრები!”, რატომ არ აძლევენ თითო გროშს, იქნება დღეს არა უჭამია — რა!” — ბავშვის წმინდა გრძნობა, რომელსაც გული წარმართავს უმეტესად და არა გონება (რაზეც იაკობ გოგებაშვილი წერდა, რომ “საბავშვო ლიტერატურა ბავშვის გულზე უნდა იყოს მიდრეკილი და არა გონებაზე”). ამ ნოველაში სწორედ გულის კარნახით აღიძვრება და ამიტომაც “უთხრა გულმა კოტეს: ამოიღე და მიეცი შაურიანიო”; მაგრამ აქ თავს იჩენს მეორე გრძნობა — დედის სიყვარული, დედისადმი მორჩილება და მოვალეობა. ავტორი ბავშვის სულის მოძრაობის ამ მართალ მიმართულებას მისივე ფიქრებით გადმოგვცემს: “მაგრამ უცებ შეჩერდა, ფული ხომ მისი არ არის, დედამისისაა. თვითონ განა ბევრი აქვთ?” შინაგანი კონფლიქტი, რომელიც ორი ზნეობრივი კანონის დაპირისპირებით ჩნდება (დედის მორჩილებასთან, მშობლის სიყვარულთან და ზოგადად მოყვასის სიყვარულთან — კერძოდ მოწყალების გაღებასთან) ბავშვში დაბნეულობას, გაურკვევლობას აღძრავს. ერთხანს იგი დააპირებს, რომ “თავს დაღუნავს და ისე გაივლის გლახის წინ, როგორც სხვა მგზავრები მიდიან...”, მაგრამ ავტორი აქ იძლევა ბავშვის ბუნებრივი, უკიდურესი გულმოწყალების ფსიქოლოგიურ პორტრეტს: “...მაგრამ კიდევ მოესმა გულის შემზარავი ხმა: “გამიკითხე, ღმერთი გაგზრდისო” და შეჩერდა. გლახას ხელი გამოეშვირა და იმისთანა თვალებით უყურებდა კოტეს, რომ ბავშვმა შაურიანი მისცა მათხოვარს და გაიქცა საჩქაროდ”. ეს არის ბავშვის მართალი სულიერი სახე, მისი ბავშვური გულის ბუნებრივი ქმედება, მაგრამ ბავშვისთვის გაუცნობიერებელი. ავტორი ამ განცდას ისე სახიერად, სადა

ფორმით გადმოსცემს, რომ მკითხველი თანამონაწილე ხდება კოტეს განცდებისა, მისი შინაგანი კონფლიქტისა; "მან არ იცოდა, რა ჩაიდინა, კეთილი საქმე თუ ცუდი? გლახას ფული მისცა, მაგრამ დედას წაართვა". "დგას კოტე და აღარ იცის, რა ჰქნას, რა მოიგონოს შაურის შესახებ. მართლაც, რა უთხრას დედას?" ჩადენილი ქმედების შეფასებით გამოწვეული ბავშვის სულიერი მღელვარება აქ კულმინაციას აღწევს და გამძაფრებულ ემოციურ განცდას მხატვრული დეტალით წარმართავს.

პატარა კოტეს უჭირს, როგორც ბავშვს, საკუთარი საქციელის ანალიზი, ერთგზის იმასაც დაასკვნის, რომ მას "არ უნდა მიეცა მათხოვრისთვის დედის ფული", რადგან "ამის შემდეგ ხომ აღარ ენდობოდა დედა.." ფიქრში კოტე ხან მათხოვარზეც ბრაზობს: "არა, რაღა მაინც იმ გზაზე დამჯდარა მაინც ის გლახა?", ხანაც ბავშვი ასკვნის თავის თავზე, რომ "კოტე ცუდი ბავშვია", "დედას ფული დაუკარგა"; მერე შინაგანი ხმა ამხელს. "როგორ თუ დაუკარგა? განა მათხოვარზე მიცემა დაკარგვაა?" ერთგზის ისიც კი დაასკვნა, რომ "კარგად ჰქნა, რომ მათხოვარს ფული მისცა" და ასეთ შინაგან ჰიდილში იგი კარგა ხანს დგას სახლის მოსახვევთან "ზან კმაყოფილი თავის საქციელით, ხანაც უკმაყოფილო, ვერც წინ მიდიოდა და ვერც უკან". ამ ეპიზოდში დუტუ ოსტატურად ახდენს პედაგოგიური იდეის ესთეტიკური განცდით მოწოდებას და იგი ნაწარმოების თემატურ ქსოვილში აცოცხლებს პატარა კოტეს საქციელის სწორ ანალიზს: ეპიზოდში, სადაც დედა ცდილობს გაარკვიოს, თუ სად წაიღო კოტემ შაურიანი, პასუხს იმ მათხოვრისგან იღებს, რომელიც მისმა შვილმა გაიკითხა: "შაური მე მომცა, ნუ გაუჯავრდები, ღმერთმა გაზარდოს და კაი კაცი გამოიყვანოს". მაგრამ პატარა კოტესთვის დედის შეფასებაა უმთავრესი, ისევე როგორც ყველა ბავშვისთვის და მისი საქციელის სწორ შეფასებასაც ავტორი დედის სიტყვებითშიძლევა: "გლახის მიცემა ცუდი არ არის და რაღაი მიეცი, რაღაზე დამიფიცე? მართალია, ჩვენ თვითონ გაჭირვებულები ვართ, მაგრამ ეს კიდევ უფრო გაჭირვებულია ჩვენზე. ნეტა ბევრი მოგვცა, რომ ბევრის მიცემა შევძლოთ..."

არანაკლებ მნიშნელოვანია დუტუ მეგრელის საბავშვო მოთხრობების "კეთილი პეტრე" და "შხიარული სამხარი", რომლებშიც სიყვარულის, სამართლიანობის ბავშვური განცდა აღმზრდელობით-დიდაქტიკური თანმხლები ამოცანებით არის გაჯერებული.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ დუტუ მეგრელი ქართული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო კლასიკოსია, რომელმაც საბავშვო ლიტერატურისთვის განსაკუთრებული, მრავალი გამომსახველობითი ხერხი დანერგა, რომლებიც პედაგოგიურ–ფსიქოლოგიურ პრინციპებთან ერთად, ენობრივი, სიუჟეტურ–კომპოზიციური, ფსიქოლოგიური ნოვაციებით გამოირჩევა.

თავი IV. ლირიკული აღსარება

საუკუნეთა მიჯნის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ კატაკლიზმებში იცვლებოდა ჭვეჭნის იერი და მასთან ერთად მწერლის ინდივიდუალური სახეც. გარდატეხის ეპოქაში რადიკალურ ცვლილებას განიცდიდა ლიტერატურულ-კულტურული ტრადიცია, მაგრამ მსოფლმხედველობრივი და ხელოვნების კონცეფციათა ნაირსახეობის მიუხედავად, ცენტრალურ საკითხად მაინც რჩებოდა საქართველოს ბედი და მისი როლი ახალ ისტორიულ ეტაპზე. საუკუნეთა მიჯნის თაობა (მარქსისტულ-სოციალისტური და სიმბოლისტური მსოფლმხედველობის) "თერგდალეულთა" თაობას უპირისპირდება, ხდება ტრადიციების გადასინჯვა, ხშირად უარყოფენ და კორექტირებას უწევენ ილიას, აკაკის, ჯაზბეგის და მით უფრო, მათ მიმდევართა ლიტერატურულ-ესთეტიკურ, თუ პოლიტიკურ შეხედულებებს...

XIX საუკუნის მიწურულს წინა პლანზე წამოიწია და აქტუალური გახდა ისტორიასთან მიმართებაში ადამიანის რაობის საკითხი; ლიტერატურის ცენტრალურ თემას წარმოადგენს ადამიანის ბედი, გარემოსამყაროსთან მისი წინააღმდეგობა და მისი შინაგანი კონფლიქტი, რაც ერთობ მახასიათებელია, როგორც რუსული-ევროპული, ასევე ქართული ლიტერატურისთვის.

ქართულ ლიტერატურაში ამ პერიოდისათვის თავს იჩენს ადამიანის ორი ტიპის მხატვრული სახე: ადამიანი "მსხვერპლი" და ადამიანი "მოღვაწე". პირველი ლიტერატურული ტიპი ("მსხვერპლისა") განსაზღვრავს "ხალხოსანთა" მთელ და უმეტესად მარქსისტულ-სოციალისტური მსოფლმხედველობის მწერლების ლიტერატურულ ესთეტიკას (ნინოშვილის, არაგვისპირელის, ევდოშვილის და სხვა), რომელთაც მაქსიმ გორკის ლიტერატურული თეზა, რომ: "ადამიანის ნამდვილ ისტორიას წერს არა ისტორიკოსი, არამედ მხატვარი" – ერთმნიშვნელოვნად სოციალური თემატიკით განავითარეს. "მესამედასელებმა" და მათმა მიმდევრებმა ვერ შენიშნეს ლიტერატურის ახალი ესთეტიკური კრიტერიუმები,

რომელთა ერთ-ერთ მახასიათებელ ნოვაციას წარმოადგენდა ლირიკული "მე"-ს სფერო, სუბიექტური ელემენტის პირველ პლანზე წამოწევა (რომელიც ხან ბიოგრაფიული დეტალებით, ხანაც სულიერ განცდათა ფიქსაციით ხორციელდება). ცნობილია, რომ სუბიექტური ხედვა, ინტიმური ლირიკული თხრობა რომანტიკოსებსაც ახასიათებდა, მაგრამ ლირიკული გმირი მათთან მუდამ სამყაროს ცენტრია (თუნდ უკიდურესი მწუხარების დროსაც (გავიხსენოთ ბარათაშვილი, ორბელიანის "საღამო გამოსალმებისა" და სხვა), მაგრამ სულ სხვა სფეროდან აღმოცენდებიან საუკუნეთა მიჯნის ლირიკული გმირები (პროზაშიც და პოეზიაშიც), რომლებიც, როგორც პიროვნებანი განიცდიდნენ და სრულად აცნობიერებდნენ გარე სამყაროსთან, ადამიანებთან ურთიერთობის ტრაგიზმს. საუკუნეთა მიჯნის ლირიკული "მე" (განსხვავებით შემდგომ კიდევ უფრო სახეცვალებული "სიმბოლისტების" მისტიკური სუბიექტივიზმისგან) ყოფიერების განცდით და ყოფიერი ცნობიერებით ვნებული და ტრაგიკული სუბიექტია – ალბათ ასე შეიძლება სამოციანელთა (და მათ მიმდევართა) შემდგომი თაობის ლიტერატურულ ესთეტიკური კრიტერიუმების შეფასება.

სწორედ ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე განსხვავებული ხედვის და მეტად შთამბეჭდავი ფიგურაა დიმიტრი ხოშტარია – პოეტი დუტუ მეგრელი, რომლის პოეზიაც ზედმიწევნით სწორად შეაფასა პროფ. ალ. ხახანაშვილმა: "დუტუ მეგრელი სუბიექტური პოეტია, იგი ლირიკოსია, ამ სიტყვის სრული გაგებით..."

დუტუ მეგრელის პოეტური პორტრეტი მისი შემოქმედების და პიროვნების კონტექსტში უნდა განვიხილოთ, როგორც ამას შენიშნავს ალექსანდრე ბლოკი თავის სტატიაში "Душа писателя": XIXს დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის პოეტური შემოქმედების ერთ-ერთი მიღწევა ის იყო, რომ ჩვენ უკვე პოეტის ცალკეულ ლექსს აღარ აღვიქვამდით მის შემოქმედებასთან, მის პიროვნებასთან კონტექსტის გარეშე. ლექსი, ან ცალკეული სტრიქონი ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი პოეტის რაღაც მხარეს, სახეს, მისი შემოქმედების ლირიკული გმირის ხასიათს გვიხსნის" (А. Блок, собр. соч.

T.S.C. 369. M-Л. 1962.).

დუტუ მეგრელის პოეზია მშვენიერი სულის აღსარებად წარმოდგება. დუტუს ლირიკულ აღსარებაში ბიოგრაფიულ-ეროვნულ პრობლემათა ერთობით განცდაა მოცემული, სადაც ლირიკული გმირის გამძაფრებული შინაგანი ტრაგიზმი ეროვნული პრობლემებითა და ზოგადადამიანური ტკივილით არის გაჯერებული. მისი პოეზია იერემიას "გოდების" სევდის მატარებელია; მაგრამ, როგორც ადრევე აღვნიშნეთ, ეს არ იყო პირადად მისი ბუნების მახასიათებელი სევდა, არამედ ეს იყო – საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ ბაკხანალიაში ეროვნულ ტრადიციათა და ზნეობრივ ფასეულობათა გადაფასების მცდელობით აღძრული წუხილი: "ამბობენ, შეგვაწუხაო

„ამდენმა მოთქმა-ტირილმა!.
საკვირველია!.. მაშ, რა ქნას,
იცინოს მამულიშვილმა,
რომელმაც იცის, რომ მტრისგან
ვერ დაძლეული სამშობლო
მისვე შვილთ პირუმტკიცობამ
დაღუპა, ბოლო მოუღო?"

დუტუს სულიერმა მეგობარმა და თანამებრძოლმა შალვა დადიანმა პირველმა შენიშნა დუტუს პოეზიაში ეროვნული და პირადი პრობლემების იგივეობა: "აღშფოთებულმა, იმდროინდელი ცხოვრებით და თავისი განმარტოებული უძლურებით, მიმართა ცრემლებს და ამ ცრემლებს ამოაყოლა მძაფრი პროტესტი" (შ. დადიანი, ლიტ. საქ., 1938წ. №7). შალვა დადიანი ამავე წერილში აღნიშნავს, რომ "დუტუს ლექსებმა მაშინდელ საზოგადოებაში მოიპოვა პოპულარობა. ხალხმა დაიწყო სიმღერა ამ ლექსებისა, ბავშვებმა კიდევ დეკლამაცია "მე პატარა ქართველი ვარ..."

დადიანისეული მოგონება კიდევ ერთგზის ადასტურებს, რომ დუტუ მეგრელის ლირიკული სევდა იმდროინდელი ჯოფით აღძრული სევდაა, რაც ქართველი

ხალხის გულში გამოძახილს ჰპოვებდა. პოეტს იმდენად გათავისებული ჰქონდა ეროვნული პრობლემები, რომ ხშირად ძნელია მის პოეზიაში პირადულისა და საზოგადოებრივის, ბიოგრაფიული და ეროვნული ტკივილით გამოწვეული წუხილის გამიჯვნა: ლექსში "მწარე ფიქრები" ლირიკული გმირის სევდიანი აღსარება ცხადყოფს, რომ მისი "სევდა", "ცხარე ცრემლი" და "ავადმყოფობა" სამშობლოს ბედით, დროის ბნელი სულისკვეთებით არის გამოწვეული:

"კვლავ ჩემი სული შეიპყრო სევდამ,
კვლავ შხამ-ნაღველით ამევსო გული
და კვლავ ვსტირი მე ცხარის ცრემლითა
მწარე ფიქრებით გარემოცული"

პოეტს უკვირს იმ ადამიანთა უზრუნველობა, ლხენა-გართობა, რომლებიც თითქოსდა იმ სავალალო დროში არ ცხოვრობენ, როდესაც საქართველოს ისტორიული ბედი წყდებოდა, როდესაც ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერება ათეისტურ-კოსმოპოლიტურით იცვლებოდა. პოეტი აღშფოთებით და იმავდროს გაოცებით კითხულობს:

"რა ახარებთ მათ, ან მე რად ვწუხვარ?
ნუთუ იქ ყველა ბედნიერია
და მარტოკა მე უბედური ვარ,
მარად ცრემლის ღვრა ჩემი ხვედრია?
მერე რითი ვარ მე უბედური
და ისინი კი ბედნიერები?
განა ჩვენ ყველა ერთ დროს არ ვცხოვრობთ
და ერთის ქვეყნის არ ვართ შვილები?.."

ამ კითხვებზე პოეტი ნათლად იძლევა პასუხს, რომლითაც დუტუ მეგრელის ლირიკული გმირის სევდიანი პორტრეტი იკითხება;

"მეც ამას ვწუხვარ, ამასა ვსტირი,
რომ როცა ჩვენი მხარე მშობელი

ძლივს იბრუნებს სულს და შველასა გვთხოვს,
ცრემლიან თვალთა ჩვენკენ მპყრობელი
. . . . .
ჩვენ, თუკი თვითონ დავკმაყოფილდით,
სწრაფ გვავიწყდება სულყველაფერი...“

პოეტის ლირიკული “მე”-ს აღმსარებლური ინტონაცია მეტ უშუალობას, მეტ ინტიმს წარმოშობს და თხრობითი მანერით გადმოცემული ეს აღსარება ბევრი კრიტიკოსისათვის, რბილად რომ ვთქვათ, დამაბრკოლებელია. არადა დუტუს ლირიკის ეს “სასაუბრო” ენა აღმსარებლური ინტონაციის გამაძლიერებელია და ხშირად იგი ლექსის მელოდიის ახალ ტონალობას, ლირიკული “მე”-ს აღმსარებლურ ინტონაციას ქმნის, რომელიც ფორმით წარსულს (ბესიკს) ეხმიანება, ხოლო სიმბოლურ სახეთა მწყობრი მდინარებით – სიმბოლისტური სკოლის წინარე ეტაპს:

“ცხრამეტთა წელთა,
შავთა და ბნელთა
წაიღეს დღენი ჩემი სიცოცხლის,
მუდამ ბრძოლაში, მუდამ ტანჯვაში,
მუდამ დევნაში მუხთალის სოფლის!..”

ამ ლექსის რიტმი და მასთან ლირიკული გმირის აღმსარებლური გახსნილობა შთამბეჭდავია და ემოციურ მუხტს აძლიერებს ლექსის მელოდიის ახალი ტონალობაც:

“გაქვავდა გული,
დაეცა სული,
გრძნობა – გონება მიჩლუნგდებოდა;
დადუმდა ენა, გამიქრა რწმენა
და სასოება მეკარგებოდა...”

დუტუ მეგრელის ლირიკული პორტრეტისთვის ნიშნეულია ორსტროფიანი

ლექსი "პასუხი", სადაც ორიოდ მხატვრული შტრიხით არის გაცოცხლებული ლირიკული გმირის სულიერი სახე:

"ჩემი გული მცენარეა,
უდაბნოში ობლად რგული,
მისი ნამი ცრემლებია
და მისი მზე – სიყვარული"

დუტუ მეგრელი ცხოვრებისეულ წინააღმდეგობათა ჯაჭვს მუდამ სულიერი ძალმოსილებით არღვევდა და ამიტომაც პირადული მწუხარება მისთვის ჩვეული ადამიანური ხვედრია. 1893 წელს დუტუ აბასთუმნიდან სწერს იმხანად ჯერ კიდევ უახლოეს მეგობარს კიტა აბაშიძეს: "ძმაო კიტა... იმედია ძალას მოიკრებდი იმ საშინელი ტანჯვა-წვალების მერე, რაც ოდესაში გამოიარე და აგრეთვე რაც შინ მოგელოდა "ქვეყანა ასე მქმნელია", ტანჯვა ხვედრია ადამიანისა. მე დიდი ხანია ამ აზრს შევურიგდი და ამას წინათ ლექსიც დავწერე ამაზედ, რომელიც აქვე მომყავს:

"შეეჩვია ტანჯვას სული და გული,
ჯოჯოხეთის ცეცხლში დამწვარ-დაგული;
შევეჩვიე ჭირს, ვაებას მარადის,
შევეჩვიე და აწ მიჩანს არად ის..."

კიტა აბაშიძისადმი მიწერილ წერილში დუტუ პირველად სწორედ მას აცნობს და სრულად მოჰყავს თავისი ლექსი "ჩემი სიმღერა", რომელსაც აკაკის აშკარა გავლენა ატყვია.

ცხოვრებისეული ბრძოლით დაქანცული დუტუს ლირიკული გმირი, რომელიც პირადი განსაცდელებით ხშირად სასომიხდილია და დაუძლურებული, მხოლოდ მამულისა და ხალხის წინაშე მოვალეობის გრძნობით არ იდრეკს ქედს და ამ აზრით შთაგონებული და გამხნევებული იზრახავს: "შემოვიკრიბო ძალ-ღონე, ვიბრძოლ-ვიომოთ" და "მეცა სულით დაცემული ისევ ვმაღლდები და

საბრძოლველად კვლავ მზადა ვარ გამხნევებული!". ("სამი ხმა").

ლექსი "სამი ხმა" რუსულ ენაზე თარგმნა სოფიო ამილახვარმა, გვაუწყებს ალ. ხახანაშვილი და ამ ლექსს და მასთან დუტუს პოეზიას ზოგადად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: "В основе лучших стихотворении поэта кроется горячая и искренная любовь к народу, любовь граждская. Любовь эта полна той элегической грусти, которая кладет на нее особый поэтический колорит. Это чувство и вызывает слезы поэта, его скорб, а подчась и желч. Проникнутый этим чувством, поэт в изображении житейских явлений безпощаден и не боится тех неприятных ощущений, какия могут быть вызваны созерцанием неподкращенной действительности. "

პროფ. ალ. ხახანაშილის ამ შეფასებაში მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ დღეს "ელეგიური სევდის" (როგორც ეს მან კარგად შენიშნა) ორმაგი ბუნება ნათლად წარმოაჩინა ეროვნულ-სამოქალაქო და ცხოვრებისეული სახით.

აღსანიშნავია, რომ ეს ორმაგი "ელეგიური სევდა" წარმართავს დუტუს პოეზიის აღმსარებლურ ხასიათს. მისი ცხოვრებისეულ-ბიოგრაფიული ლექსები აშკარად უფრო პესიმისტურია, ვინემ ეროვნულ-სამოქალაქო თემებზე დაწერილი მისი ლირიკა.

პირადულით გამოწვეული სევდა პოეტში ამგვარ ხილვებს აღძრავს:

"შემოდგომის გლოვის ზარი,
სამწუხარო და საზარი,
ვით ჯალათი თავის მსხვერპლსა,
მიწამლავს სულს და მიკლავს გულს"...

(„შემოდგომის მელოდია")

სულ სხვა განცდით წერს იგი სამშობლოზე, სულ სხვა ტონალობა აქვს სამშობლოს ხვედრით მოღაღადე პოეტს, რომელსაც პროტესტიცა და ძალმოსილებაც ერთბაშად გასდევს. 80-90-იანი წლებისათვის სრულიად ახლებური

მელოდიურობით ჟღერს მისი ლექსის სტრიქონები;

"მხარევ ტანჯულო,
მხარევ დევნილო,
მხარევ ჩაგრულო,
უმწედ შთენილო,
ვინც მტერს მრავალჯერ გამკლავებიხარ,
თვით ლომს და არწივს ვერ უძლევიხარ,
ნუთუ დღეს ისე დაეცი, წახდი,
რომ ბილწ ყორნისაც სათრევი გახდი?!"

სამშობლოს ტრაგიკული ყოფით აღვლენილ ამ ღაღადისს თან ახლავს შინაგანი პროტესტის მუხტი, რომელიც გადამდები ძალის მატარებელია. თუმცა დუტუს პოეზია ღრმა მწუხარებით არის აღბეჭდილი, მაგრამ მის შემოქმედებაში მწუხარება და სევდა სასოწარკვეთამდე არასოდეს არ არის დაყვანილი, პირიქით, დუტუ მეგრელი ახალი თაობის ერთ-ერთი პირველთაგანი მწერალია, რომელიც შალვა რადიანის გადმოცემით: "მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგიით ეკვეთა ძველს, მდორე ცხოვრებას და იმ თაობაში, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, პირველმა მან დასცა ყიჟინა".

პოეტი ხშირად მიმართავს ცრემლს და, ერთი შეხედვით, მისი პოეზია გოდებით დაუძლურებული სულის აღსარებად გვეჩვენება, მაგრამ დუტუს ლირიკული გმირი იმედს არასოდეს კარგავს, პირიქით, მისი გული და გრძნობა ტკივილით და მწუხარებით განწმენდილი აღემართება მუდამ და სამშობლოს ასე შემოუძახებს:

"სამშობლოვ, რისთვის შეწუხებულხარ?
ნუთუ არ იცი, რომ ეს დროც შავი,
ვით წინანდელი, მალე გაჰქრება,
კვლავ გაგიღიმებს ბედის ვარსკლავი,
კვლავ მოგეცემა თავისუფლება".

შალვა დადიანი წერს: "მართალია ის აზრი, რომ მისი ლექსები, უწინარეს ყოვლისა აღვიძებდა ქართველ ხალხში ეროვნული განთავისუფლების თვითშეგნებას და მოუწოდებდა უფრო უკეთესი ცხოვრებისაკენ საბრძოლველად" (შ. დადიანი, "რეალისტი მწერალი", ლიტ. საქ., 1938 წ., №7, 20 მარტი).

პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილიც ხაზგასმით აღნიშნავს დუტუ მეგრელის ლირიკის მებრძოლ სულისკვეთებას და მისი პოეზიის უმთავრეს მახასიათებელ თავისებურებად აცხადებს: "Характерная особенность его музы – это ее воинственное настроение: она жаждет борбы. Сознавания, что преобладание зла в мире велико, поэт, не отчайваясь в победе, смело идет в бой с неправдой и тьмой за истину и свет».

პირადული და სამშობლოს ტრაგიკული განცდით გამსჭვალული პოეტი, რომელიც ლუკმაპურისთვის ხან ყარსი-ოლთისის ოლქში, ხან ნახჭევანში თითქმის გადასახლებაში იმყოფებოდა და 25 წელი მარტოობის მძაფრი განცდით, გადასახადთა ინსპექტორის სკამს მიჯაჭვული, აცნობიერებს, რომ მისი ტრაგედია, ეროვნული ტრაგედიით იყო განპირობებული, რაც კიდევ მეტად აძლიერებს მის სულიერ ტკივილს:

"გველირსებაღა ნეტა ის დრო, როს მამულიშვილს
არ სჭირდებოდეს თრევა ლუკმა პურისთვის?
მთელს თვის ძალღონეს შესწირვიდეს სამშობლო მხარეს
და ვალმოხდილი, ჩაესვენოს იმავ სამარეს.

("გ. ჭალადიდელის სიკვდილის გამო")

სიმარტოვის მძაფრი განცდით მოცული პოეტი, რომელიც უსამშობლოდ, ცოლ-შვილს მოცილებული, "შშობელ კერას" მოკლებული მხოლოდ ერთს ნატრობს: "სამშობლოში დაბრუნება, იქ ბრძოლა და-იქ სიკვდილი". სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი პოეტი, რომელიც "უცხო ცის ქვეშ, უცხოთ შორის" იმყოფება, ფიზიკურ სიკვდილს ხსნად მიიჩნევს, რადგან სამშობლოს მოცილება მისთვის სულიერი სიკვდილია და ეს კი უდიდესი სატანჯველია ადამიანისათვის:

"მკვდარი ახლა ვარ მთელის არსებით,
მაშინ კი მხოლოდ ხორცი მოკვდება
და თავისუფლად დაიწყებს ფრენას.."

("გზაზე")

ავტობიოგრაფიაში დუტუ წერს: "მე მეგონა, რომ რომელსამე ქართულ დაწესებულებაში ვიშოვიდი რამე სამუშაოს, მაგრამ მოვტყუვდი. არამც თუ სხვაგან, ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაშიც კი, სადაც მაშინ იხსნება ზედამხედველის ვაკანსია, უარს მეუბნებიან ამ თანამდებობის მოცემაზე... როცა ვერც ქუთაისში და ვერც თბილისში ვერაფერს გავხდი (მხოლოდ გიორგი წერეთელმა აღმითქვა "კვალში" მუდმივი მუშაობით 40 მანეთი, მაგრამ ეს მუშაობა მე თვითონ ვეღარ შევძელი, მით უმეტეს, რომ ამ ფულით მე და დედუ ვერც ვიცხოვრებდით თბილისში..."). (საქ. ლიტ მუზეუმი, №22438).

დუტუმ ერთგზის ილია ჭავჭავაძესაც მიმართა სამსახურისთვის, მაგრამ რედაქციას ხელფასის დანიშვნა არ შეეძლო და ჰონორარების გაცემაც კი უჭირდა. ილიამ დუტუს აღუთქვა, რომ მის ნაწარმოებებს გამოაქვეყნებდა, რამაც დუტუს სულიერი ძალა შემატა და როგორც თავად აღნიშნავს: "მისთვის სულიერად ეს უფრო მნიშვნელოვანი იყო".

მაგრამ დუტუ იძულებული იყო ეზრუნა დედისა და თავის სარჩენად, იგი კარგახანს ეძებს სამსახურს: "მე მინდოდა შევსულიყავი სამსახურში, მინდოდა დავრჩენილიყავი საქართველოში, რომ კალმის საშუალებით მოვხმარებოდი ჩემს სამშობლოს, 1891 წლიდან 1893 წლამდე თითქმის ყველა დაწესებულება შემოვიარე, მაგრამ შესაფერისი ადგილი ვერ ვიშოვე..." (იქვე).

დუტუს ბიოგრაფიის ამ მოხმობილი ეპიზოდიდან, დოკუმენტურად საჩინოვდება ახალგაზრდა მამული შვილის ხვედრი, პოეტის ცხოვრებისეული სინამდვილე, რომელიც ზოგადეროვნულ ტრაგედიას წარმოადგენდა. მოგვიანებით დუტუ მეგრელი ამის შესახებ იტყვის: "ქართველ მწერალს მატერიალური მდგომარეობა თუ სხვა რამ გარემოებანი არამც თუ ხელს უწყობს მისი ნიჭის

გაზრდას და განვითარებას, პირიქით, ხუთავენ და ახმობენ მათ...“ (ავტობიოგრაფია).

გარემოებანი, რომელნიც “ზუთავენ და ახმობენ” მწერლის ნიჭს, უფრო ღრმა იყო, ვინემ ეკონომიკური სიდუხჭირე. მოგვიანებით კრიტიკოსი გერონტი ქიქოძე ამ სიღრმეებს მიმოიხილავს და იმ პერიოდის ქრონიკას წერს: “თბილისს გარკვეული ეროვნული სახე არ ჰქონდა და ნაკლებ მიმზიდველ სანახაობას წარმოადგენდა ახალგაზრდა პატრიოტი ქართველი სტუდენტისთვის, ქალაქის ცენტრალურ უბნებში ქართველობა უფრო დროებით შემოხიზნულს ჰგავდა, ვიდრე თბილისის მკვიდრ მოსახლეობას; მას უფრო მოუწყობელი, ღარიბი უბნები ეჭირა. ვერც ერთ თვალსაჩინო მაღაზიაზე ან რესტორანზე ქართულ აბრას ვერ დაინახავდით, ვერც ერთ ქუჩაზე ან მოედანზე ქართულ წარწერას ვერ წაიკითხავდით, არც ერთ დიდ წიგნის მაღაზიაში ქართული წიგნი არ მოიპოვებოდა; ზაქარია ჭიჭინაძის და ქართველთა ამხანაგობის გამოცემები ბუკინისტების კარადებში უნდა გეძებნათ და თაროებზე. . . .

სომხის ბურჟუაზია შეუზრუდველად ბატონობდა ბანკებში და თვითმართველობაში. აქ მის დიქტატურას მხოლოდ რუსების ბიუროკრატია, პოლიცია და მხედრობა ზღუდავდა.

ქართველ ინტელიგენციას თავი შეეფარებინა გიმნაზიებში, ქართულ თეატრსა და გაზეთის რედაქციაში...“ (გერონტი ქიქოძე, “წერილები, ესსეები, ნარკვევები”, თბ., 1985 წ., გვ. 543).

ეს იყო ის გარემოებანი, ის რეალობა, რომელშიც ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის გასრულების შემდეგ დუტუ მეგრელს უწევს ადგილის ძიება, როგორც მატერიალური არსებობისთვის, ასევე სულიერი ცხოვრების წარსამართავად და რომელიც “ზუთავდა და ახმობდა” ახალგაზრდა ქართველი მოღვაწის ასპარეზს; ეს იყო გარემო, რეალობა, რომელსაც კიდევ უფრო ამძიმებდა მარქსისტულ–სოციალისტური სულიერად დამანგრეველი იდეოლოგია, რომელმაც ისეთ პარადოქსამდე მიიყვანა ქართული ცნობიერება, რომელზეც გ. ქიქოძე იტყვის: “კაპიტალმა” და “კომუნისტური პარტიის მანიფესტმა” ჩვენს შეგნებაში სახარება

შეცვალა"-ო; ხოლო ვიქტორ ნოზაძე იგონებს: ერთხელ "წირვის გამოსვლის შემდეგ, მღვდელმა თავისი მისალმება ასე დაასრულა: "გაუმარჯოს ინტერნაციონალს" ("ქართული ემიგრანტული ლიტ.", თბ., 1991 წ., ტ., 1, გვ. 4).

ამგვარ იდეოლოგიურ და უცხოტომელთა ანტიქრისტიანულ გარემოცვაში დუტუ მეგრელი ხედავდა, რომ საქართველოში მამულიშვილისთვის, მით უფრო საზოგადო მოღვაწისთვისაც ადგილი არ იყო და ამ "შემხუთავ და გამხმობ" გარემოში არამც თუ ახალგაზრდა მოღვაწისთვის, არამედ ცნობილი საზოგადო მოღვაწეებისთვის საბედისწერო გახდა "მართლის თქმა" – ეროვნული ინტერესების დაცვა, რისთვისაც ისინი იდევნებოდნენ და საეჭვო ვითარებაში ესალმებოდნენ წუთისოფელს. სწორედ ეს მოვლენა ასახა მეტად თამამად და შთამბეჭდავად ახალგაზრდა პოეტმა დუტუ მეგრელმა იმხანად მეტად გახმაურებულ ლექსში "ზუთი სურათი", რომელმაც ახალგაზრდა პოეტს უმალ აღიარება მოუტანა.

ლექსში "ზუთი ხმა" პოეტი წარმოგვიდგენს იმ ხუთი ქართველი საზოგადო მოღვაწის პორტრეტს, რომლებიც საქართველოს მტრების მიერ ვერაგულად იქნენ მოკლულნი. იმდროისთვის საკმაოდ თამამად არის ლექსში განცხადებული, თუ საქართველოში სიმართლის მთქმელისათვის, ეროვნული მეობის დამცველისათვის, რაოდენ სახიფათოა "ცხოველ და აზრიან" სიტყვებით მჩაგვრელი ძალის მხილება. ეროვნული მეობის დამცველთა ბედით შეძრწუნებული დუტუ, როდესაც კალამს იღებს ხელში და წრფელი გრძნობით გატაცებული წმინდა სიმართლის აღდგენას" ცდილობს, მას უმალ მათი აღსასრული უდგება თვალწინ.

"მაშინ მე თვალწინ ეს სურათები
მეხატებიან თავზარდამცემი,
და კალამისა გაგდებას მირჩევს
შეშფოთებული გონება ჩემი!"

ეროვნული თავისუფლებისათვის და მრწამსისათვის მოღვაწეთა ტრაგიკული აღსასრული ლექსში ცოცხალ სურათებად წარმოდგებიან და ცოცხლდებიან პორტრეტები: სერგეი მესხისა, ევ. მჭედლიძე – "ბოსლეველისა", დიმიტრი ყიფიანისა,

მამია გურიელისა, ალ. ყაზბეგისა.

საინტერესოა, რომ დუტუს ლექსში "ზუთი სურათი" პირველად იქნა ხმამაღლა თქმული აზრი, რომ ყაზბეგის სულიერი აშლილობა, საგიჟეთში მისი მოთავსება საქართველოს მტრების მიერ იქნა ინსპირირებული. ძნელია, გულგრილად წაიკითხო, ყაზბეგისთვის გამოტანილი განაჩენი და მისი შედეგი, რომელსაც დუტუ ღრმა ფსიქოლოგიური განცდით გადმოგვცემს:

"მშვენიერისა სახის ვაჟკაცი,
თუმცა უდროოდ გათეთრებული,
საგიჟეთშია, ხმას არავის სცემს
და დადის მარად ჩაფიქრებული;
თან ამბობს "ნეტა სად დამიმალეს?!"
აქ დაამწყდიეს ხომ ჩემი მარი
გულქვა სოფიომ და პორფირუშკამ,
თუმცა ის გიჟი სულაც არ არის!
ამბობს და ეძებს თვის ფანტაზიის
ნაყოფს დიდი ხნის უკვე შეშლილი
და მანამ უნდა იწვალოს ასე,
არ მოასვენებს ვიდრე სიკვდილი!"

ერისთვის მოღვაწეთა მწარე ხვედრის მიუხედავად დუტუ უკან დახევას მაინც არ ფიქრობს, იგი "ზელიდან კალმის გაგდებას" არ აპირებს და მზადაა მათი ხვედრი გაიზიაროს, ოღონდ ერთს ნატრობს: "რომ თუ ამგვარი მელის მეც ბედი, ბევრის თქმა მაინც შევძლო მანამდის!"

ლექსი "ზუთი სურათი" მეტად თამამი გამოსვლა იყო ახალგაზრდა დუტუ მეგრელისა და გამოწვევა საქართველოს მტრებისა, რომელთა მიმართ ეს ლექსი ბრალდება იყო და, იმავ დროს, დუტუს განაცხადიც, რომ იგი ერისთვის მოღვაწეთა გზას დაადგებოდა და მათ ხვედრს გაიზიარებდა.

რა თქმა უნდა, ანტიქართულ ძალებს შეუნიშნავი არ დარჩენიათ დუტუს

მებრძოლი სული, მისი პოეტური პათოსი:

"მე მინდა ცხოველ, აზრიან სიტყვით
აღვუფრთოვანო ტანჯულთა სული..."

აკი აიძულეს კიდეც იგი (სამსახურში ყველგან გზის გადაკეტვით) თავის სარჩენად სომხეთსა და აზერბაიჯანს გადახვეწილიყო დედასთან ერთად.

ემიგრაცია მუდამ უკურნებელი სენი იყო ჰეშმარიტი ქართველისათვის; ხოლო ქართული სიტყვის მსახურისათვის კატორღის ტოლფასი იყო სამშობლოდან ათწლეულებით განშორება.

"მაშ ასე, ჩემო სამშობლოვ
უნდა მოგშორდე, ეს არის
და სხვაგან გადავიხვეწო,
მარადის შენთვის მკვნესარი!"

მაგრამ ეს განშორება ოდენ ხორციელი იყო; იცოდა პოეტმა, რომ იგი ერთგზის არჩეულ გზას ვერ დათმობდა და, რომ სადაც არ უნდა ყოფილიყო, იგი სამშობლოს "ტკივილს" და "ოხვრას" მაინც იგრძნობდა და, რომ "შონებით, გრძნობით და ფიქრით" ისევ მასთან იქნებოდა.

"ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში" დუტუს მწუხარება უზომოა, სამშობლოსთან განშორება მისთვის გასაჭირში მყოფი მშობლელთან განშორების ტოლფასია: "მე მინდოდა შევსულიყავი სამსახურში, მინდოდა დავრჩენილიყავი საქართველოში, რომ კალმით მოვხმარებოდი ჩემს სამშობლოს, გული მწყდება, რომ ვერ მოვეწყე საქართველოში, მაგრამ ვნუგეშობ იმით, რომ ოლთისიც ერთ დროს საქართველო იყო".

უცხოობაში მყოფი პოეტი ამიტომაც ხშირად მიდიოდა ძველ ქართულ ოლთისის ციხესთან და იქ შვებას ეძლეოდა:

"როს უცხოთ შორის, მარტოდ მყოფს,
გულს სევდა შემომაწვება,
რომ მცირედ არის მაინცა

მივცე საბრალო თავს შვება,
მოვრბივარ შენს ნანგრევებზე,
ვისვენებ დაღონებული,
და დროთ სივრცეში მიმოვფრენ,
ოცნებით გატაცებული!"

პოეტს ოლთისის ციხე დაკარგული საქართველოს დიდების სახეს აგონებს და იგი სატრფოს საფლავივით ძვირფასია მისთვის.

"როს უცხოთ შორის, მარტოდ მყოფს,
გულს სევდა შემომაწვება,
რომ მცირედ არის მაინცა,
მივცე საბრალო თავს შვება,
მოვრბივარ შენს ნანგრევებზე
ვისვენებ დაღონებული!..."

ყარსისა და ნახჭევანის მაზრებში ჩინოვნიკის მაგიდას მიჯაჭვული დუტუ, არა ოდენ გონებით, ფიქრით და გრძნობით დასტრიალებდა საქართველოს, არამედ იგი სიტყვით, საქმით და ყოველგვარი ღვაწლით საქართველოში მიმდინარე მოვლენების ცენტრში იყო და მონაწილეობას იღებდა მრავალ კამათში საჭირბოროტო საკითხთა შესახებ. დუტუ უცხოეთიდან თვალყურს ადევნებდა პრესას, პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ ცხოვრებას და ხშირად აგზავნიდა ამა თუ იმ საკითხზე კორესპონდენციებს, მხატვრულ ნაწარმოებებს. აღსანიშნავია, დუტუს პუბლიცისტური წერილები: "ზმა შორიდამ", "სალიტერატურო შენიშვნები" და "ჯეჯილის" დასაცავი წერილი, რომლებზეც შემდგომ ვისაუბრებთ.

ემიგრაციაში მსახურებისას დუტუსთან მრავალ საზოგადო მოღვაწეს ჰქონდა წერილობითი ურთიერთობა. რომანოზ ფანცხავას, თედო სახოკიას, შალვა დადიანს, მოსე ჯანაშვილს და სხვა. საინტერესოა, მოსე ჯანაშვილის წერილი, რომელშიც იგი საისტორიო მნიშვნელობის დავალებას აძლევს:

"დიდად პატივცემულო დიმიტრი თომას-ძევ. საცა თქვენ მსახურობთ, მაგ

ადგილის ახლოს ბანას (ფანასკერტი) ასაფლავიან: დედოფალი სითიხათუნ და ქმარი მისი მეფე ვახტანგ IV (1445). თუ შემთხვევა მოგეცათ, ნუ დაიზარებთ და ნახეთ ბანა და მისი სიწმინდეები, საფლავნი ხსენებულ პირთა. დიდად დამავალებთ, თუ მოიძიებთ რაიმე წარწერას საფლავებისას და ან რაიმე ცნობას, რომელსაც ადგილი მიეცემა "საქართველოს ისტორიის" მესამე გამოცემაში.

1896წ. 1 ენკენისთვე, ტფ.

მარადჟამ თქვენი პატივცემული

მოსე ჯანაშვილი".

ამ წერილიდან კიდევ ერთხელ იკვეთება დუტუ მეგრელის განუწყვეტელი კონტაქტი ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, რომლის ყოველი გულისცემა დუტუს პოეზიაში პოულობს გამოძახილს.

აღსანიშნავია, რომ დუტუ მეგრელის პოეზიის ლირიკული გმირის მიმართება სამშობლოსთან, მასთან საუბარი უაღრესად პიროვნულია და ინტიმური, რაც XIX ს. ქართველი მწერლებისთვის არის დამახასიათებელი; მაგრამ დუტუს დიალოგი სამშბლოსთან, მასთან საუბარი კიდევ უფრო სუბიექტურია:

"ჩემო სამშობლოვ, რისთვის მიყვარხარ,
რად მიჰქრის შენკენ ჩემი გონება,
მარადის თვალწინ რისთვის მიდგახარ
და შენზე ფიქრი რად არ მშორდება?"

("სამშობლოს")

მსგავსი ინტონაციით არის დაწერილი უსათაურო ლექსი ("ბუნებავ რისთვის დაღონებულხარ"), სადაც პოეტი მშობელივით ეალერსება და ამხნევებს სამშობლოს:

"სამშობლოვ, რისთვის შეწუხებულხარ,
რად იგლოვ წარსულის დიდებულ დროსა,
მწარე ნაღველით რად ავსებულხარ,
რად ემსგავსები უსულგულოსა?!"

მეტად თავისებურია სამშობლოს რაობის დუტუსეული ინტერპრეტაცია.

მწერლისთვის სამშობლო არც სახლ-კარია, არც მამულ-დედული, "მამა-პაპათაგან გადმონაცემი", არც ტკბილი მოგონებები და არც გახარებული ბავშვობის ხსოვნა, არც საყვარელი ადამიანი, "ვისთან ყოფნაც სულს ენატრება"... ანუ მას არც ერთი ამქვეყნიური ცხოვრებისეული სიამე არ აკავშირებს სამშობლოსთან, პირიქით — პოეტს ამ მხრივ მხოლოდ ტანჯვა-წვალება", "ნაღველი და შხამი" ახსენდება, "რომელიც აკვნიდან დაჰყვა" და კიდევ "შური და მტრობა", რომელიც მას სდევდა. და პოეტი თავადვე სვამს კითხვას.

"მაშ რად მიყვარხარ და რად იზიდავ
შენკენ, სამშობლოვ, სულსა და გულსა.
რა მარჩევინებს ტირილს მწვავს
სხვაგან სიამეს და სიხარულსა"

პოეტის პასუხი დასმულ კითხვაზე არის ერთადერთი — განუმეორებელი ქართული სულის სიყვარული, სულისა, რომლის სიდიადე მის ისტორიასა და კულტურაშია გამოხატული ამ იდეას დუტუ იშვიათი პოეტური აღმაფრენით და ზეაღმავალი რიტმული მელოდიით გადმოსცემს, რითაც ლექსი "სამშობლო" მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია მის პოეზიაში:

"...და თვით ტანჯული ქართველი ერი,
ათას ჭირისგან გაუტეხელი,
შენებრ ლამაზი და მშვენიერი,
ქართული ენა და სიმღერები, —
ხან გულამოსკვნით მწარე ქვითინი,
ხან სიმამაცით აღსავსე ხმები
და ხან მომგვრელი გრძნობის
სახელოვანი შენი წარსული
სიმხნე, გმირობა და ვაჟკაცობა
მამულიშვილთა თავგანწირული

ბრძოლა მუდმივი და მამაცობა...“

(“საქართველო”)

დუტუ მეგრელის პოეზიის ძირითადი ფსიქოლოგიურ-ემოციური ტონალობა XIX ს. ქართული რეალისტური სკოლის ორგანული ნაწილია. კრიტიკა ხაზგასმით აღნიშნავს დუტუს პოეზიაზე აკაკი წერეთლის გავლენას, რაც, ჩვენი აზრით, უფრო მის პოემებს ეხება. ზოგადად კი დუტუს პოეზიაში გვხვდება, როგორც აკაკის, ილიას, ბარათაშვილის, ასევე გრ. ორბელიანის მხატვრულ სახეთა გამოძახილი, რასაც ვერც ერთი მაშინდელი პოეტი და მწერალი ვერ ასცდენია და რაც უფრო სკოლის გავლენაა, ვინემ მდაბალი ეპიგონობა.

დუტუ მეგრელმა მრავალი ნოვაცია შემოიტანა ქართულ პოეზიაში, როგორც ფორმის, ასევე თემატურ-იდეური თვალსაზრისით. ალ. ხახანაშვილის თქმით, დუტუს ლირიკა “ტექნიკურად მკაცრი ფორმისაა და იმავდროულად პლასტიკურიც”. ხშირად პოეტის შინაგანი მგზნებარება ლექსის რიტმულ წყობაშია განფენილი. განსაკუთრებით იხსნება პოეტი პატრიოტულ თემაზე დაწერილ ლექსებში:

“...დავივლი მეტეხს, ქაშვეთს, ანჩისხატს,
დიდუბეს, სადაც იდგა თამარი,
სად საქართველოს ყოველ კუთხიდან
იკრიბებოდა ქართველთა ჯარი. . .
შემდეგ გავივლი მცხეთას, გორს, სურამს,
მოწმეთა ქართლის ძველის დიდების
და დღევანდელის დაბეჩავების,
დაუძლურების და დაკნინების
და იმერეთში გადავფრინდები...”

“გადავფრინდები” – ეს არის ლექსის შინაგანი დინამიკა, რომელიც არა მარტო ფორმაშია მოცემული, არამედ აზრთა მდინარებაშიც და ასე “ფრენით” მოიხილავს და მოიკრებს პოეტი ფიქრით საქართველოს კუთხეებს, მის სიწმინდეებს

და ლექსის დასასრულს საქართველოს ერთიანობას სადიდებელს ისტორიის უმშვენიერესი ფურცლით იტყვის:

"და გადავძახებ ქართველს: "იცოდე,
რომ საქართველოს დრო სანატრელი
მაშინ ხვდა მხოლოდ, როს შეუერთდა
ფარნაოზ ქართველს ქუჯი-მეგრელი"

("სამშობლოსაკენ")

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დუტუ მეგრელის პოეზიაში თავს იჩენს XIX საუკუნის სკოლა პოეზიისა და იგი ამ სკოლის ღირსეულ გამგრძელებლად წარმოსდგება, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მის ლირიკაში გვხვდება პოეტური ნოვაციები. კერძოდ, მის ლირიკაში ვხვდებით პირველად აღმსარებლურ-სუბიექტურ ინტონაციას, ლირიკული "მე"-ს სუბიექტურ განცდათა სიმბოლიზაციას, ახალ მელოდიებს (თუნდ ზემოთ განხილულ ლექსში "სამშობლო", რომლის მელოდია აშკარად გამოძახილს პოულობს გ. ლეონიძის პოეზიაში), რასაც შემდგომ უკვე, მიზანმიმართულად ავითარებს ქართული სიმბოლისტური სკოლა.

უსათაურო ლექსში ("შემოდგომის სუსხმა დაჰკრა") ლირიკული გმირი სუბიექტურ განცდას, სულის ტრაგედიას მომაკვდავი ბუნების სურათებით გამოდგვცემს:

„შემოდგომის სუსხმა დაჰკრა,
სიცივეა, ჰბერავს ქარი,
ცა გახუნდა, ტყე მოშიშვლდა,
მოწყენილა მთა და ბარი..."

პოეტის მარტოსულობა, მისი განწირული მიუსაფრობა მისტიკური ხილვებით არის გადმოცემული:

"გაჰქრა ყველა... იკრიბება
ცაზე შავთა ღრუბელთ ჯარი;
რომ მომაკვდავ ბუნებასა

მოუმზადონ მათ სუდარი".

ამ ლექსით დუტუს სრულიად ახალი პოეტური სახე-სიმბოლოები შემოაქვს, რომლებიც სიმბოლისტური პოეზიის ნიშნით არის აღბეჭდილი და იმავ დროს რეალისტურ ფორმებსაც ინარჩუნებს.

"და ზამთარიც მოდის მოთქმით,
ვით რიგია ჭირისუფლის;
მოდის ნელა, თეთრ-თმა-წვერა,
კუბო მოაქვს თან ყინულის;
მოაქვს... როცა მოიტანს, შიგ
მკვდარს ბუნებას ჩაასვენებს;
თვითონ თავით დაუჯდება. . . "

მოყვანილი სტროფებიდან აშკარა ხდება, რომ 'ჭირისუფალი" ზამთარი, რომელსაც "ყინულის კუბო მოაქვს" და მასში "ჩასვენებული მკვდარი ბუნება", ან "შემაკვდავ ბუნებაზე" გადაფარებული "სუდარი" სიმბოლისტური სკოლის მისტიკური სახე-სიმბოლოებია, რომელნიც შორს არიან როგორც რეალისტური სკოლის, ასევე ვაჟასეული "ბუნების გაპიროვნებისგან..." და მით უფრო შორს არიან დუტუს ეს პოეტური ხილვები "ნაროდნიკული", გნებავთ, "ტეტიათა მოტრფიალეთა" სკოლისაგან, რომელსაც უპასუხისმგებლოდ აკუთვნებენ დუტუსაც ზოგიერთი კრიტიკოსები (კიტა, რადიანი, ზანდუკელი და სხვა).

დუტუ მეგრელის ლექსებში პირველად იჩენს თავს სიმბოლისტური სახეების მისტიკა, ლირიკული გმირის სუბიექტურ განცდათა აღსარების ინტიმური ფორმით გადმოცემა, რაც სხვა არაფერია, თუ არა ქართული სიმბოლიზმის წინარე ეტაპი.

რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ დუტუ მეგრელს სიმბოლისტურ სკოლასთან ჰქონდა რამ საერთო, მაგრამ ის კი ცხადია, რომ იგი ზედმიწევნით იცნობდა ამ ლიტერატურულ მიმდინარეობას, როგორც სკოლას და მის შესახებ შესანიშნავი წერილიც აქვს დაწერილი სათაურით 'სალიტერატურო

შენიშვნები", "კვალი", 1897.

დუტუ მეგრელი არის გარდამავალი ეტაპის პოეტი და მწერალი როდესაც რეალისტური სკოლის პარალელურად მოგვიანებით აღმოცენდება საქართველოში სიმბოლისტური სკოლა.

დუტუს, როგორც გარდამავალი პერიოდის მწერლის თავისებურება, მისმა თანამედროვე კრიტიკამაც შენიშნა, მაგრამ კრიტიკოსებმა მცდარად შეაფასეს და ნაკლად ჩაუთვალეს დუტუს ის, რაც მის ღირსებას წარმოადგენს. "შესამედასელთა" გამოცემა ჟურნალ "კვალი"-ს 1893წ. №13-ის სარედაქციო წერილში ვკითხულობთ:

"...დუტუ მეგრელი, როგორც ახალგაზრდა მწერალი, შესამჩნევია თავისი ნიჭით. მას არ აკლია პოეტური აღტაცება. ბევრი მისი ლექსი ღრმა გრძნობით არის აღბეჭდილი... აკაკის ლექსების შემდეგ მისი ლექსები არ მოგვეწონება... აკაკის პოეტურმა ნიჭმა ღრმა კვალი გაავლო ძველსა და ახალს შორის და მისი თხზულებათა გამოცემით მკაფიოდ ნათელი ზოლი გაევლება ახალს ხანას ჩვენის ლიტერატურისას. აი, ამით აიხსნება, რომ დუტუ მეგრელის მუზა გარეგანი ფორმით ჩარჩენილია ძველსა და ახალს შორის".

კრიტიკოსთა მიერ აღნიშნული დუტუ მეგრელის "ჩარჩენილობა" ძველსა და ახალს შორის", სხვა არაფერია, თუ არა გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელ მხატვრულ ფორმათა არაერთგვაროვნება, როდესაც "ძველი" მხატვრული ფორმები უკვე გაცრეცილია, ხოლო ახლის, ოდენ კონტურები შეინიშნება. სწორედ კონტურების სახითაა წარმოდგენილი დუტუს პოეზიაში ის ნოვაციები, რომლებიც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, და რომლებზეც ქვემოთაც ვიტყვით.

გარდამავალი ლიტერატურული პერიოდი ისტორიულად გარდამავალ სოციალურ-პოლიტიკურ ეპოქას ემთხვევა. დუტუ მეგრელი ერთსაც და მეორესაც რეალურად აცნობიერებდა და მან მშვენივრად უწყოდა თავისი ადგილი, როგორც ლიტერატურულ, ასევე პოლიტიკურ ასპარეზზე, რასაც პირდაპირ გვაუწყებს

იგი ლექსებში "ჩვენი თაობა" და "ბედკრული":

"მაშ რა ვარ?.. გარდამავალის
დროისა შვილი, ბედკრული,
არც აქეთ მყოფი, არც იქით
სიყრმითვე დაბერებული...

("ბედკრული")

ლექსში "ჩვენი თაობა" პოეტი აღნიშნავს, რომ მისი თაობა მსხვერპლი იყო, რომელიც "გარდამავალი დროის" "უძლური" შვილი იყო და "მშობელ მხარეს" ჯეროვნად ვერ ემსახურებოდა, მაგრამ აქვე მტკიცედ აცხადებს, რომ მომავალი თაობის გზას წარმოადგენს მისი თაობა და ღირსია, რომ ერი "მოგვიძღვნიდეს ჩვენც მადლობას".

ლექსი "მათხოვარა" თხრობითი კილოთია დაწერილი და მასში შთამბეჭდავი მხატვრული სიმართლით არის გადმოცემული გაუცხოების მისტიკური სურათი – ძონძებში გახვეული, სიცივით და შიშით აცახცახებული მათხოვრის პორტრეტი, რომელიც სიმბოლურად კოსმიური სიმარტოვის სახეა და ეს სურათი – ხილვა პოეტს მაღალმხატვრულად აქვს გადმოცემული:

"ზეც კი სიცივით მოკრუნჩხულა, წელში მოხრილა... და ძაღლებიც კი არ დაძრწიან დამშეულები..."

კიტა აბაშიძე ერთგან წერს, რომ დუტუს ლექსებს არავინ მოაწერდაო ხელს; ხოლო ჩვენ ვიტყვით, რომ ამ სტრიქონებს მალარმე, ვერლენი, ბლოკი, პაოლო და თვით გალაკტიონიც მოაწერდნენ ხელს.

ქალაქური მისტერიების დემონურ საწყისზე და მისი მსხვერპლის კიდევ ერთ სახე-ხილვაზე გვიამბობს ლექსი "მეღამურა", სადაც ღამის ქალაქში "ძარღვის ცემა შეწყვეტილა" და სიბნელეში:

"მხოლოდ აქა-იქ, ქუჩაზე ძლივს ბჟუტავენ ფარნები,
და მძინარ ქალაქს რაღაც ზღაპრულ აკლდამად ქმნიან;
უზარმაზარნი შენობანი, ვით კუბოები,

ჩამწკრივებულნი მათ ნაზ შუქზე ძლივს გამოკრთიან....“

ამ სტრიქონებშიც აშკარად სიმბოლისტური ესთეტიკის სახეები აირეკლება: “და მძინარ ქალაქს რაღაც ზღაპრულ აკლდამად ქმნიან”, ან “უზარმაზარი შენობანი, ვით კუბოები” ცხადლივ სიმბოლისტური მხატვრული სახეებია, რომლებიც სულ მალე დაიპყრობენ ქართული პოეზიის სარბიელს. საინტერესოა ლექსის სახელწოდება “შეღამურა”, რომელიც მეძავი ქალის არა ოდენ ღამით “ქურდულად მუშტარის ძებნას” მიგვანიშნებს, არამედ იგი სხეულით მოვაჭრე მეძავის სულიერ სახეს – ღამურას მხეცის სახეს და ფრინველის ფრთებიან გადაგვარებულ არსებას გამოხატავს...”

მიუსაფარი, მარტოსულის სულ სხვა სახეა მოცემული ლექსში “ჩემი სიმღერა”. ლირიკული გმირი აქაც მოკლებულია ყოველგვარ ამქვეყნიურ ნუგეშს, იგიც უსახლკაროა და “მთლად მათხოვარი”, მაგრამ პოეტი ამჯერად სულიერად ძლიერი, ამაღლებული პიროვნების პორტრეტს ქმნის, რომელიც ყოველგვარ ნივთიერ სიკეთეს მოკლებული, სულით ცოცხალია და ხორციელის მძლეველი. სულიერი კატეგორიებით, ფასეულობებით ამაღლებული პიროვნება, სამშობლოს, ქართველობის განცდით არის ბედნიერი და ყოვლისმჭონებელი:

“არა მაქვს ადგილ-მამული,
არა მაქვს სახლი და კარი,
არცა მაქვს გროში-ფული,
ვარ წმინდა მათხოვარი;
მაგრამ მთლად საქართველო
ხომ ჩემი მამულია,
ყოველ ხის ძირში მდელო
ჩემთვის დაგებულია...“

პოეტი ქართული სულის ძალმოსილებას ხედავს იმაში და იქამდე, სანამ “მთლად საქართველო” ქართველის მამულია. და ვინემ ქართველს აქვს სამშობლო, სამწუხაროც არაფერია და ნივთიერად გამათხოვრებულიც კი შეიძლება რომ

იყოს სულით მდიდარი და ბედნიერი:

"მაშ რა მაქვს სამწუხარო?
ვყოფილვარ ბედნიერი!
ვინძლო არ გავახარო
ჩემი მოსისხლე მტერი."

დუტუ თავის გამოსვლაში (მწერალთა ყრილობაზე) იგონებს: "ამას წინათ გალაქტიონ ტაბიძე შემხვდა გზაში. ის უფრო ავტორიტეტული მწერალია. გადამეხვია, გადამკოცნა და მითხრა, პირველი პროლეტარი მწერალი საქართველოში შენ ხარო. დაიწყო დეკლამაცია ჩემი ლექსისა: "არა მაქვს ადგილ-მამული, არა მაქვს სახლი და კარი".

ვხედავ, რომ ეს ფიქრი ჩემია, მაგრამ სიტყვა პროლეტარი არ მჭონდა მე...

იქ პროლეტარი კი არ არის, არამედ – მათხოვარი, ბოგანო, არაფრის მქონე..."

დუტუს ამ მოგონებიდან აშკარაა, თუ როგორ აფასებდა გალაკტიონი მის ლექსებს და ზეპირადაც კი დაუსწავლია ზოგი მათგანი; მაგრამ დუტუს, როგორც ჩანს, გალაკტიონის ჩვეული იუმორი ვერ უცნია და სერიოზულად გაჰკვირვებია, თუ მისი ლექსი "ჩემი სიმღერა" პროლეტმწერლობას რატომ მიაკუთვნა. ხოლო აღნიშნულ ეპიზოდში კი აშკარად იკითხება, გალაკტიონის ირონიული განწყობა, იმხანად "პროლეტარმწერლებად" წოდებულ "კალმოსნებზე" და ქვეტექსტით უთხრა დუტუ მეგრელს, რომ ბოგანოს, ჩაგრულის და მიუსაფარის ნამდვილი მხატვრული სახეები მან შექმნა ქართულ მწერლობაში. ის, რომ ზეპირად წარმოთქვა გალაკტიონმა დუტუს ლექსი ავტორის წინაშე – ეს აღიარება იყო გალაკტიონის მიერ დუტუს პოეზიისა.

თავისებურად და საინტერესოდ აისახა დუტუს პოეზიაში მისი დროის ისტორიულ-ლიტერატურული პროცესები. 900-იანი წლებისთვის რუსეთში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ძვრები ქართულ ცხოვრებაზე და ცნობიერებაზეც აისახებოდა, რაც, ერთი მხრივ, რწმენით აღავსებს პოეტს და,

მეორე მხრივ, შიშით და ძრწოლით შეცქერის მოსალოდნელ კატაკლიზმებს:

"და, ჰა, კიდევაც დადგა ეს დრო, დრო სანატრელი,
როცა ჰქუხს ქვეყნად თან საამო, თან საშინელი,
ხალხის ბრძოლის ხმა, თითქო ზღვა ღელავს".

რუსეთში მიმდინარე რევოლუციურ პროცესებს ბევრი ქართველი საზოგადო მოღვაწე იმედის თვალით შესცქეროდა, რადგან საქართველოს განთავისუფლების რეალურ და ერთადერთ გზას მასში ხედავდნენ და დუტუ მეგრელსაც ამ მიმართებით აღაფრთოვანებდა რუსეთში მიმდინარე რევოლუციური პროცესები:

"მიწა-მშობელი დედაა,
თავისუფლება – ჰაერი,
ცოცხლებში აღარ სწერია,
თუ რომ მოაკლდა მას ერი...
დიდხანს ვიყავით უღელქვეშ,
ქედმოხრილ-დაჩაგრულები;
დიდხანს ვიტანჯეთ, ვიწამეთ,
ვაფრქვიეთ ცხარე ცრემლები".

მაგრამ სოციალისტური რევოლუცია, მარქსისტული იდეოლოგიის დამანგრეველი მსვლელობა, ათეისტური რევოლუციების შედეგი მოსალოდნელი კატასტროფის შიშს აღძრავს პოეტში:

«ცისხლისღვრა, ისევ სისხლისღვრა,
ტანჯვა-ვაება, ტირილი,
მეორედ მოსვლის დღესა ჰგავს!
ქვეყნად ბატონობს სიკვდილი»

(„ნუგეში")

პოეტს სოციალური თავისუფლების სახელით მოსული, ეროვნების უარმყოფელი ათეისტური იდეოლოგიური ძალა აშინებს, რომელიც ყოველგვარ ტრადიციულს მუსრავს:

„ქარი ჰქრის, ქარი შრიალებს,
არ ცხრება განრისხებული,
დამხობის მოლოდინშია
ქვეყანა შეშინებული....“

(„ქარი ჰქრის“)

„დამხობის მოლოდინშია“ ერის მსახური მგოსანი, რომელსაც, ერთი მხრივ, სურს დაიჯეროს, რომ „დადგა ეს დრო, დრო სანატრელი“ (საქართველოს განთავისუფლებისა), მაგრამ, იმავ დროს, შიში და ეჭვი აღიძვრის მასში «როცა ჰქუხს ქვეყნად თან საამო, თან საშინელი ხალხის ბრძოლის ხმა, თითქო ზღვა ღელავს... („ხალხი ლაჩარი“).

საუკუნეთა მიჯნის ფასეულობათა გადაფასების, სოციალურ-პოლიტიკური ძვრების ფონზე, საქართველოში ლიტერატურული მემკვიდრეობის, ტრადიციების საკითხი გახდა მნიშვნელოვანი. ტრადიციების გადასინჯვის საკითხი ჯერ კიდევ «მესამედასელებმა» წამოაყენეს, ხოლო მოგვიანებით – «ცისფერყანწელებმა». ორივე ეს ლიტერატურული დაჯგუფება «სამოციანელთა» თაობას დაუპირისპირდა, რაც თავისთავად ქართული ლიტერატურის ტრადიციებთან დაპირისპირება იყო.

დუტუ მეგრელი, როგორც მხატვრული შემოქმედებით, ასევე პუბლიცისტური წერილებით ქართული ლიტერატურის ტრადიციების სადარაჯოზე დგას და ლიტერატურული მემკვიდრეობის თვალსაჩინო გამგრძელებელია, რაც მისი პოეზიის წარმმართველი თემაა.

დუტუს პოეზიაში წარმოდგენილი ქართველ მწერალთა გალერეა, რომელშიც ცოცხლდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა თოთქმის ყველა პორტრეტი, არის არა უბრალოდ მიძღვნითი ხასიათის ხოტბა-დიდება ამა თუ იმ პირისა, არამედ დუტუ თაჯის ლექსებში ქართველ მწერალთა პოეტური სახეების წარმოდგენით აცოცხლებს ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებს და ლიტერატურული მემკვიდრეობის ქადაგებას ეწევა.

დუტუ, როგორც ღირსეული მემკვიდრე და, იმავ დროს, «გარდამავალ

დროის შვილი», ამ ტრადიციების მიმღებიც არის და გადამცემიც. და თუმცა მან უწყის, რომ «ორბელიანის სამხატვრო ნიჭით» არ არის მომადლებული, არც ბარათაშვილის «ტიტანიურის სულისკვეთებით» და არც აკაკის «სუბუქ დროთა აღმაფრენი», მაგრამ იგი ზედმიწევნით განმარტავს თავისი, როგორც მწერლის მოკრძალებულ, მაგრამ მნიშვნელოვან როლსა და ადგილს:

«მაგრამ რა ვუყოთ? განა ბნელში
უბრალო ჭრაქიც არ სწევს სანთლობას?
განა მისი ოდნავ მბჟუტავი
სინათლე არ სჯობს სულ არარაობას?
მეც იმ ჭრაქს ვგავარ და, თუმცა არა ვარ
ზეგარდმო მადლით უხვად ცხებული,
გარს შემორტყმულ ბნელს ვფენ მცირე ნათელს,
წმინდა, წრფელ გრძნობით აღფრთოვანებული!..»

«გარს შემორტყმულ ბნელს ვფენ მცირე ნათელს» – ეს არის მწერლობა დანიშნულების ტრადიციული თვალსაზრისი ქართულ ლიტერატურაში (მცირე იქნება ის, თუ კაშკაშა ნათელი).

პოეტის, მწერლის დანიშნულების ტრადიციული ქართული ხედვის, დუტუსთვის პოეტი არ არის ის, ვინც «ბედკმაყოფილი» ლექსების წერით თავს იქცევს...

«სამოციანელთა» კვალდაკვალ, ვისთვისაც პოეტი მხოლოდ ის არის, ვინც წმინდა გრძნობით აღვსილი, თავისი ხალხის ტკივილით არის გამსჭვალული და მღერის მისთვის, რათა გამოაცოცხლოს ხალხი და შეუმსუბუქოს ტვირთი.

დუტუ მეგრელმა (ზემოთ ხსენებულ მწერალთა ყრილობაზე) განაცხადა, რომ: «ზოგი სწერს გასართობად. ჰაეჰაევაძე და ბარათაშვილი გასართობად კი არ სწერენ, არამედ იმისთვის, რომ ვისმე არგოს რამე. ასეთ პირებს არ შეუძლიათ ჯოველთვის და ყველა პირობებში წერონ. მათ არ შეუძლიათ მითითებით, «ზაკაზებით» წერა. როცა ისინი სხვა საქმეს აკეთებენ, მაშინ ლექსებს არ წერენ. და ილიაც, როცა დატვირთული იყო, თუ გნებავთ ბანკის საქმით, მაშინ, რა

საკვირველია, იგი უმთავრესად როგორც პუბლიცისტი წერდა».

დუტუ მეგრელი პოეტის მძიმე ტვირთს სრულად აცნობიერებს:

«პოეტი ლექსს სისხლითა სწერს, ცრემლით ალტობს
და ის ლექსი აცოცხლებს მას, კი არ ართობს!»

(«პოეტი»)

მაგრამ ხელოვნების მოდერნისტული თეორია, რომელიც თვითტკბობის ესთეტიკით არის გაბანგული, დუტუ მეგრელისთვის სრულიად მიუღებელია და ლექსში «ბრძოლის სიმღერები» იგი ირონიანარევი ტკივილით წერს:

«გაჩდნენ ახალი მგოსანნი,
გვასმენენ ახალ ჰანგებსა!..»

დუტუ ემიჯნება მათ, «ვინც ეძებს მხოლოდ პოეზიას და ხელოვნებას, ცდილობს მარტოკა თავის თავის სიამოვნებას».

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ დუტუ რამდენიმე საინტერესო პოემის ავტორია, რომელთა იდეურ-თემატური სულისკვეთება მეტად ახლობელია ქართველი მკითხველისთვის. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ეს პოემები («განთიადი», «მონაზონი», «გმირი დედა») აკაკის პოემების ვარიაციებს წარმოადგენს.

მეტად საინტერესოა დუტუ მეგრელის თარგმანებიც, რომლებიც თავისი სულისკვეთებით დუტუს სულიერ მოძრაობას, მის თვალსაწიერს უფრო სრულად წარმოაჩენს და თარგმან'ში მისი მუშაობის საინტერესო მხარეს გვაცნობს. მრავალი ლექსი აქვს თარგმნილი ლერმონტოვისა, ნადსონისა, ვიქტორ ჰიუგოსი, პუშკინისა, ბაირონისა და სხვა.

საბჭოთა პერიოდში დუტუ კარგახანს დუმდა. მან შეწყვიტა თავისი ნაწარმოებების გამოქვეყნება, თუმცა «ქართული პოეზიის ანთოლოგიაში» მისი ცალკეული/ლექსები შეაქვთ. დუტუს დუმილი იყო პროტესტი იმ ანტიქრისტიანული იდეოლოგიისადმი, რომლის პროპაგანდასაც ეწეოდა პროლეტმწერლობა... მაგრამ, როგორც სხვას ყველას, მასაც მოუწია საბჭოთა ხელისუფლებისათვის ხარკის გადახდა და რამდენიმე ლექსი უძღვნა საბჭოთა «აღმშენებლობას».

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ დუტუ მეგრელმა ქართულ პოეზიაში შექმნა ლირიკული გმირის სახე, რომელიც სამშობლოსათვის მოტირალი ძველსა და ახალ ცნობიერებას შორის გადებული ხიდია, რომელზეც იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივ ნაირსახეობათა კოლონა გადაივლის, მაგრამ ქართული ცნობიერება ლირიკული გმირისა მრთელი რჩება. პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილმა დუტუს პოეზიას ასეთი შეფასება მისცა: «Дуту Мегрели – поэт субьективный, лирик в полном смысле этого слова».

თავი V. სულის ტრაგედია

XIX საუკუნის ბოლოს მსოფლიო ლიტერატურაში თანდათან მკვიდრდება და წამყვან ადგილს იკავებს მცირე ფორმის პროზაული ნაწარმოები, რომლის სათავეებს პრ. მერიმეს, ან. ჩეხოვის, კნუტ ჰამსუნის, ო. ჰენრის, მ. გორკის ნაწარმოებებთან მივყავართ.

მე-19 საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული ლიტერატურა თემატურ-ჟანრობრივი ნაირსახეობით გამოირჩევა და მაინც ლიტერატურული ცხოვრების წარმმართველ ძალად რჩება კვლავ "სამოციანელთა" თაობა, რომელიც ახალგაზრდა ლიტერატორთა ეროვნულ-სარწმუნოებრივ ნიადაგზე განმტკიცებას ცდილობს; მაგრამ ლიტერატურაში ახლადჩენილი თაობა წინა პლანზე წამოსწევს სოციალურ საკითხს.

სოციალურ თემას "სამოციანელთა" თაობაც განიხილავდა, მაგრამ ამ საკითხის მათეული ხედვა ზოგადადამიანურ და ზოგადეროვნულ სიბრტყეში იყო განფენილი, ხოლო ახალი თაობის: ნინოშვილის, არაგვისპირელის, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას და ე.წ. ნაროდნიკების შემოქმედებაში სოციალური თემა ვიწრო, ოდენ ყოფიერ-საარსებო რკალში განიხილება.

ამ პერიოდის ახალგაზრდა თაობის მწერლებისათვის (მესამედასელებისა თუ სხვათა) ნიშნეულია ტრადიციების, ქრისტიანული ზნეობრივი ნორმების გადასინჯვა. მათ თხზულებებში ლიტერატურული პერსონაჟები ძირითადად წარმოდგენილნი არიან, როგორც გარემოების "მსხვერპლნი" და "მსხვერპლნი" სოციალური უსამართლობისა. მარქსისტ-სოციალისტთა იდეოლოგიის გავლენით, ახალი თაობის მწერალთა ნაწარმოებებში, ამა თუ იმ პიროვნების ბოროტმოქმედების, უზნეობის ჭაობში დაცემას მის პიროვნულ სისუსტესა და უღირსობას კი არ მიაწერენ, არამედ ობიექტურ გარემოს. მაგალითად, ნინოშვილის, "ქრისტინეში" ქრისტინეს დაცემა და ზნეობრივი გადაგვარება ცალმხრივად "ბოროტი ადამიანების", "სოციალური უსამართლობის" მიზეზით "აღსრულება"; მსგავსი თვალსაზრისია

განვითარებული შიო არაგვისპირელის მოთხრობაში "ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო", სადაც მოთხრობის მთავარი პერსონაჟი დათუა შრომიშვილი მკვლელობის ჩადენის შემდეგ ამბობს: "ჩემი ბრალი არ არის ღმერთო!.." მსგავსი მაგალითების მრავლად მოყვანა შეიძლება იმ პერიოდის ახალგაზრდა თაობის ნაწარმოებებიდან, რომლებიც მარქსისტულ-სოციალისტური ათეიზმით იყვნენ ნასაზრდოებნი და მათთვის პიროვნების საქციელის განმსაზღვრელი და განმაპირობებელი იყო ობიექტური გარემო, კერძოდ, სოციალური უთანასწორობა. "შესამედასელთა" და "ხალხოსან" მწერალთა ნაწარმოებებში პიროვნების ზნეობრივი პასუხისმგებლობა, მისი ბრალეულობა უარყოფილ იყო და მთელ პასუხისმგებლობას "გაბატონებულ კლასს" აკისრებდნენ. ამ მსოფლმხედველობით ქართულ ლიტერატურაში უარყოფილი იქნა ქრისტიანული ზნეობა, ქრისტიანული მსოფლმხედველობა, რომელმაც "სხვათა მიზეზით" დაცემა არ იცის, არამედ ცოდვისთვის, ქრისტიანული სწავლებით, პირადი პასუხისმგებლობა არის უმთავრესი (სინანულით, აღსარებით და სხვა). ამდენად ქართული მწერლობის ახალი თაობა ფაქტობრივად ღვთის უარყოფას ქადაგებდა პირდაპირ, თუ მინიშნებით. თვით ქართული სიტყვის ისეთი ოსტატიც კი, როგორიც იყო ვასილ ბარნოვი, ისტორიულ რეალობაშიც კი ათეისტური თვალსაზრისით იჭრება... და ეს ყოველივე ხდება მაშინ, როცა იწერება "ბაში-აჩუკი", "ჩემი თავგადასავალი", ვაჟას "ერემ-სერემ-სურემანი", "ამოდის, ნათდება" და სხვა მრავალნი. . .

ამგვარად გააქტიურებულ მარქსისტული იდეოლოგიის გარემოში უწევს მოღვაწეობა დუტუ მეგრელს, რომელიც საუკუნეთა მიჯნის ქართული პროზის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია. დუტუს პროზა, როგორც იდეურად, ასევე მხატვრულ-ესთეტიკური ფასეულობებით ეროვნულ-სარწმუნოებრივ ძირებზე იყო აღმოცენებული და 80-90-იანი წლების პროზაში იგი იყო ერთადერთი ახალი თაობის მწერალი, რომელიც თავისი მოთხრობებით დაუპირისპირდა ქართული ცნობიერების წარმხოცველ ათეისტურ მსოფლმხედველობას. მან თავის პროზაში ასახა ის სინამდვილე, ის სულიერი

ტრაგედია, რომელიც ღვთის უარყოფით დაატყდა თავს პიროვნებას და მისი დემორალიზაცია, დაცემა განაპირობა

სწორედ ეს დამსხვრეული სულები ასახა დუტუ მეგრელმა თავის პროზაში და ეს იყო კიდეც მისი პროზის წარმმართველი იდეა.

დუტუ მეგრელის პროზაში აშკარად იკვეთება საქართველოს თავს მოწევნილი საფრთხე, რომელსაც ფიზიკურ მონობაზე უარესი – სულიერი მონობა მოაქვს. მან სოციალური ძვრების ფონზე პიროვნების სულიერი, ზნეობრივი გადარჩენის აუცილებლობა ასახა.

პიროვნების შინაგან და გარე სამყაროსთან ბრძოლის, ფსიქოლოგიურ სახეთა მეტად საინტერესო გალერეა შექმნა დუტუ მეგრელმა და სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ფსიქოლოგიური პროზის სათავეს დუტუ მეგრელის შემოქმედებასთან მივყავართ, რაც პირველად პროფ ალექსანდრე ხახანაშვილმა შენიშნა. მან თავის შრომაში "Очерки по груз. словесности", დიდი ადგილი დაუთმო დუტუს შემოქმედების განხილვას. ხახანაშვილმა დუტუს შემოქმედება ფსიქოლოგიური ჟანრის რუბრიკაში მოათავსა. მან უტყუარი ლიტერატურული ხედვით შეაფასა დუტუ მეგრელის პროზა; "Он один из тех немногих писателей, которые следят за изменениями в настроении культурных слоев и отражают эти едва обозначившиеся переломы в повестях и рассказах... Дуту Мегрели силен тем, что он весь во власти современности и действительности".

დუტუ მუდამ მოვლენათა ცენტრში იყო, მიხედავად იმისა, რომ ცხოვრების დიდი ნაწილი უცხოეთში გაატარა მას არასოდეს დაუკარგავს სინამდვილის რეალური შეგრძნება. მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ძვრებში მას მუდამ ადამიანის, პიროვნების სულიერი ყოფა აინტერესებდა. დუტუ კარგად ხედავდა, თუ როგორ ფლიბდებოდა კოლექტიური ცნობიერება და იგნორირება ხდებოდა პიროვნებისა. როგორც ალექსანდრე ბლოკი შენიშნავს პოემა "Возмездие"-s SesavalSi: "Словом, мировой водоворот засасывает в свою воронку почти всего

человека; от личности почти вовсе не остается следа, сама она если остается еще существовать, становится неузнаваемой, обезображенной, искалеченной. Был человек – и не стало человека, осталось дрянная вялая плоть и тлеющая душонка" (Блок. А. собр. соч. т.3, с. 297-8.1962 г).

ალ. ბლოკის ეს ვრცელი ამონარიდი ჩვენ იმისთვის მოვიყვანეთ, რომ დუტუ მეგრელის პროზის იდეურ-თემატური ხაზი სწორედ ამ მიმართებით განიმარტება. პიროვნების მსხვრევა, ადამიანის რაობის წარხოცვა, ანუ სულის ტრაგედია აღწერა დუტუ მეგრელმა თავის მოთხრობაში.

ზედმიწევნით განათლებული დუტუ მეგრელი, რომელიც ერთნაირად კარგად იცნობდა ლიტერატურას, ფილოსოფიას და პოლიტიკას, ცხადია, სწორად აანალიზებდა თავისი დროის პრობლემას და ზუსტად აგნებდა უმთავრეს საკითხს, რომელიც XIX ს. არა მარტო ქართული სინამდვილისთვის, არამედ რუსული, თუ ევროპული ცხოვრების უმთავრეს საგნად წარმოდგებოდა – ადამიანის, პიროვნების ბედი დროსა და სივრცეში.

დუტუს მოთხრობების უმთავრესი თემა ადამიანის ბედის პრობლემაა კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეში, პიროვნების სულიერი ცხოვრების გზა და სულიერი გადარჩენა. სწორედ ეს უკანასკნელი ღრმად რელიგიური საკითხი გასდევს ცენტრალურ ზოლად დუტუს პროზას, რომელიც "ცხოვრების ისტორიას", ადამიანის ბედს განიხილავს ისტორიულ მოვლენებთან, საზოგადოებრივ ფორმაცვალებასთან მიმართებაში. ამ მოთხრობებში იკითხება ულმრთოდ დარჩენილი ადამიანების სულიერი სიკვდილი.

მისი თაობის მწერლებისგან, რომელთაგან მხოლოდ დავით კლდიაშვილს გამოვყოფდით, დუტუ იყო ერთადერთი მწერალი, რომელმაც ასახა სულის ტრაგედია, დამსხვრეული სულები მხატვრულ ლიტერატურაში. 80-90-იან წლებში, როცა ის იყო ფეხს იკიდებდა საქართველოში "კოლექტიური იდეოლოგია" და ილიას, აკაკის მსოფლმხედველობის გადასინჯვას იწყებენ, რასაკვირველია, ადამიანის

სულიერი პრობლემები, სულის ფენომენი ზოგადად მათ ცნობიერებაში წაშლილი იყო.

დუტუ მეგრელმა თავის პირველსავე პროზაულ ნაწარმოებში "საცოდავნი" ასახა პიროვნების სულის ტრაგედია. ავტობიოგრაფიაში დუტუ გადმოგვცემს: "1988 წლის იანვარში მივდივარ თბილისში და მიმაქვს ჩემი მოთხრობა "საცოდავნი", რომელსაც იწონებს ივერიის რედაქცია და აღმითქვამს, რომ დაბეჭდავს. ეს მაფრთოვანებს, რადგან ცხოვრების მიზანი, რომ ვემსახურო საგანს, როგორც მწერალმა, ხორცს ისხამს და გამხნევებული მივდივარ ოდესაში".

მოთხრობა "საცოდავნი" იმავე წელს იბეჭდება "ივერიაში", რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც ამას იხსენებს იპ. ვართაგავა. "მოთხრობა იმთავითვე კრიტიკოსთა აზრთა სხვადასხვაობის საგნად იქცა. იგი არასწორად იქნა წაკითხული და იპოლიტე ვართაგავათი მოყოლებული, საბჭოთა კრიტიკოსებით მოთავებული (რადიანი, ზანდუკელი), მას სოციალური უსამართლობის ამსახველ ნაწარმოებად მიიჩნევენ მაშინ, როდესაც "საცოდავნი" სრულიად სხვა სინამდვილეს და სხვა სახე-სიმბოლოებს მოიცავს – მასში დუტუმ ყმაწვილი ჭალის სახით გლობალური პრობლემა დააყენა: ამორალური საზოგადოება თავადვე შობს ამორალობას და შემდეგ სასტიკად განიკითხავს მას.

დუტუმ ამ მოთხრობაში სულის სიკვდილი, უღმრთოთა ტრაგედია აღწერა.

მოთხრობის ცენტრალური სიუჟეტური ხაზი ერთი სოფლის და მისი მკვიდრის, ეკას ამბავზეა აგებული. "სოფელში ტოლი არ ჰყავდა, ყველგან პირველი იყო, უმისოდ არც ერთი ახალგაზრდული შეკრება არ ვარგოდა, სადაც ეკა იქნებოდ, იქ ყველაფერს სხვა ფერი ედებოდა..."

ავტორი პირველ პირში ავითარებს თხრობას და იგი, როგორც თვითმხილველი, გადმოგვცემს: "ჩვენს სოფელში ყველანი ერთად და თვითოეული ცალ-ცალკე ცდილობდნენ ეკას ყურადღება დაემსახურებინათ... ეკას მეტად ჩვილი გული ჰქონდა, ნამეტურ თუ ხედავდა, რომ საწყალს კიდევ უფრო ცუდად ეპყრობოდნენ, მაშინ მზად იყო თვითონ აეტანა ყოველივე სატანჯველი..."

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის, ყმაწვილი ეკას სახე განზოგადებულია, იგი ტიპური ხასიათით არ არის კონკრეტიზებული, არამედ უფრო მშვენიერების, ახალგაზრდობის ზოგადი სახეა, რომელსაც პიროვნული "მე"-ს ხასიათი ჯერ კიდევ არ გააჩნია. დუტუს ეს მიზანმიმართული მხატვრული ფორმა, რომლითაც იგი ყმაწვილი ქალის ბუნებით მინიჭებული თვისებების განზოგადებას ახდენს, უაღრესად მნიშვნელოვანია სიუჟეტში მიმდინარე მოვლენების ფონზე პიროვნებისა და საზოგადოების სახის სრულად გამოსავლენად.

მოთხრობის სიუჟეტი ვითარდება 80-იანი წლების ქართული სოფლის ფონზე, სადაც კარგახნის "გადავარდნილი" ბატონყმობა ინერციით უგზო-უკვლოდ მიემართება და სოციალურ კატასტროფას, როგორც ყოფილი ბატონისთვის, ასევე ყმა-გლეხისთვის მორალურ-ზნეობრივი სახე სრულად წარუხოცნია. მოთხრობაში მიმდინარე მოვლენები ქართული ცნობიერებისთვის სრულიად უცხო, სრულიად მიუღებელი მორალურ-ზნეობრივი ნორმებით ვითარდება, სადაც აღარც ნათელ-მირონობის სარწმუნოებრივი ტრადიცია, აღარც ოჯახური სიწმინდის და არც აღარანაირი ტრადიცია აღარ არსებობს. მეტიც, ყმაწვილი ქალით ვაჭრობს მთელი სოფელი, უფრო ზუსტად კი ბატონები უწინდელი ყმებით ვაჭრობას "გაშვილების" ფორმით ცვლიან და ამ უზნეო საქციელს არა თუ გმობს სოფელი, არამედ იგი თანამონაწილეა, შურის თვალითაც კი აცილებს უცხოტომელი ჩინოვნიკის მიერ შემოსილ ეკას, რომელიც გასათხოვარი უფროა თავისი ასაკით, ვინემ გასაშვილებელი.

ავტორი თანმიმდევრულად აღწერს ნაწარმოებში ეკას "მოსიყვარულე' გარემოს; მეგობრებს, მშობლებს, მეზობლებს, ნათლია ბატონებს. . . გულში ყველამ კარგად იცის, რომ ეკა ·რუს ივანეს მიყოდეს – იცის და შურს, შენატრიან მის მომავალ შეძლებულ ცხოვრებას. ტოლ-მეგობარი გოგოები ხარბად მისჩერებიან ეკას წასაყვანძდ მოსულ ეტლს... მაგრამ ყველაზე საძაგელი მაინც ეკას ოჯახის გადაწყვეტილებაა (დედისა და და-ძმებისა): "ეს ერთად ერთი ღონეა, რომ ჩვენი ოჯახი ფეხზე წამოვაყენოთო, რომ ამით მარტო ეკა კი არა, მთელი ოჯახი

გაბედნიერდება, რადგან ის კაცი დიდი კაცია და არც სხვებს დასტოვებს უყურადღებოდო" – ეს იყო დედის გადაწყვეტილება, რომლითაც ახლადმოწიფულ ქალს გადამთიელ კაცს "მიაშვილებს". როგორც ვხედავთ, ეკას გაყიდვა-გაშვილებაში ისევე როგორც ბატონები მოელიან ივანე რუსისგან გასამრჯელოს, ეკას ოჯახიც. თავის სარგებელს მოელის და არა თუ წინ აღუდგებოდნენ ეკაზე მოწევნილ განსაცდელს, არამედ მოუწოდებდნენ და უბიძგებდნენ ამ ნაბიჯის გადასადგმელად. აქვე წამოიჭრება ოჯხური ტრადიციის რღვევის საკითხიც. ერთადერთი, ვისაც ეკას ამბავი აღაშფოთებს, არის მამამისი. ამ ოჯახის პატრიარქი რეალურად აფასებს სიტუაციას, მხოლოდ ის ხედავს, თუ რისთვის სწირავენ მის ქალიშვილს. მამამ იცოდა ქალაქის "ვიწრო და ტალახიანი ქუჩები, დუქნები, სამიკიტნოები და ცუდი ყოფაქცევის ქალები.." ლოგინად ჩავარდნილ, სნეულ მამას არც სიდუხჭირეში მყოფი ექვსი შვილი და არც ცოლი არ ადარდებს, მისი გული და გონება ეკაზე მოწევნილმა ტრაგედიამ მოიცვა და შუამავლად მოგზავნილ ყოვლად ბილწ ვახთას შესძახებს: "არა, მაგათ მამა-შვილობა არ იციან. შვილი რომ გამიყიდოს, ვილასა ვსდიო მერე?' მამის წინათგრძნობა უფრო შორსაც მიდის. იგი წარმოსახვით იხილავს ეკას ქუჩაში, მშიერ-მწყურვალს, უპატრონოს, ხან სამიკიტნოში, ღვინის სმისგან გაჟინჟღილებულს, სადაც ყველა იმისი პატრონი იყო..." კედლისკენ გადაბრუნებული მამა ცოცხლად დასტირის სულიერი სიკვდილისთვის განწირულ ქალიშვილს, რომელსაც ვერაფრით ეხმარება, ოჯახის თავკაცის უფლება მას ცოლ-შვილის წინაშე ჩამორთმეული აქვს.

დუტუ მეგრელი ზნეობრივი გადაგვარების სათავეს ტრადიციული ოჯახის მსხვრევაში ხედავს, სადაც თავი ოჯახისა არის მამაკაცი და გადაჭარბებული ხმა მას ეკუთვნის. ამ ტრადიციის ხელყოფას მხატვრული უშუალობით ხატავს მწერალი. ცოლი ქმარს აუმხედრდება. "შენ არ გინდა შენი შვილების ბედნიერება, კერპი და ჯინიანი ხარო". – ასეთი იერიში მიიტანა ოჯახის თავზე დედაკაცმა რომლის გონიერი სულის განსჯაც, ანგარებას ჩაუხშია და ერთი წუთითაც არ ეპარება ეჭვი ივანე რუსისა და ბატონების განზრახვაზე. ცოლი ვეღარაფერს ხედავს,

გარდა იმისა, რომ "ის კაცი დიდი კაცია". ცნობიერად თუ ქვეცნობიერად დედაც ჯდის ქალიშვილს იშვიათია ქართულ ლიტერატურაში ხორციელი თვალი, სიდუხჭირისგან დაბნელებული დედის მიერ ნებსით თუ უნებლიედ ესოდენ საბედისწერო გაცემა შვილისა (რასაც მხოლოდ მოგვიანებით ეხვდებით ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში "ტრაგედია უგმიროთ", სადაც სოციალური სიდუხჭირე სრულად აკარგვინებს მშობელ მამას არა ოდენ მამის, არამედ კაცის სახესაც).

ქართველი კაცის დაცემას და გადაგვარებას დუტუ კიდევ უფრო მძაფრად წარმოადგენს და მხატვრული ოსტატობით აღწერს საყდრის ეზოში განვითარებულ ეპიზოდს. უაღრესად დამაჯერებლად არის გადმოცემული წირვის შემდგომ საყდრის ეზოში მიმდინარე მოვლენები. წირვიდან გამოსული რუსი ივანე და ნაბატონარი დიდკაცები ცაცხვის ძირში დასხდნენ და მუსაიფობდნენ, ხოლო მათთან მოდიოდნენ და მოწიწებით თავს უკრავდნენ გლეხკაცები. ნაბატონარისა და რუსი ჩინოვნიკის წინაშე მონური ქედმოხრა, მლიქვნელობა და ხალხის ბეჩაობა, რომელსაც დუტუ აქ ცოცხალ სურათად წარმოადგენს, ერთი შეხედვით, თანაგრძნობის, სიბრალულის აღმძვრელი უნდა იყოს მკითხველში, მაგრამ ავტორი ქვეტექსტით ოსტატურად მიანიშნებს მკითხველს, რომ ეს ადამიანები უპიროვნო, ღირსებადაკარგული არსებანი არიან.

წირვიდან გამოსული ბატონიც, რუსი ჩინოვნიკი, და გლეხობაც ერთნაირად ფარისევლები არიან, რადგან პირველნი გოგოს გაყიდვა – "გაშვილებაზე" თათბირობდნენ, ხოლო მეორენი – ცრუ პატივს მიაგებენ, ემლიქვნელებიან და განადიდებენ მათი პატივისა და ღირსების ხელმყოფლებს.

ტაძრის ეზოში აღსრულებული ამ ულმერთობის, ღვთისუშიშობის შედეგია ეკას ტრაგიკული ისტორია.

ტაძრის ეზოშივე ხდება ეკას ცდუნება ნათლია "ქალბატონის" მიერ, რომელიც გველივით აცდუნებს ეკას, ხოლო ეკაც, თავის მხრივ, თანაეზიარება ქალბატონის მიერ დახატულ ბედნიერებას, რომ "უბრალო ყაზახის შვილი, რომელიც თითო

კაბას ძლივს იცვლიდა წელიწადში, იმისთანა წარჩინებული კაცის შვილობილი უნდა გამხდარიყო... ღირსი უნდა გამხდარიყო ქუთაისის ნახვისა...". ეკა დაჰყვა ჭალბატონის ნებას, რადგან მან ოჯახს, საყვარელ გარემოს, ტოლ-ამხანაგებს, თავისი სულის ძახილს (რომელზეც ცოტა ქვემოთ ვიტყვით), ხორციელი კეთილდღეობა არჩია. იგი ტაძრის ეზოში დაეცა.

ავტორმა აქ 80-900-იანი წლების უმთავრესი საკითხი წამოჭრა: "მსხვერპლი" თუ "ნებით მოქმედი" პიროვნული ტრაგედიის თემაა, რომელიც თავისი არსით ბიბლიური თემაა.

მარქსისტულ-სოციალისტური იდეოლოგიის, თუ სხვა ათეისტური მსოფლმხედველობის მიმდევარ მწერალთა უმრავლესობა ადამიანს, პიროვნებას არ მიიჩნევს ბრალეულად ამა თუ იმ ზნეობრივ-მორალურ ქმედებაში და ამიტომაც მათი პერსონაჟები "მსხვერპლად" განიხილებიან "ლოზუნგით" – "ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო". ეს ის სიტყვებია, რომლებიც ბიბლიურმა ევამ და ადამმა წარმოთქვეს, ეშმაკისგან ცდუნების შემდგომ და მათ ეშმაკის "მსხვერპლად" შერაცხეს თავი, რისთვისაც ისინი დაისაჯნენ და სამოთხიდან განვარდნენ.

ჩვენ აქ იმისთვის მოვიყვანეთ ბიბლიური სწავლება ადამიანის ცდუნებისა და მისი თავისუფალი ნების შესახებ, რომ, განსხვავებით იმხანად ლიტერატურაში დამკვიდრებული სოციალური, თუ სხვა საბის "მსხვერპლის" ტიპისა, დუტუ მეგრელი განიხილავს პიროვნების თავისუფალი ნების და მისთვის პასუხისმგებლობის ქრისტიანული მოძღვრების თემას.

„საცოდავნის" მთავარი პერსონაჟი (მიხედავად მრავალი მაცდუნებლისა) თავად აკეთებს არჩევანს. და იგი თავად ახშობს საკუთარ სინდისის ხმას, რომლის სახე-სიმბოლოს ნაწარმოებში მუნჯია წარმოადგენს.

მუნჯიას სახე იმ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში მეტად ორიგინალური, პირველად შესრულებული პორტრეტია ბოგანო ყმაწვილი კაცისა, რომელიც მშვენიერი, მრთელი სულის სიმბოლოა. ის არის ერთად-ერთი სულიერი ადამიანი სოფელში, რომელიც მუნჯია.

მუნჯიას სახე იმდენად ცოცხალი, მხატვრულად ისე სრულყოფილი პორტრეტია, რომ მისით აღფრთოვანება ვერც იპოლიტე ვართაგავამ და ვერც მომდევნო პერიოდის საბჭთა კრიტიკამ ვერ დაფარეს.

დუტუ მეგრელმა მუნჯიას სახით ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა შეურაცხყოფილი, დამდაბლებული და ყველასგან უარყოფილი სულის სახე-სიმბოლო, რომელიც შემდგომ მხატვრულად კიდევ უფრო განავითარა მიხ. ჯავახიშვილმა თავის მოთხრობებში: "ყბაჩამ დაიგვიანა", "მეჩექმე გაბო", "კურკას ქორწილი" და სხვა.

ყველასგან დევნილ და შეურაცხყოფილ მუნჯიას, მხოლოდ ეკა შეიწყნარებს. მხოლოდ ეკასთან პოულობს მუნჯია საერთო ენას, სითბოს, აღიარებას, მაგრამ მათი ურთიერთობა სცილდება თანაგრძნობის მაძიებლისა და შემბრალებლის ურთიერთობას. მათ კავშირს განსაზღვრავდა სულიერი კავშირი; "საკვირველია, რომ ეკა ყოველ მუნჯიას სურვილს ადვილად მიხვდებოდა და თვითონაც ყველაფერს უცებ გააგებინებდა, რაც უნდოდა. მშვენიერი სანახავი იყო, როცა ეს ორი მარტოკა იყვნენ და ერთი მეორეს ემუსაიფებოდნენ..." მუნჯისა და მეტყველის "მუსაიფი", მხოლოდ სულიერ ერთობას მიანიშნებს.

სოფელი, საზოგადოება, რომელიც ბატონის ეზოში შეკრებილა ეკას გასაცილებლად და უფრორე სეირის საცქერლად, "სიხარბით მისჩერებია" ხან ახალ ტანისამოსში გამოწყობილ ეკას, ხან ივანე რუსის მიერ მოყვანილ ეტლს... ახალგაზრდა ქალები შურით მისჩერებოდნენ ეკას და შენატროდნენ ივანე პეტრეს ძის შვილობას, ქუთაისში წასვლა, "ნამეტურ ეტლში ჩაჯდომა რაღაც დიდი და დიდი ბედნიერება იყო იმათთვის". ამ ეპიზოდში დუტუ მეგრელი დამაჯერებლად აღწერს ბნელ, უზნეო საზოგადოებას, რომელსაც ეროვნული ცნობიერების სახე სრულად დაუკარგავს და ქრისტიანული საზოგადოებიდან წარმართულ საზოგადოებად გადაქცეულიყო; საზოგადოება, რომელიც არა თუ იცავს თავის წიაღში აღზრდილ, "საყვარელ" შვილს და ამხილებს ნათელ-ძირონობის შემგინებელ ბატონებს, ან რუსი ივანეს დანაშაულებრივ, ამორალურ ზრახვას, არამედ მთელი

საზოგადოება, სოფელი მზად არის ასევე "მიეშვილოს" ნებისმიერს, ვინც მათ შემოსავს, ეტლში ჩასვამს და ქალაქში აცხოვრებს... დუტუმ მაღალმხატვრულად დახატა საზოგადოება, რომლისთვისაც სულიერი კატეგორიები სრულად შეუცვლია ხორციელს.

ერთადერთი, ვინც სულით ცოცხალია, ვინც ცხადლივ ხედავს სოფელში აღსრულებული უსჯულოების სისაძაგლეს, რომელიც ვერავინ მოისყიდა და ვისი სიფარულიც იყო უანგარო – ეს იყო მუნჯია: "ივანე პეტრეს ძეც მივიდა მუნჯიასთან და ფერება დაუწყო. ამოიღო ივანემ წვრილი ფული და ჩაუყარა ხელში, მუნჯიამ დაჰხედა ფულს, მერე შეხედა ნაღვლიანად ივანე პეტრეს ძეს, ერთი საშინლად შეჰბღავლა და გადაყარა ფულები".

ნაწარმოებში მუნჯიას სახე-სიმბოლო სინდისის, სულის ხმის სიმბოლოა, რომელიც სოფელს ჩაუხშვია და დამუნჯებული სინდისი, სულის ხმა, რომელსაც სოფელი დიდიან-პატარიანად დევნის და აწვალებს, მხოლოდ ეკას შეუწყნარებია. სოფლად მხოლოდ ეკაა, რომელსაც ესმის სულის ხმა, რომელიც ისმენს სინდისის სიტყვას...

ღრმა ესთეტიკურ განცდას აღძრავს ეპიზოდი, როდესაც რუსი ივანეს ეტლში მჯდომ ეკას "საშინელი ყვირილით და ტირილით აედევნება მუნჯია: "ეკა ჰხედავდა მუნჯიას, ასე გამხეცებულს და სტიროდა. ეკამ იგრძნო ეხლა, რომ არ უნდა დაენებებინა საბრალოსთვის თავი... ის ეხლა ნახევარ თავისს სიცოცხლეს მისცემდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო უკან დაბრუნება, მაგრამ გვიანღა იყო". მუნჯიას ტყვიით განგმირავს ივანე რუსი. აი, აქ მუნჯიას სახით კვდება ეკას სული, სინდისი, იგი სულიერად გარდაიცვლება.

სოფლის, საზოგადოების მთელი სისასტიკე თავს იჩენს მაშინ, როცა რუსი ჩინოვნიკისგან მიტოვებული მეძავეობით დასნეულებული ეკა უძღები შვილივით ბრუნდება სოფლად და თავის დასთან, ეკლესიის სენაკში დაბინავდება. ავტორი სულ ორიოდე ფრაზით ხატავს წარმართული სულისკვეთების სოფელს, რომლისთვისაც შემწყნარებლობა ფარისეველთა სექტისამებრ უცხოა: "მთელი

სოფელი ამბობდა, ეკა არ იყო ღირსი არც თავის დასთან დგომისა და არც ეკლესიის ეზოში ცხოვრებისა; არ იყო ღირსი თავისი უწმინდურობის ფეხებით ეთელა პატიოსან მკვდართა საფლავები, ეშმაკის კერძია და საყდრის ეზოში რა უნდაო".

დუტუ მეგრელმა მოთხრობაში "საცოდავნი" შექმნა საზოგადოების ფსიქოლოგიური პორტრეტი, რომელიც თავისი მსოფლმხედველობით ანტიქრისტიანულია, რომელმაც არ იცის შეწყნარება და "სხვის თვალში ბეწვს ამჩნევს, ხოლო საკუთარში – დვირეს ვერ ხედავს", რითაც იგი საბოლოოდ ემიჯნება ქრისტიანულ ზნეობას, ხოლო ზნეობრივი პოზიცია არის გადამჭრელი ქვეყნის მომავლისთვის. ამ უმთავრეს იდეას პარალელურად გასდევს პიროვნების პასუხისმგებლობის ქრისტიანული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი საცდურის გარემოში ადამიანი საკუთარი ნებით ირჩევს ცოდვა – მადლის გზას, ბოლოს ცოდვის ფსკერზე დაცემულმა მაინც უნდა შეძლოს საკუთარი, პიროვნული პასუხისმგებლობის ტვირთვა, სინანული და აღსარება. მაგრამ ეკამ ეს ვერ შეძლო, საბოლოოდ ეკაც თავისი სოფლის სულის მატარებელი აღმოჩნდა, რომელიც სიკვდილის ჟამს, მღვდლის წინაშეც კი არ სცნობს საკუთარ ცოდვებსა და გაურბის პირად პასუხისმგებლობას შურისძიებით აღვსილი: "მე არაფერში არა ვარ დამნაშავეო"..

მეტად შთამბეჭდავია მოთხრობის ფინალი, სადაც დუტუ მეგრელი მუნჯიას საფლავზე დამხობილ მომაკვდავ ეკას და მასთან მისულ მოძღვარს შორის დიალოგს გადმოგვცემს. მომაკვდავი ეკა თუმც კი ამბობს, რომ ქრისტიანია, მაგრამ მას ცოდვისთვის პირადი პასუხისმგებლობის განცდა არ აქვს; მას არ აქვს სინანული, საკუთარი ცოდვილობის განცდა; ხოლო მოძღვარი ცდილობს, იხსნას მომაკვდავის სული; მას სურს და ყოველი ღონით ცდილობს ეკამ აღიაროს, მოინანიოს ღვთის წინაშე ჩადენილი თავისი ცოდვა: "დრო არის გამოუტყდე ღმერთს იმაში, რაშიც დამნაშავე ხარ" – ევედრება მღვდელი მომაკვდავს, რათა იხსნას იგი საუკუნო სასჯელისგან, მაგრამ ყველაზე და ყველაფერზე გაბოროტებული

ეკა სულით უკვე მკვდარი იყო და იგი ნაცვლად აღსარებისა, პირადი პასუხისმგებლობის ტვირთვისა საკუთარ ცოდვებზე, მღვდელს ეუბნება: "ღმერთმა მოჰკითხოს ყველას, ვინც ჩემს ამისთანა ყოფაში დამნაშავე იყოს..." მღვდელი კვლავ ცდილობს ეკას სულის გახსნას: "მაშ აღიარე ცოდვები, შვილო, და ორივემ ვთხოვოთ ღმერთს გაპატიოს. "არ შემიძლია!" ამბობს მომაკვდავი და ბოლოს იწყებს არა აღსარებას, არამედ თავის მართლებას: "მე არაფერში დამნაშავე არა ვარ... მე ძლიერებმა ძალით წამართვეს ის, რისი დაცვაც არ შემეძლო. მე მშიოდა, მწყუროდა, მციოდა... მე მჭონდა ერთი ჩემი თავი და იმით დავიწყე ვაჭრობა... მთხოვეს, შვილი ნუ გყავსო, გადააგდეო და მეც გადავაგდე..." ამ სიტყვებით გარდაიცვლება ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, ისე, რომ მან პატიება არ ითხოვა, რითაც უარყო ღმერთი და ღვთივმინიჭებული ნებელობა ბოროტსა და კეთილს შორის არჩევანისა

დუტუ მეგრელის მოთხრობა "საცოდავნი" ერთ-ერთი საუკეთესო პროზაული ნაწარმოებია საუკუნეთა მიჯნისა, რომელშიც ავტორი უბრალო ენით გადმოგვცემს ფსიქოლოგიურად ძლიერ განცდებს და სახეებს. დუტუ თავის პირველსავე პროზაულ ნაწარმოებში მხატვრის თვალით დანახულ საკითხს განიხილავს – საქართველოს თავს მოწევნილ უმთავრეს საფრთხეს, რომელიც ზნეობრივ-სარწმუნოებრივ ფასეულობათა რღვევას წარმოადგენს. დუტუ უპირისპირდება იმხანად არენაზე გამოსულ მარქსისტულ-სოციალისტურ მსოფლმხედველობის ლიტერატურას, რომელიც ყოველი ჯურის ათეისტურ, ანტიქრისტიანულ ფასეულობებს ნერგავდა, რისთვისაც ქარცეცხლში ატარებდა კრიტიკა დუტუს ნაწარმოებებს, ან სულაც დუმილით გამოხატავდა პროტესტს.

დუტუ მეგრელის პროზაში კონკრეტულ-ისტორიული გარემოს ზნეობრივ-ისტორიული კონცეფციაა განხილული, რომელიც პატრიარქალური იდეებითაა გაჯერებული. დუტუს პროზის ძალა ხასიათების საოცარი გრძნობით და თხრობის პლასტიკური ფორმით არის განპირობებული, რასაც თან ახლავს ცხოვრებისეული დიდი გამოცდილება და მისგან შეძენილი უნარი-პერსონაჟთა ცოცხალი სახასიათო

პორტრეტების შექმნისა.

ერთ-ერთი ასეთ უზადოდ შესრულებული მხატვრული სახეა დუტუს პროზაში კნეინა სალომეს პორტრეტი, რომელიც ბატონყმობის შემდგომი პერიოდის უფლებააყრილი ქალბატონის ტიპურ სახეს წარმოადგენს. "კნეინა" სალომეს ფსიქოლოგიური სურათი ზედმიწევნით ზუსტად წარმოადგენს ადამიანის ტიპს, რომელსაც სამყაროს ცენტრად საკუთარი თავი მიუჩნევია. დუტუ მეგრელი მოთხრობაში მსუბუქი იუმორით ძერწავს ამპარტავანი ქალბატონის სულიერ სამყაროს, რომელსაც: "ყველა "ქალბატონს", ან მხოლოდ "ბატონს" ეძახოდა., კნეინაც ისე იბერებოდა, თითქო მართლა გვირგვინოსანი დედოფალი ყოფილიყოს..."

ახოვანი, წამოსადეგი აღნაგობის "კნეინას" სახით ავტორი ამხილებს არისტოკრატიული წრის ამპარტავნულ, სულიერად გაღატაკებულ სახეს, რომელსაც ყველაზე უწინარეს სარწმუნოება დაუკარგავს და ფარისეველური თვალთმაქცობით ტაძარს მიკედლებია. დუტუ ზედმიწევნით ზუსტად აღწერს არისტოკრატიის ტრაგედიას, რომელსაც ქონება-უფლებასთან ერთად ღირსებაც დაუკარგავს და ცდილობს, რომ ტაძარში მაინც შეინარჩუნოს უპირატესობა და მღვდელი "თავის ჰკუაზე" ატაროს, ან გლეხის ქალების ამალას წინ წაუძღვეს... კნეინა სალომე ყოველივე ამით ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში იმყოფება. კნეინას ღვთის სახლი და ღვთის მსახურიც საკუთარ საგანმგებლოდ და საკუთრებად მიაჩნია. სოფლის გლეხი დედაკაცებივით მღვდელიც მორჩილად გაუხდია და სასულიერო იერარქიაც აბუჩად აუგდია: "მღვდელი ყოველი წირვის დაწყების წინ მოვიდოდა "სასახლეში"... გადაიხდიდა პარაკლისს და ვინემ "კნეინა" სალომე ტაძარში არ მივიდოდა, "უმისოდ წირვას არ დაიწყებდა, თუნდ შეადღე წამოსულიყო".

ავტორი სულ სამიოდე ფურცელზე ახერხებს სარწმუნოების დაკნინების მიზეზის ჩვენებას. ქვრივი ქალბატონის სახით, დუტუ არისტოკრატთა ბედოვლათობას ამხელს, რომელთა მიზეზითაც ჰეშმარიტი სარწმუნოება ფარისეველურ რიტუალად გადაქცეულა.

მოთხრობაში მკაფიოდ არის ნაჩვენები ეფრემ ხუცესის უპატიო ყოფა,

რომელსაც კნეინას ქმარი შეწევნია მღვდლობის ხარისხის მიღებაში და ამიტომ იგი ღვთისმსახურებას ხშირად კნეინას მსახურებაზე ცვლის.

დუტუ მეგრელი იუმორით, მაგრამ რეალობის მწარე განცდით გადმოგვცემს კნეინა სალომეს ღვთისსაგმობ საქციელს, რომლისთვისაც ტაძარი ღვთის სახლი და საედრებელი ადგილი კი არ იყო, არამედ თავისი უპირატესობის და პატივის წარმოსაჩენი ასპარეზი.

დუტუ მისთვის ჩვეული ლაკონურობით გვიხატავს სალომეს სულიერ განცდებს, რომლებიც ახალგაზრდა მღვდლის დანიშვნით აღიძვრება ქალბატონში. ეფრემ მღვდელი გარდაიცვალა და მის ადგილას სემინარიადამთავრებული ახალგაზრდა მღვდელი დანიშნეს. აქედან მოყოლებული "კნეინა" მოსვენებას კარგავს. იგი ახალგაზრდა, განსწავლული მღვდლისგანაც იგივე პატივს, თაყვანისცემას და მორჩილებას ელის "კნეინა სალომე დარწმუნებული იყო, რომ ახალი მღვდელიც არ უღალატებდა ძველ ჩვეულებას და იგიც ჯერ მის სახლში გადაიხდიდა პარაკლისს, ხოლო შემდეგ უიმისოდ წირვას არ დაიწყებდა". მაგრამ კნეინას იმედები გაუცრუვდება და სალომე ახალგაზრდა მღვდლისთვის მრევლის რიგითი წევრი ხდება.

ამპარტავანი ქალბატონის პატივმოყვარეობა, მისი სულიერი აშლილობა კომიკურ სახეს იძენს. მოთხრობის ფინალში კულმინაციას აღწევს ფარისეველური დედაკაცის შურისძიების მცდელობა, "როგორმე სამაგიერო გადაეხადა და დაესაჯა ახალი მღვდელი იმ შეურაცხყოფისთვის" (მასთან რომ არ შემოიარა პარაკლისის გადასახდელად და წირვაც რომ მის მიუსვლელად დაიწყო). ქალბატონი გარშემოკრებილ სოფლის დედაკაცთა ამალის წინაშე მღვდელს ხან "მჭადს" უწოდებს, ხან "ყაძახის შვილს" და ზარების რეკვის შემდეგაც არ იძვრის ადგილიდან, "მაცალოს, ერთ საათს მაინც ვაყურყუტებ..."

წირვა კარგახნის დაწყებული იყო და დასასრულს უახლოვდებოდა, როცა კნეინა სალომე თავისი ამალით შედის ტაძარში და მისთვის ჩვეულ ტაძრის შუა ადგილას იკავებს ადგილას... მღვდელი ჯვრით ხელში ამბიონზე გამობრძანდება

და კნეინა სალომე ადგილიდან არ იძვრის და არც მისი მიმბაძველი მრევლი, კნეინას ზრახვა ურწმუნოების და თან სრული უვიცობის კულმინაციას აღწევს. იგი ელის, რომ მღვდელი ამბიონიდან ჩამოვიდეს და თავად ეახლოს ჯვრით "კნეინას" – ამ ეპიზოდის აღწერით დუტუ მეგრელი ი'შვიათი ოსტატობით აღძრავს მკითხველში ერთდროულად აღშფოთებასაც და სიცილსაც.

დუტუ მეგრელი მხატვრული დამაჯერებლობით იძლევა ამ პეიზოდში ცოცხალ სურათს არისტოკრატიისა და მისი მიმბაძველი უბრალო ხალხის სრული გადაგვარებისას, სარწმუნოებისგან გაუცხოებისას, რაც ქართული ცნობიერების გადაგვარებას და ქართველი კაცის სულიერ დეგრადაციას წარმოადგენს. .

მოთხრობა "კნეინა სალომე"-ში დუტუ მეგრელმა მხატვრულად ასახა საუკუნეთა მიჯნის საქართველოს ტრაგედიის სათავე, რასაც ღმრთის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება ეწოდოს. "კნეინა" სალომეს ბრძოლა მღვდელთან, ის, რომ "კნეინა" თავს არ იდრეკს ჯვრის, მღვდლის, ტაძრის წინაშე – არის ღვთისმბრძოლობა, ღვთის უარყოფა, ქართველი არისტოკრატია, რომელიც ღმერთს თაყვანს აღარ სცემდა და თავად ითხოვდა ღვთისმსახურებთა პატივს და დიდებას, სამართლიანად კარგავს მის წილ პატივს და არა ოდენ ეკონომიკურად დამცრობილ ფოფაში აღმოჩნდება, არამედ შეურაცხადის სახესაც იღებს.

იპოლიტე ვართაგავა, რომელიც ხშირად ტენდენციურია დუტუ მეგრელის შემოქმედებისადმი, ხშირად კი უბრალოდ მისთვის გაუგებარია დუტუს მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსი, მოთხრობა "კნეინა სალომე"-თი აღფრთოვანებული წერს: "კნეინა სალომე", ლამაზი, აზრიანი, სადა და ბუნებრივი მოთხრობაა – სალომე ნამდვილი ცოცხალი ისტორიული ტიპია... მოთხრობა ისეთი მშვენიერია, რომ სრულ კმაყოფილებას და სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს. ავტორმა ორ გვერდზე ზედმიწევნით გამოაჭანდაკა სალომეს სახე – მისთვის არაჩვეულებრივი მხატვრული ზომიერებით დაგვიხატა სალომეს სულიერი სახე.. ცოცხლად დახატული სახე მღვდლისა ჩვენ გვათქმევინებს, რომ: ამაშია სიძლიერე ხელოვნური ნაწარმოებისა; ამას ჰქვია ნამდვილი იდეალურად შექმნილი ტიპი. ამ პატარა მოთხრობაში

მღვდელი დასურათებულია შესანიშნავის, ჩვენს ლიტერატურაში თითქმის უმაგალითო მხატვრული ზომიერებით დახატული სახე". (იპ. ვართაგავა, "კრიტიკული წერილები", ტ., 1, "ცოდნა", თბ., 1958 წ.)

დუტუ მეგრელის მხატვრულ-ესთეტიკური კონცეფცია ქრისტიანულ მსოფლმხედველობას ეფუძნება, რაც სრულად გამოვლინდა მის პროზაულ ნაწარმოებებში. დუტუს პროზის მსოფლმხედველობრივი მრწამსი ეროვნულ-სარწმუნოებრივი სფეროდან არის აღმოცენებული და იგი წარმართავს მის მხატვრულ სამყაროს და მასთან ერთად სტილურ-ენობრივ ექსპრესიასაც.

გარდამავალი ეპოქის წინააღმდეგობრივი სულისკვეთება არსებული ფორმების, ტრადიციების მსხვრევას, ფასეულობათა გადაფასებას, ქართველი კაცის სულის მსხვრევას განაპირობებდა. სწორედ ამ ახალი, გარდამავალი ეპოქის პირმშონი არიან დუტუ მეგრელის პერსონაჟები, რომლებშიც სახიერად ცხადლივ აირეკლება საქართველოში მიმდინარე წინააღმდეგობრივი პროცესები. დუტუმ პირველმა წამოსწია პიროვნების შინაგანი ცხოვრების ფსიქოლოგიური თემა საუკუნის მიჯნის ქართულ ლიტერატურაში, პიროვნების მორალურ-ზნეობრივი პასუხისმგებლობის, ბრალეულობის, განცდა-არგანცდის სულიერი მოძრაობა. და ეს მაშინ, როდესაც საუკუნეთა მიჯნის საქართველოში მისი თაობა კლასთა ბრძოლის თემას წამოჭრიდა და უპირატეს საკითხად განიხილავდა.

ტრადიციების, ოჯახის ქრისტიანული საზღვრების ნგრევა ეროვნული კატასტროფის წინა პირობად მიაჩნდა დუტუ მეგრელს და ამიტომ დიდ ადგილს უთმობდა ამ თემებს. სწორედ საუკუნის ბოლოს აღმოცენდება საქართველოში ახალის ეპოქის ერთ-ერთი ნიშნეული მოვლენა, რასაც "ქალთა ემანსიპაციის" საკითხი ჰქვია. ამ საკითხმა დასავლეთშივე დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და მასზე მრავალი ნაწარმოები დაიწერა, რომელთაგან იბსენის "ნორა" გამორჩეული მხატვრული კრიტიკაა ემანსიპაციის საკითხისა.

ცნობილია, რომ ,,ქალთა ემანსიპაციის" მოძრაობა სხვადასხვა ,,საქველმოქმედო" ორგანიზაციის სახელით მოქმედებდა. საქართველოშიც უმალ თავი იჩინა ამ

„პროგრესულმა" მოვლენამ და 1915 წელს დაარსდა კიდეც საზოგადოება "მანდილოსანი", რომელსაც ჰქონდა თავისი წესდება, გამოსცემდა ცალკე ბროშურებს და ორგანიზაციის წევრები თავიანთი მიზნების პროპაგანდას ეწეოდნენ... და ბოლოს, საინტერესოა, რომ ამ ორგანიზაციის დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო მწერალი ქალი ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი – დუტუ მეგრელის მეუღლე (ქართ. ლიტ. ისტ., ტ., 5, თბ, 1982, გვ. 214).

ახალი დროის "განმაახლებლური" სულისკვეთება ოჯახური ტრადიციების, ზნეობრივი ნორმების გადასინჯვასაც ითხოვდა. კერძოდ, ოჯახური წყობის ქრისტიანული იერარქიის რღვევა იწყებოდა. ქრისტიანული ოჯახის იერარქია, რომლის მიხედვითაც "ქმარი არის თავი ცოლისა, ვითარცა ქრისტე ეკლესიისა" (ეფ. 5. 23), ხოლო "ცოლნი თვისთა ქმართა დაემორჩილენ, ვითარცა უფალსა" (ეფ. 5. 22).

ოჯახური ქრისტიანული ტრადიციის რღვევა ეროვნული ცნობიერების გადაგვარების სათავეედ მიაჩნდა დუტუ მეგრელს, რომელმაც ეს დღემდე აქტუალური საკითხი განიხილა მოთხრობაში "ბალი".

ავტორმა მცირე მოცულობის მოთხრობაში მოგვცა თეზა ოჯახური და ეროვნული ცნობიერების, ტრადიციების იდენტურობისა.

ამ უაღრესად აქტუალურ თემას ავტორი წარმართავს ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ურთიერთობით, რომელიც ქმედითი დიალოგით არის გაცოცხლებული. თამარისა და სერგოს საუბრიდან ირკვევა, რომ ისინი ქალაქში გამართულ "ბალს" უნდა დასწრებოდნენ, მაგრამ ქმარი ავად გახდა. იგი ცდილობს ცოლს გაუქარვოს ბალზე წაუსვლელობის სევდა, გაცრუებული მოლოდინი ზეიმისა, რომელიც კაცისთვის სხვა არა იყო რა, თუ არა "სისულელე, შეერთებული სისაძაგლესთან" და რომ ქმარი მხოლოდ მეუღლის ხათრით აპირებდა იქ წასვლას, ახლა კი თავისი აზრი ამ ევროპული გართობის შესახებ ხმამაღლა გამოთქვა. ცოლ-ქმარს შორის გამართულ კამათში ირკვევა, რომ თამარი ევროპულ ცეკვას ამჯობინებს ქართულ "ლეკურს" და რომ იგი "გადმონაშთად მიაჩნია": "ლეკური

ხომ ნაშთია იმ დროსი, როცა ხალხი ჯერ ისევ ველურ მდგომარეობაში იყო, როცა დედაკაცი გაურბის მამაკაცს და ის ძალით იჭერს მას . . "

ახალგაზრდა ცოლ-ქმრის დიალოგში კულტურათა დაპირისპირება იჩენს თავს. ცოლი ევროპული კულტურის თაყვანისმცემელია, იმ კულტურისა, რომელიც მე-19 საუკუნისათვის ნეოწარმართულ სახეს იღებს, ხოლო ქმარი ქრისტიანულ კულტურასთან წილნაყარ ქართულ კულტურას სცემს თაყვანს. დუტუ მეგრელი ამ ეპიზოდში სერგოს პირით საინტერესოდ განმარტავს „ლეკურის" შინაარსს: „ლეკურის დროს კაცი და ქალი მხოლოდ აწონებენ ერთმანეთს და ეჯიბრებიან სიკეკლუცე-სინარნარეში... ლეკური სიყვარულის გამოცხადებაა, არშიყობა და ტრფიალებაა, ვალსი კი იგივე ვნებათაღელვის დამაკმაყოფილებელი განცხრომაა".

თამარის სახით ავტორი ხატავს ახალდროის ნიშნით აღბეჭდილ ქალს, რომელიც ემანსიპირებული ქალის ტიპს წარმოადგენს. მას საკუთარი ნების აღსრულების მძლავრი ინსტინქტი ამოძრავებს იმდენად, რომ ქმრის ზურგს უკან აწყობს „შეთქმულებას" სერგოს მამიდასთან, რომელიც ვითომ შემთხვევით ჩამოდის და თამარს ბალზე „გაიყოლებს". თამარისთვის არც მეუღლის მოტყუება, არც ავადმყოფი ქმრის მიტოვება არ წარმოადგენს უღირს საქციელს, იგი ბოლომდე ახერხებს ქმრის წინაშე სიცრუეს, თითქოსდა მას არ სურს ბალზე წასვლა და მამიდა აიძულებს. იგი არც ქმრის მოსაზრებას ითვალისწინებს, რომ ბალი სხვა არაფერია თუ არა „ასი და ორასი სანთლით განათებული დარბაზი, სადაც ათასი კაცი ირევა..." მაგრამ ყველაზე მახასიათებელი ემანსიპირებული ქალისთვის მდაბალი, ჭვენა გრძნობებით ხელმძღვანელობაა, რომელსაც იგი „თავისუფლებას" უწოდებს თამარის მისწრაფებაც სხვა არაფერია, თუ არ ის, რომ იგი „ლამაზი იყო და ჯერ არ გამოეცადა თავისი სილამაზის ძლიერება დიდ საზოგადოებაზე... ხვალ უნდა მოეხდინა ეს გამოცდა..."

„თამარს ხვალ უნდა მოეხდინა თავისი სილამაზის გამოცდა" – როგორი განსხვავებულია და როგორ არის დაცილებული ეს მისწრაფება ქართველი ქალის (მეუღლის, დედის) ცნობიერებას. თამარი ავადმყოფ ქმარს ტოვებს და

მამიდასთან ერთად მიდის ქალაქში.

ნაწარმოების ფინალის მხატვრული გადაწყვეტა (სერგოს სიკვდილი), ერთი შეხედვით, ბანალურია, მაგრამ, მეორე მხრივ, ქმრის უეცარი სიკვდილი მათი სიყვარულის, ოჯახის სიკვდილი იყო, საწოლ'ში მარტოდ დარჩენილმა სერგომ ცხადად გააცნობიერა, რომ ცოლ-ქმარს შორის „უშველებელი ხრამი ჩამდგარიყო" და იგი „მათ სიყვარულს ვერ ამოუვსია". ეს იყო ოჯახურ უფლება-მოვალეობათა ტრადიციის კვდომა, რომელიც დუტუმ ქართულ ინტელიგენტურ სინამდვილეში შენიშნა.

ოჯახის ტრადიციის რღვევის კიდევ უფრო მძაფრი და წრეგადასული მოვლენებია ასახული მოთხრობაში "გოგია და ქანა", სადაც ავტორი ხატავს ქართული სულის სრულ დემორალიზაციას, პიროვნებაწარხოცილ ადამიანთა სტიქიურ ქმედებებს.

დუტუ მეგრელი მკვეთრი ფერებით ხატავს მოთხრობის პერსონაჟებს, რომლებსაც ხორციელი ინსტინქტები წარმართავენ.

ნაწარმოების სიუჟეტი მარტივია და თხრობაც – სადა. Ავტორი მოთხრობაში მთხრობელის კომენტარების ფორმასაც იყენებს, რაც XIX საუკუნის მიწურულის პროზისთვის არის დამახასიათებელი.

„გოგია და ქანა" ოჯახის ტრაგედიაზე აგებული ნაწარმოებია. სიუჟეტი მარტივია: ხნიერ და შეძლებულ ქვრივ გოგიას ახალგაზრდა, ლამაზ ქანას შერთავენ ცოლად. ოჯახის სიწმინდე თავიდანვე განწირულია, რადგან საფუძვლად ანგარება უდევს. მშრომელ გოგიას ინტერესი ერთია – მას ცოლზე მეტად შვილის ყოლა აინტერესებს, ხოლო ჟმაწვილ და ლამაზ ქანას ქონება და შეძლებული პატრონი...! ახალგაზრდა ქანას და სოფლის ჩინოვნიკის სატრფიალო, ურცხვად წრეგადასული ურთიერთობა ქმრის – გოგიასა და მთელი სოფლის თვალწინ აღესრულება და ავტორი ამ სისაძაგლეში თანაბრად ბრალეულად წარმოადგენს როგორც გოგიას, ასევე მის მოღალატე ცოლს, ქანას, რადგან მამაკაცი, როგორც ოჯახის თავი სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს და თავადვე ხელს უწყობს ქანას

მთელი დღე გართობა – თამაშობებში სიარულს, რადგან მისი აზრით: "ის ჟამწვილია, მე მოხუცებული, ის მოდის, მე კი მივდივარ". გოგია, რომელსაც ცოლის არა მარტო ხორცის, არამედ "სულისთვისაც" უნდა ეზრუნა, "სრულ თავისუფლებას" აძლევს ახალგაზრდა ქანას, რომელიც, თავის მხრივ, სრულიად ივიწყებს მოვალეობას და თავისსავე ეზოში ებაასება "მიჯნურს".

მეძავი დედაკაცის და მისი მექალთანე სატრფოს უზნეო საქციელზე არანაკლებ უღირსია ქმრის – გოგიას საქციელი, რომელმაც კარგად უწყის მათი ცოდვილი კავშირი და საკუთარ ეზოში მოლაციცე მის ცოლს და რევაზს გვერდს აუქცევს, ნალიისკენ წავა. ამ ეპიზოდით ავტორმა უზნეობის არანაკლები სახეობა წარმოადგინა: ქმარი, რომელიც თვალს ხუჭავს და გვერდს უვლის საკუთარ ეზოში, საკუთარი ცოლის არშიყს, არაფრით არ ჩამოუვარდება ქანას და რევაზის უღირსებას. მით უფრო, რომ გოგიაც თვალს ხუჭავს, რადგან იგი: "ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ სოფელს არ შეეტყო, ოღონდ საქვეყნოდ არ გამოაშკარავებულიყო, სოფლის ყბადაღები არ გამხდარიყო".

დუტუს აქვე ოსტატურად შემოჰყავს სოფლის სახე, რომელიც თავად არის მშობელი ყოველგვარი უზნეობისა, სოფელმა კარგახანია იცის ქანას და რევაზის წრეგადასული საქციელი, მაგრამ ეს პროტესტს არ იწვევს, ოღონდაც "შეიქნებოდა ხოლმე გოგიას ყბად აღება", როცა იკრიბებოდნენ; ქანაზე კი სოფლის ახალგაზრდა ბიჭები აღფრთოვანებით ამბობდნენ: "ყოჩაღ, ყოჩაღ, ქანა! ცეცხლია, ქალი კი არა.. ეხლა გოგიას ჩაძაღლდება უკლია და იმისთანა ქმარს იშოვის...", არც გასათხოვარი გოგოები უწუნებდნენ ქანას საქციელს, პირიქით, "პირში ნერწყვი მოსდიოდათ".

ჯვრისწერის შეგინების ცოდვას დუტუ სოფლის საერთო სულიერ მდგომარეობად წარმოსახავს და მხატვრულად განაზოგადებს უზნეობის ზეობას სოფლად, რომლის ერთთაგანი – ქანაც უსახლკაროდ ტოვებს ქმარს და საფარელთან ერთად ფულიანად ქალაქში გარბის. . .

მხატვრულად შთამბეჭდავია ეკლესიის კართან, საფარლისგან მიტოვებული,

ნაბუშარით ხელში მდგომარე ქანას შეხვედრა ასევე სამათხოვროდ გამოსულ თავის ხანდაზმულ ქმართან.

ავტორი ოსტატურად, საზიერად ხატავს ეპიზოდს, ცოლქმრული საიდუმლოს დარღვევისთვის განკითხული გოგია და ქანა ეკლესიის კარზე ხვდებიან ერთმანეთს, დამდაბლებულნი და შეურაცხყოფილნი, მაგრამ მათში ცოცხლდება სინანული: „გოგიამ შეხედა ქანას თვალებში, ქალიც შეჩერდა და მაშინვე თითქოს რაღაცამ უკბინაო, შემკრთალი შედგა... ქალმა იგრძნო მთელი თავისი დანაშაული ამ კაცის წინაშე და სირცხვილით თავი დახარა".

დუტუ მეგრელმა დიდი ემოციური, საინტერესო სახე-სიმბოლოებით, მხატვრული მიგნებებით და სიუჟეტურ-კომპოზიციური სიახლეებით გააცოცხლა საუკუნეთა მიჯნის სინამდვილე, ყოველდღიური ცხოვრება... როდესაც ეროვნულ-სარწმუნოებრივი ტრადიციების ნიველირება ადამიანის სულის მსხვრევას, მის ზნეობრივ დეგრადაციას იწვევს. ზემოგანხილულ მოთხრობებში "ბალი" და "გოგია და ქანა" ავტორმა ასახა მამაკაცის პასიური ტიპის სახე, რომელიც ერთ შემთხვევაში ევროპული "ჰუმანიზმით" არის ხელფეხშეკრული ცოლის წინაშე, ხოლო მეორე შემთხვევაში ობივატელის შიში "სოფელმა არ გაიგოს"-ო სრულად აკარგვინებს გოგიას მამაკაცურ ღირსებას.

ოჯახის, კერიის გადარჩენა ერის ხსნის იდენტურია, რომელიც პირველად დუტუ მეგრელმა მოგვცა მხატვრული ნაწარმოების თემად, ხოლო შემდგომ ნიკო ლორთქიფანიძემ განავითარა თავის ნაწარმოებში "კერიისათვის".

დუტუ მეგრელი ერში ზნეობრივ-მორალურ ფასეულობათა განახლებას, სარწმუნოების აღორძინებაში ხედავდა. მას მიუღებლად და ქართული ცნობიერების დამანგრეველად მაიჩნდა, სოციალური ხასიათის "განმათავისუფლებელი ბრძოლები", "პარტიული გაერთიანებები", რითაც კიდევ უფრო ტრაგიკული ხდება ქართველი კაცის სულიერი ყოფა; კიდევ უფრო დიდი უფსკრული ჩნდება თაობათა შორის და კიდევ მეტად ეცლება ძირი ტრადიციულ ფასეულობებს, შვილს აღარ ესმის მამისა და მამას — შვილისა.

მოთხრობა "დაშორებულნი" თაობათა შორის გაჩენილ კონფლიქტს აღწერს. მასში რეალურად არის აღწერილი ახალი თაობის 'დროის სულისკვეთებით" გატაცება. განათლებული თაობა გლობალური პრობლემებით, უცხოეთიდან გადმონერგილი იდეებით ინტერესდება, მისთვისაც გაურკვეველ პოლიტიკურ წრეებში ერთიანდება, სტუდენტურ მოძრაობებით გატაცებული კარგავს სასწავლებელს, მომავალს და მასთან ერთად რეალობის მართალ ხედვას – ყოველივე ამით კი წარსულს სწყდება და უგზო-უკვლოდ საკუთარი მეს განცდაც ეკარგება.

საუკუნეთა მიჯნის ეს აქტუალური თემა რეალისტურად ასახა დუტუ მეგრელმა მოთხრობაში "დაშორებულნი", რომელიც 1905 წ. დაიბეჭდა "მოამბეში". მოთხრობაში საინტერესოდ არის გადმოცემული მამათა და შვილთა თაობის დაპირისპირება, კონფლიქტი, რომელიც სოფლის გლეხს, ნიკიფორესა და მის უფროს ვაჟს სვიმონს შორის ჩნდება. ღარიბმა აზნაურმა ნიკიფორემ მთელი თავისი მონაგარი შვილის, სვიმონის სწავლას მოახმარა, უკანასკნელი კურსის გასასრულებლად კი ვენახიც დააგირავა. იგი იმედით შესცქერის უფროს ვაჟს, სტუდენტს, რომელმაც ოთხი მცირეწლოვანი და-ძმა და მშობლები უნდა არჩინოს. მაგრამ სვიმონი სტუდენტურ მოძრაობაში ჩაბმულა, იგი "პროგრესული" პოლიტიკური იდეებით არის გატაცებული: სვიმონს მიაჩნია, რომ "დიდ საქმეს" შესწირებია და როცა ინსტიტუტიდან გამორიცხავენ, მას თავი გმირად მიაჩნია. იგი მამის აღშფოთებას ვერ იგებს და ვერც მის სამართლიან შეფასებას იზიარებს: "რაღა მაინც და მაინც იმ თავზეხელარებულებში გაერიე და არეულობაში მიიღე მონაწილეობა... რა იყო, ვერ დაეტიე შენთვის?..." ნიკიფორეს, როგორც მამის და მთელი მამათა თაობის ეს სიტყვები "რაღა იმ თავზეხელაღებულებში გაერიეო" მარქსისტ-სოციალისტთა დაჯგუფებებზე გამოთქმული აზრია, რომლითაც დუტუ მეგრელმა ამხილა მთელი ეს მოძრაობა.

სვიმონი, რომელსაც თავი "საზოგადო საქმის" მონაწილედ მიაჩნია, მოღალატეებს უწოდებს მეგობრებს, რომლებმაც უკან დაიხიეს და მისნაირებს

არ გაჰყვნენ. ხოლო თავად აღფრთოვანებული, თავგანწირული "დიდი საქმისათვის", რომელმაც ამაყად დააბრუნა შინ, როგორც ინსტიტუტიდან გამორიცხული "გმირი" – გაოგნებულია და ვერაფრით გაუგია მამის საყვედური. მისი რისხვა: 'საზოგადო საქმეს თქვენ უღალატეთ, შვილო... შენ გვიღალატე ყველას, დედ-მამას, და-ძმათ, მთელს ქვეყანას!.. ღმერთი მოგიკითხავს ამის სამაგიეროს... შენი პატიოსნება შენ თვითონ შებღალე, რადგან დაივიწყე უმთავრესი მოვალეობა: მოვალეობა მშობლების წინაშე!"

მარქსისტულ-სოციალისტური იდეებით გატაცებული სტუდენტი შვილის და ტრადიციული იდეების და ოჯახის ინტერესების დამცველი მამის კამათი, საბოლოოდ მიდის სარწმუნოების საკითხების განხილვასთან. დუტუ მეგრელი განათლებული სტუდენტის პარტიულ-ორგანიზაციულ მიმართულებას ნაწარმოებში არ აკონკრეტებს, მამა-შვილის კამათში ცხადდება ორი უმთავრესი პოზიცია საუკუნეთა მიჯნის საქართველოს ცნობიერების ათეისტური და ქრისტიანული.

ნიკიფორე შვილს შეახსენებს უმთავრეს მოვალეობას, მოვალეობას ოჯახის წინაშე". ხოლო სვიმონის აზრით "ამაზე უფრო დიდი მოვალეობაც აწევს კაცს; მოვალეობა საზოგადოებისა, მამულისა, თვით მთელ კაცობრიობისა".

დუტუ მეგრელი მამა-შვილის ამ დიალოგში მეტად მნიშვნელოვან თვალსაზრისს ავითარებს, თვალსაზრისს, რომელიც სახარებისეულ სწავლას ეყრდნობა, რომ ათი მცნებით ღვთის წინაშე მოვალეობა აკისრია კაცს მეხუთე მცნებით კი – დედ-მამის პატივისცემა და სიფარული "დიახ, ჯერ ღმერთი, მერე დედ-მამა და მხოლოდ შემდეგ სხვა" – ამბობს ნიკიფორე და ეს სხვა "საზოგადოება", "მამული", მოვალეობა მთელი კაცობრიობის წინაშე სწორედ ღვთისა და ოჯახის სიფარულით წარიმართება.

დუტუ მეგრელის ეს ეროვნულ-სარწმუნოებრივი აღსარება სრულიად მიუღებელი და "მოძველებული" იყო საუკუნეთა მიჯნის თაობისთვის, ამიტომაც ჯოველმხრივ ამცროობდნენ, გზას უკეტავდნენ დუტუს საზოგადო ასპარეზზე წარმატებას და ამიტომაც გამოუკეტეს საარსებო ყელა კარი და ფაქტობრივად

"ეჭსორიაყვეს" დუტუ სამშობლოდან.

მიუღებელი იყო ნაწარმოების პერსონაჟისთვის – სვიმონისთვისაც მამა-პაპური გზა სახარებისა. იგი მამას მკაცრად ეუბნება: "მე რამდენჯერ მითქვამს შენთვის, რომ საღმრთო წერილზე შენთან ლაპარაკი არ შემიძლია – მეთქი, გარდა საღმრთო წერილისა სხვაც არის..." და ნიკიფორე, რომელიც დიდხანს იმყოფებოდა მონასტერში და სამღვდლოდაც ემზადებოდა ერთხანს, გადაჭრით პასუხობს შვილს. "არაფერი არ არის, არაფერი ზნეობრივი სწავლის შესახებ საზოგადოდ საღმრთო წერილზე და განსაკუთრებით სახარებაზე უკეთესი".

მოთხრობაში "განშორებულნი" დუტუმ ცხადად დახატა ის განმყოფი ზღვარი ეროვნულ-სარწმუნოებრივ საქართველოსა და ათეისტურ-სოციალისტურ საქართველოს სახელით წოდებულ ქვეყანას შორის, რომელმაც "დააშორა ერთმანეთს მამა-შვილი, განყო ქვეყანა" და რომელზეც მოთხრობის პერსონაჟი სვიმონი მამას სწერს: "ჩვენ ისე დავშორებივართ ერთმანეთს, რომ ერთმანეთისა აღარაფერი გვეყურება... ორივეს სხვადასხვა თვალთახედვის ისარი გვაქვს".

მოთხრობის უმთავრესი იდეა ორად გახლეჩილ საქართველოზე დუტუმ ცოცხალი დიალოგებით, ფსიქოლოგიურ განცდათა მხატვრული გადმოცემით და პერსონაჟთა პორტრეტების მკვეთრად გამოკვეთილი სახეებით განახორციელა.

დუტუ მეგრელი საქართველოს სულიერ და ფიზიკურ ხსნას ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდენტიფიკაციაში ხედავდა, რითაც იგი საქართველოს ისტორიული სახის, ეროვნული ძირების გადარჩენისკენ მოუწოდებდა მკითხველს. პიროვნების, საზოგადოების ზნეობრივ-მორალურ სიმართლეს ქრისტიანულ-ზნეობრივ სწავლებაში ხედავდა, რაც საინტერესოდ განავითარა მოთხრობებში "ფეჩეია" და "სვიმონ მღვდელი".

"ფეჩეია", როგორც თემატურ-იდეური, ასევე მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი უმშვენიერესი პროზაული ნაწარმოებია, რომელმაც 80-900-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში პირველმა ასახა მონაზვნის სახე (არა ისტორიული წარსულის სახედ, არამედ მისი თანამედროვე, რეალურ

გარემოში მოღვაწე სულიერ დედად). საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საუკუნეთა მიჯნის პროზაში არავის ისე არ გაუშუქებია რელიგიური თემა ზოგადად და კერძოდ კანონიკური ფორმით, როგორც ეს დუტუ მეგრელის პროზაში გვხვდება. დუტუმ იმ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში გაბატონებულ სოციალური "მსხვერპლის" ტიპს, პიროვნული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებულს და "ჩაგრულ" ლიტერატურულ სახეებს დაუპირისპირა ცოდვა-მადლის განმცდელი, პირადი პასუხისმგებლობის, სულიერების, მარადიული ფასეულობების სადარაჯოზე მყოფი მოღვაწე ქართველის სახე.

მოთხრობაში "ფეჩეია" ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ყმაწვილი ქალი ფეჩეია, როგორც სოციალურად, ასევე მორალურად შეჩირვებული და უუფლებოა. იგი ბატონის უკანონო შვილია და სასახლეში სხვა მოახლეებივით უფლებააყრილია; მაგრამ ყველაზე უფრო მტკივნეული და ფსიქოლოგიურად დამთრგუნველია ის, რომ იგი თავისი დის მაკას (ბატონის კანონიერი ქალიშვილის) მოახლეა; ხოლო როცა მაკას გაათხოვებენ თან გააყოლებენ, მზითვის სიაში მიათვლიან ფეჩეიას.

ფეჩეიას ნათლობის სახელად მარიამი რქმევია, მაგრამ ქალბატონს მისთვის ეს სახელიც წაურთმევია (ბატონთა სწორი სახელი მოახლეებს არ უნდა რქმეოდათ) და ფეჩეია შეურქმევია.

ლამაზი და გონიერი ფეჩეიას სახით ავტორი ხატავს სულით ძლიერ პიროვნებას, რომლისთვისაც პიროვნული ღირსება სოციალურ-ყოფითი მდგომარეობით არ განისაზღვრება, ამიტომაც ფეჩეია, რომელიც რეალურად აფასებს თავის სოციალურ მდგომარეობას, იმავ დროს საკუთარი ღირსების მაღალი განცდა და საკუთარი სულის მიმართ პასუხისმგებლობის განცდა ახასიათებს. თუმცა ნაწარმოების პირველ ნაწილში ფეჩეია რელიგიურად გაცნობიერებული არ არის, მაგრამ მასში სულიერების ქართული ტრადიცია მტკიცედ არის ფესვგადგმული. ამიტომაც ფეჩეია ადვილად არ ენდობა და არც ებმება სატრფიალო-სამიჯნურო თავგადასავლებში, თაყვანისმცემლებს მუდამ გაურბის და ტოლ-ამხანაგებშიც გარკვეულ ზღვარს იცავს...

მაგრამ განსაცდელი მაინც ჩამოუდგება ფეჩეიას. იგი და-ქალბატონის მულის შვილს რევაზს შეუყვარდება, რომელიც მათთან ცხოვრობს ერთხანს. რევაზი ცოლობას აღუთქვამს ფეჩეიას, მაგრამ ჟმაწვილ ქალს, რომელიც გულში იკლავს გრძნობებს, კარგად ესმის, რომ მათ ჯვრისწერის უფლებას არავინ მისცემს და ამიტომ იგი საკუთარი სულის ხმას ემორჩილება და უარს ეუბნება რეზოს, რომელსაც სულ მალე წაიყვანენ, ჩამოაცილებენ ფეჩეიას. დააქორწინებენ კიდეც უმალ... ფეჩეია კი საბოლოოდ უარს ამბობს გათხოვებაზე.

ავტორი ღრმა ფსიქოლოგიური წვდომით გადმოგვცემს განსაცდელის შემდეგ ფეჩეიას სულიერ ფერისცვალებას, იგი რეალისტურად გადმოგვცემს წუთისოფლის' ამაოების ჯერ კიდევ ბუნდოვან განცდას ფეჩეიაში, თვითჩაღრმავების პირველ ნიშნებს: "ფეჩეიას მოთხოვნილებად გადაექცა საყდარში სიარული, რადგან მხოლოდ იქ გრძნობდა თავისუფლად თავს..."

დუტუ მეგრელის ნაწარმოებში სწორედ იმ დროს შემოჰყავს მთაწმინდელი ბერი ზოსიმეს სახე, როგორც ეს რეალურად ხდება, როცა სულიერი ადამიანის განსაცდელში ყოფნის დროს, ადამიანთან მოდის რწმენა (გავიხსენოთ გრ. ხანძთელის ცხოვრებიდან ბერი ზენონის განსაცდელი).

ზოსიმე ბერის სახესთან ერთად დუტუ მეგრელი ნაწარმოებში აცოცხლებს სამეგრელოს სულიერი ცხოვრების დოკუმენტურ მასალებს: ჩამოთვლის ეკლესია-მონასტრებს, რომლებიც მაშინ მოქმედებდნენ, იქ დაცულ სიწმინდეებს და აღსრულებულ სასწაულებს. ნაწარმოებში საინტერესოდ არის გაცოცხლებული სამეგრელოს სასენაკო-სამონასტრო ცხოვრების სურათები, რომლებიც თითქმის დოკუმენტური ხასიათისაა, რადგან თავად დუტუ მეგრელი ბავშვობაში დედასთან ერთად სწორედ აქ, ამ წრეში აღიზარდა (იხ. „ავტობიოგრაფია"). ამდენად, მოთხრობაში ისიც საინტერესო ფაქტია, რომ მთაწმინდელი ბერები სამეგრელოს სოფლებში ხშირად ჩამოდიოდნენ საქადაგებლად.

ბერი ზოსიმეს სახით (ჩვენთვის უცნობია, იგი რეალური პირია, თუ მხატვრული სახე) ქართველ მოღვაწე იმ ბერ-მონაზონთა სახეა გაცოცხლებული, რომელთაც

ბევრი ადამიანის გაქვავებული გული მოულბია". მოთხრობის ერთი თავი მთლიანად დათმობილი აქვს ბერი ზოსიმეს ქადაგებას, სადაც ორ გვერდზე საქრისტიანო მოძღვრების არსია გადმოცემული: კატეხიზმოს სწავლება ღვთისა და ადამიანის სიყვარულზე, წუთისოფლის ამაოებაზე, სულის ცხონებაზე...

ზოსიმე ბერის პირით ავტორი მკითხველს ქრისტიანული ცხოვრების წესს შეახსენებს და მოუწოდებს ამ ცნობიერებით ცხოვრებას, რაც ბევრ კრიტიკოსს იმხანად აღიზიანებდა (იპოლიტე ვართაგავა მოთხრობის ამ ეპიზოდზე შენიშნავს, რომ "თავისთავად პატარა მოთხრობაში ავტორს მოჰყავს ვრცელი ქადაგება და ისიც შაბლონური..."). დუტუ შეგნებულად უთმობს საქრისტიანო მოძღვრებას დიდ ადგილს მოთხრობაში, რათა მათთვის, ვისთვისაც ქრისტიანული სწავლება "შაბლონური" გამხდარა, შეახსენოს, რომ ქრისტიანობა მხოლოდ სწავლება კი არ არის, არამედ ცხოვრებაა.

სწორედ ამ გზას გადის ფეჩეიაც, რომელმაც ბერის თვალებში ამოიკითხა "უეშმარიტი ცხოვრების გზა: "ემსახურე, ვისაც კი ჰირდება თქვენი სამსახური!" და ამ გზაზე დამაშვრალი მონაზვნად აღკვეცილი ფეჩეია აღესრულება კიდეც.

მხატვრულად კიდევ უფრო საინტერესოდ არის შესრულებული მოთხრობა "სვიმონ მღვდელი", რომელშიც საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი სასულიერო ცხოვრებით, წირვა-ლოცვითა, საეკლესიო გალობითა და ღვთის კურთხევით არის გამთლიანებული, სიმბოლურად სვიმონ მღვდლის სახეშია გაცხადებული. პროფ. ალ. ხახანაშვილი აღნიშნავს ამ მოთხრობის შესახებ: "Задушевно стойким лиризмом написан эскиз «Батюшка Свимон»". მართლაც თვალში საცემია მოთხრობის უაღრესად პოეტური, სულიერი სამყარო, უაღრესად ქართული გარემო. . და ეს სამყარო, ერთი პერსონაჟით, სვიმონ მღვდლით არის წარმოდგენილი, რომელსაც ჭოროს ფორმით აძლიერებს მლოცველი მრევლი და ამ მრევლის სახით ნათლმოსილი ქართული სული ცოცხლდება: "ეკლესიის ეზოში თავმოყრილ ხალხი, დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ ყმა, მდიდარი თუ ღარიბი – ყველა ერთის გრძნობით გაიმსჭვალა. ყველას

დაავიწყდა ეხლა თავისი ხარისხი, თავისი ვინაობა, მოაგონდა მხოლოდ, რომ ქრისტიანია და წმინდის გრძნობით გულში, უნდა მოეგებოს ამ შესანიშნავ დღეს, როცა "აღსდგა ქრისტე მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი..." მრევლი გალობს, მხოლოდ ერთი, საკურთხევლის ბნელ კუთხეში ზის მოხუცი სვიმონ მღვდელი." ავტორს სვიმონ მღვდლის ფიქრებში მის სამყაროში შევყავართ: პირველი ანაფორა, მისი პირველი მოძღვარი ნიკიფორე, ყმაწვილური ოინბაზობა და ბოლოს მისი მეუღლე ვარდო, რომელიც მშობიარობას გადაჰყვა და მისგან დარჩა იესე...

სვიმონ მღვდელი მოახლოებულ აღსასრულს გრძნობს და მისი საზრუნავი ერთია, მისი დიაკვანი შვილის მღვდლად კურთხევა. სვიმონ მღვდელს აშინებს, რომ "მის ცხედარს აღარ წაუძღვება წინ იმის შვილი შემოსილი, როგორც თვითონ მიუძღოდა მამას, მამა, ბაბუას, ბაბუა პაპას... დიახ, უწუხს სვიმონს სული და სტირის და სტირის..."

ამ ეპიზოდში დუტუ მეგრელი ქართული სასულიერო იერარქიის, მისი მემკვიდრეობის შეწყვეტის საშიშროებას გადმოგვცემს და დიდ ესთეტიკურ განცდას აღძრავს მკითხველში. ნაწარმოებში გულისტკივილით არის გადმოცემული ფაქტი, რომ მიზეზთა გამო ახალგაზრდობა სასულიერო სამსახურში აღარ მიდის. პოეტურად და თეოლოგიური ცოდნით არის აღწერილი სვიმონ მღვდლის მიცვალება, სულის გასვლა ქვეყნიდან: „აი, მოვიდნენ სვიმონთან სხვა ანგელოზებიც, მოვიდნენ ბევრნი, უთვალავნი და შემოეხვივნენ გარს. ოჰ, რა მშვენიერები არიან და რა ტკბილად გალობენ "ქრისტე აღსდგას"... საკვირველია, სვიმონს აღარც თვალთ აკლია, აღარც ყურთ... ძალაც მოემატა: ის მარჯვედ დგას ფეხზედ და მიჰყვება, მიჰყვება კი არა და თითქო ფრთები გარემოესხა, იმასთან ერთად მიფრინავს, მიფრინავს თავის ვარდოსთან..."

დუტუ მეგრელის პროზა, რომელიც პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივი პოზიციის გამო, ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე და შემდგომ პერიოდშიც მიზანმიმართულად იქნა მივიწყებულ-მიჩქმალული, უაღრესად მნიშვნელოვანია საუკუნეთა

მიჯნის თვალსაწიერის სრულად აღსაქმელად. კიდევ უფრო აქტუალურია იგი დღეისთვის ეროვნულ-სარწმუნოებრივი და მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი დიმიტრი ხოშტარია წარმატებით მოღვაწეობდა დრამატურგიაშიც. დღემდე არ გამოქვეყნებულა მისი პიესები, რომლებიც მწერლის სრული პორტრეტისთვის საგულისხმოა.

დუტუს პიესებს დიდ შეფასებას აძლევდა ისეთი დრამატურგი, მსახიობი და თეატრის ხელმძღვანელი, როგორიც იყო შალვა დადიანი. დუტუს პირად არქივში რამდენიმე წერილი ინახება, რომლებშიც შალვა დადიანი სერიოზულად და წარმატებულად მიიჩნევს დუტუს დრამებს. 1895 წლის 12 ივლისით დათარიღებულ წერილში შალვა დადიანი წერს: ეხლა ერთი სათხოვარი მაქვს, როგორც რეჟისორმა უნდა ვიზრუნო მომავალ რეპერტუარზე... ამიტომ გთხოვ, რომ თუკი ძალიან არ დაგიმძიმდება, გამოგვიგზავნე შენი "ძიძიშვილი" და "ეშმაკების ბუდე", ორივეს წარმოვადგენინებ და გარწმუნებ... «Успехи» დიდი იქნება. თუ კაცი ხარ, ეს თხოვნა შემისრულე, მეტად დამავალებ.. ახალ შენს პიესაზე "სიკვდილ-სიცოცხლეზე" ვგრძნობ მეტად საინტერსო იქნება ჩემი რეპერტუარისთვის, მაგრამ მაგას არ წაგართმევ, თბილისისთვის მეტად სასარგებლო იქნება და მერე ჩვენც წარმოვადგენთ".

"ძიძიშვილზე" კიდევ მრავალ წერილში გამოთქვამს შალვა დადიანი თავის აზრს. მაგალითად, ერთგან წერს: "ამ პიესაზე დიდი აზრის ვარ, ერთი რომ სულ ახალია ჩვენს ლიტერატურასა და დრამატურგიაში. ძიძიშვილის და მისი ფსიქიკური აღწერა, გაკვრით, მაგრამ მაინც ეს არის შენს პიესაში. მეორე – ბატონისა და ყმის დამოკიდებულება ფართოდ არის დასაბუთებული. ამგვარი რამეც არ გაგვაჩნია ჩვენს დრამატურგიაში. მესამე და უმთავრესი, პიესა თეატრალურად არის დაწერილი. ე.ი. ბევრი მოძრაობა, მოქმედება ახლავს და თან მელოდრამული კილოც ახლავს. ამგვარი პიესა უყვარს თეატრს და ესეთი პიესა ყოველთვის მოსწონს ხალხს".

პიესა "ძიძიშვილი" გამოქვეყნებული არ არის. იგი ინახება საქართველოს ცენტრალური არქივის ლიტ. განყოფილებაში. პიესა სამმოქმედებიანია, მასში ძიძიშვილობის ქართული, კერძოდ, სამეგრელოს კუთხის ტრადიციაა გახსნილი. პიესის იდეაში განვითარებულია აზრი, რომ ბატონსა და ყმას შორის არსებული კლასობრივი ზღვარი ხშირად ძიძიშვილობის წმინდა ტრადიციას, სიყვარულს კლავს (ძიძიშვილობის თემა შემდეგ ლეო ქიაჩელმა გააცოცხლა "ჰაკი აძბაში", რომელშიც პირიქით, ძიძიშვილობის კავშირის დარღვევა არც კლასობრივ და არც პოლიტიკურ ძალას არ შეუძლია,

თავი VI. „სალიტერატურო შენიშვნები"

XIX ს. 90-იან წლებში სალიტერატურო კრიტიკა ჩამოყალიბდა, როგორც ლიტმცოდნეობის ცალკე დარგი. მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების კვალდაკვალ ლიტერატურული ინტერესები მრავალმხრივი იდეურ-პოლიტიკური ტრადიციებით და კრიტერიუმებით იყო განსაზღვრული. ამ პერიოდის ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის მხატვრულ-ესთეტიკური აზრის წარმმართველ ძალად კვლავაც "სამოციანელთა" რეალისტური სკოლა წარმოჩნდება. ლიტერატურასა და ხელოვნებაზე კრიტიკული წერილების უმნიშვნელოვანეს ავტორებად კვლავაც რჩებიან: ილია, აკაკი, ნ. ნიკოლაძე, ვაჟა, გრ. ყიფშიძე და სხვანი.

90-იანი წლებიდან ქართულ პრესაში აქტიურდება ახალი თაობის "პროფესიონალური" კრიტიკა რომანოზ ფანცხავას, ივანე გომართელის, კიტა აბაშიძის, ალ. წულუკიძის, ფ. მახარაძის და სხვათა სახით, რომელთაგან უმრავლესობა მარქსისტულ-სოციალისტურ იდეოლოგიაზე დაყრდნობით ცდილობს წარმართოს ქართული ლიტერატურა.

იმავე პერიოდში მეტად რთულ და მრავალფეროვან სალიტერატურო კრიტიკის დარგში საკმაოდ ნაყოფიერად და საინტერესოდ მოღვაწეობს დუტუ მეგრელი, რომელიც ისეთ აქტუალურ საკითხებს განიხილავს, როგორიც იყო: დეკადენტურ-რეალისტურ მიმართულებათა ურთიერთობა – წერილში "სალიტერატურო შენიშვნები", ძველი და ახალი თაობის საკითხები წერილში "ზმა შორიდამ", ლიტფონდის დაარსების შესახებ – წერილში "სალიტერატურო შენიშვნები" და სხვა'???

დუტუ მეგრელის შემოქმედების მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისი კიდევ უფრო თვალსაჩინოვდება მისი ლიტერატურულ – კრიტიკული წერილებით.

დუტუს კრიტიკული აზრის კრიტერიუმები უმთავრესად 60-იანელთა მხატვრულ ესთეტიკურ ტრადიციებს ეყრდნობა, რაც კიდევ ერთგზის დასტურდება 1934 წლის მწერალთა ყრილობაზე მისი გამოსვლიდან: "ქართულ მწერლობაში,

მწერლობის შესახებ საუკეთესო წერილები ილიას ეკუთვნის" – აცხადებს დუტუ მეგრელი საბჭოთა მწერალთა ყრილობაზე, რითაც იგი მწერლობასა და სალიტ. კრიტიკას ტრადიციებზე დგომას მოუწოდებს.

ამავე პრინციპით გამოდიოდა დუტუ პრესაშიც და იგი უპირისპირდება 900-იანი წლების ტენდენციურ კრიტიკას, რომელიც ან პოლიტიკური იდეოლოგიის სამსახურში იდგა, ან ცალკეული ევროპული სკოლის აპოლოგიას ეწეოდა და თვით ვაჟას პოემებსაც ამ საზომით განიხილავდა (მაგ. კ. აბაშიძე). მსგავსი მოვლენების შესახებ ცოტა მოგვიანებით გერონტი ქიქოძე იტყვის; "თანამედროვე კრიტიკაში რამდენიმე მიმართულება ებრძვის ერთმანეთს. ერთის მხრივ დგას ე.წ. პუბლიცისტური კრიტიკა, რომელიც არაესთეტიური საზომით ხელმძღვანელობს და მხატვრულ ნაწარმოების ღირსებას მისი სოციალურ-პოლიტიკური შედეგების მიხედვით აფასებს". (გ. ქიქოძე, "წერილები", თბ., 1985 წ., გვ. 144-145).

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია დუტუ მეგრელის წერილები საერთო სათაურით "ზმა შორიდამ", რომლებშიც იგი სალიტერატურო საკითხებს ეხება, კერძოდ, ძველი და ახალი თაობის მწერლობის, თარგმანის საკითხებს. იგი შენიშნავს, რომ: "თარგმნილი ლიტერატურა ერთობ სუსტობს... მაშინ, როცა ლ. ტოლსტოის თხზულებათა თარგმანები არ მოგვეპოვება და ეს სირცხვილია..." საერთო სათაურით "ზმა შორიდამ" გაერთიანებული წერილებიდან ილია ჭავჭავაძის ყურადღება მიიპყრო ძველი და ახალი თაობის მწერლობისადმი მიძღვნილმა წერილმა, რომელიც 1892 წლის 28 ივნისს "ივერიაში" გამოქვეყნდა. ილია ჭავჭავაძე დუტუს წერილს გამოეხმაურა იმავე წლის "ივერიაში", ცნობილი ლიტერატურული მიმოხილვით: "წერილები ქართულ ლიტერატურაზე", რომელშიც, საყოველთაოდ აღიარებული აზრით, ილიამ ყველაზე სრულად განიხილა XIX ს. მწერლობა და იმავ დროს "თაობათა" ცნების შესახებაც ისაუბრა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დუტუ მეგრელის აქტიური მოღვაწეობით დაარსდა საქართველოში ე.წ. ლიტფონდი, რომელიც ქართველ მწერლებს ეკონომიკურად ეხმარებოდა და საბჭოთა პერიოდში მსხვილ ორგანიზაციად გადაიქცა.

ლიტფონდის იდეა დუტუმ პირველად გაზეთ "ივერიაში" წამოაყენა 1893 წელს, სათაურით "დროა". წერილში შესულია დუტუს მოწოდება სალიტერატურო ფონდის დაარსების შესახებ. ავტორი ეროვნულ-კულტურული უმთავრესი პირობის – ლიტერატურის განვითარებაზე საუბრობს და ლიტერერატურას "გარემო ვითარების საწინააღმდეგო ბრძოლაში, თვითარსებობის დასაცავ" უმთავრეს იარაღად მიიჩნევს: "დაივიწყეთ ქართული ენა, მოსპეთ ქართული ლიტერატურის განვითარება და საქართველო მხოლოდ გეოგრაფიულ ტერმინად იქცევა!" ლიტერატურული განვითარებისთვის, ეროვნული ცნობიერების ხსნის ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობად დუტუ მეგრელს სალიტერატურო ფონდის დაარსება მიაჩნია.

იმ პერიოდისთვის მეტად მნიშვნელოვანია დუტუს წერილი "სალიტერატურო შენიშვნები", რომელიც 1896 წ., №19-ში გამოქვეყნდა. ავტორი მისი დროის კრიტიკული აზრის უმთავრეს მიმართულებებს აანალიზებს და გულისტკივილით აღნიშნავს: "თუ ერთი მხრივ ჩვენი სიტყვაკაზმული ლიტერატურა საკმაოდ განვითარებულია, მეორე მხრით, სალიტერატურო კრიტიკას ჯერაც კი ვერ მოუკიდია ფეხი; ჯერაც კი არ დამყარებულა იგი მკვიდრ ნიადაგზე... სიტყვაკაზმულ ლიტერატურას თან არ დაჰყვა შესაფერი სალიტერატურო კრიტიკა, რომელსაც უნდა აეხსნა იგი ქართული საზოგადოებისთვის.. ნუთუ იმ ერმა, რომელმაც მოგვცა ერთი საუკუნის განმავლობაში იმისთანა კორიფეები სიტყვაკაზმულ მწერლობაში, როგორც გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ვ. ორბელიანი. ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ალ ყაზბეგი, გ. წერეთელი და სხვა, ვერ შეძლო ერთი ნიჭიერი კრიტიკოსის მოცემაც კი?"

წერილში დუტუ ღრმად იხილავს თავისი დროის კრიტიკული აზრის მიმართულებებს. იგი ცალკე გამოყოფს ი. ნიკოლაძის, ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის კრიტიკული აზროვნების მაღალ ესთეტიკურ დონეს; ხოლო ნ. ნიკოლაძე, მისი აზრით, სხვა ჭეშებშიც "უპირველეს ადგილს იჭერდა". დუტუ აქვე შენიშნავს, რომ ისინი "შშვენიერი კრიტიკოსები' იქნებოდნენ, მხოლოდ კრიტიკისთვის რომ მოეცალათ.

საკუთრივ სალიტერატურო კრიტიკის განვითარებას საქართველოში დუტუ ორი მიმართულებით განიხილავს: ერთნი, რომელთა კრიტიკული აზრი "პოეტურ შემოქმედებას უდრის" და რომლისთვისაც "მარტო ბუნებითი ნიჭი არ არის საკმაო, როგორც სახალხო პოეტისთვის, მაგალითად, არამედ საჭიროა თანამედროვე მეცნიერული და ფილოსოფიური განათლების მიღებაც. ხოლო მეორე სახის კრიტიკოსებად დუტუ განიხილავს მათ, რომელნიც "მწერლის მიმართულების" მიხედვით და საკუთარი განწყობით "ან აქებს და ზეცამდე აჰყავს არსებული მწერალი, ან აძაგებს და მიწასთან ასწორებს უსაბუთოდ, ცარიელი სიტყვით".

იმავე წერილში დუტუ მეგრელი გრიგოლ ყიფშიძის კრიტიკულ მეთოდს ამხილებს, რომელსაც "ნაროდნიკულ" ანუ "ტეტიათა მოტრფიალეთა" მიმდევრად მიიჩნევს. და აღნიშნავს, რომ იგი მხოლოდ ამ პოზიციიდან უდგება ამა თუ იმ მწერალს და მისი კრიტიკული აზრიც ხსენებული მიმდინარეობით არის განპირობებული. დუტუ დამაჯერებლად ასაბუთებს და ვრცლად განიხილავს გრ. ყიფშიძის კრიტიკულ წერილებს, რომლებშიც იგი კრიტიკის კლასიფიკაციას ახდენს და იმავ დროს ავლენს როგორც რუსულ, ასევე ევროპული კრიტიკული აზრის ფლობას.

ცალკე კატეგორიად განიხილავს კრიტიკოსთა ნაწილს, რომელთა შეფასებაც ერთადერთი კრიტერიუმით, "თავისი საკუთარი მიდრეკილებებით წარმოდგება". ამ კატეგორიას მიაკუთვნებს დუტუ კიტა აბაშიძეს, რომელიც მისი სამართლიანი შეფასებით (ამავე აზრისა იყო ილია ჭავჭავაძეც კიტას მიმართულების კრიტიკოსებზე) "ფრანგული ლიტერატურის ტრფიალებით" გამოირჩევა და "ბრიუნეტიერის თეორიებს", სალიტერატურო პოეზიის ევოლუციას" და სხვა მისთანა თეორიებს გაუტაცნია და ამ საზომს ცდილობს მიუყენოს ყველა მწერალი.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დუტუ მეგრელი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საუკუნეთა მიჯნის ორი უმთავრესი ლიტერატურული მიმართულების სწორი შეპირისპირება მოგვცა "სალიტერატურო შენიშვნების" სათაურით გაერთიანებულ ერთ-ერთ წერილში, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ცვალში"

1896 წ. №319-ში. დუტუ ამ წერილში უკიდურესობის წინააღმდეგია და მიუღებლად მიაჩნია, როგორც "ულტრა რეალისტები', ასევე "დეკადენტები". დუტუ ორივე ამ მიმართულებათა უკიდურესობას აკრიტიკებს. როგორც "ხელოვნებას ხელოვნებისათვის", ასევე "უხელოვნო ხელოვნებას". დუტუ ნათლად აყალიბებს პოეზიის და ზოგადად ხელოვნების ფორმისა და შინაარსის ერთობის თეზას; "ვერც მხოლოდ უბუნებო იდეა, უნიადაგო მშვენიერება და ვერც მხოლოდ უიდეო ბუნება, ფოტოგრაფიული და პროტოკოლური... ვერ შეადგენენ პოეზიას, როგორც მშვენიერ ხელოვნებას".

დუტუ უპირისპირდება დეკანდენტურ მიმართულებას, "რომელთაც მხოლოდ იდეათა გამოსახვა დაიდვეს საგნად, უარყვეს ბუნება, ქვეყანა და ქვეყნის საქმეები და რას ამბობენ, თვითონაც არ იციან... და მათი ნაწერები პოეზია კი არ არის, ბოდვაა ჭკუაში არ მყოფნისა" – ამგვარად უკომპრომისო შეფასება მისცა დუტუმ, დეკადენტობის გარიჟრაჟზე საქართველოში ფორმალისტურ მსოფლმხედველობას, რაც იმ დროს ლიტერატურული გმირობის ტოლფასი იყო.

დუტუს მთელი შემოქმედება ერის მსახურების ილიასეული გზას იზიარებდა და ამიტომაც წერდა: "ჩვენი ხალხი ახლა იღვიძებს დიდი ხნის ღრმა ძილისგან... და ყოველი მწერლობა, როგორც მასწავლებლის და გზის მაჩვენებლის მოვალეობას შეადგენს, თუ შეუძლიან დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება, ხოლო თუ არა – სდუმდეს, რომ მშიერ კაცს პურის ნაცვლად ქვა არ მიაწოდოს" ("ივერია", 1897 წ., №173, 28 აგვისტო).

დუტუს მწერალი გზის მაჩვენებლად რომ მიაჩნდა, ამიტომაც ააღელვა შიო არაგვისპირელის მოთხრობა "იუდამ" და საჯაროდ ამხილა წერილში "ბატონი შიო არაგვისპირელი და მისი უკანასკნელი ეტიუდები". წერილში დუტუ სამართლიან აღშფოთებას გამოთქვამს შიო არაგვისპირელის მიერ წმინდა წერილის ხელყოფის გამო. კერძოდ, შიო არაგვისპირელმა თავის მოთხრობა "იუდაში" გააყალბა და მკრეხელური აზრი მიაწოდა მკითხველს სახარებისეულ ჰეშმარიტებაზე... დუტუ მეგრელი, ერთადერთი აღმოჩნდა იმ პერიოდის

სინამდვილეში, ვინც თავისივე თაობის წარმომადგენლის მკრეხელური საჯარო გამოსვლა ამხილა. კერძოდ, დუტუმ დაგმო არაგვისპირელის პროტესტანტული თვალსაზრისი იუდა ისკარიოტელის გამცემლობაზე, რომლის მიხედვითაც: იუდამ მარიამ მაგდალინელის სიფარულით გასცა ქრისტე და მიუფანა ჯალათებს".

დუტუ მართლმადიდებლური პოზიციიდან ამხილებს ნაყალბევს: "ხოლო იუდა, რომ ყოვლადმახინჯი რამ არის, ეს კი ცხადია... ჯერ ერთი, რომ იუდა ისტორიული მოქმედი პირია და არვის უფლება არა აქვს, აღვირი წახსნას თავის ფანტაზიას და იმისთანა რამ მიაწეროს, რასაც სახარებაში ადგილი არა აქვს." დუტუსთვის "სრულიად გაუგებარია თუ რაში დასჭირდა არაგვისპირელს" ამგვარი მკრეხელობა და გაკვირვებული წერს: "ასე თავისუფლად წერა კიდევ შეიძლებოდა იუდას მოქმედების შესახებ, რომ სახარებაში ნათლად არ იყოს დახასიათებული იგი და აუხსნელი რჩებოდეს, ის, თუ რატომ გასცა მან თავისი მასწავლებელი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იუდა მდაბალი ხასიათის კაცი იყო, შურდა იესო ქრისტესი, თან ვერცხლისმოყვარეც ბრძანდებოდა და ყველა ეს განა თვალსაჩინოს არ ხდის იმის მოქმედებას?... „და ვითარცა სერობა იყო, და ეშმაკი შესულიყო გულსა იუდასა ისკარიოტელსა, რათა გასცეს იგი (იოანე, 13.2) ვკითხულობთ ჩვენ სახარებაში და სრულად ვკმაყოფილდებით ამ ახსნით".

არაგვისპირელის ქართული ცნობიერებისთვის უცხო, მწვალებლური მოთხრობით განცვიფრებული დუტუ მეგრელი სვამს კითხვას: "რად დასჭირდა არაგვისპირელს თავისი ზღაპრის შეთხზვა? ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ ორიგინალური და არაჩვეულებრივი ეთქვა და ქება-დიდება დაემსახურებინა თავისის იმისთანა თაყვანიმცემლებისა, რომელთაც ჩვეულებრივი, უბრალო და მარტივი სიუჟეტი აღარ აკმაყოფილებთ, რადგანაც გემო აქვთ გაფუჭებული".

დუტუს ამ სტრიქონებში და ზოგადად წერილების ქვეტექსტში აშკარად იკითხება, რომ იგი სოციალისტებს ამხილებს, მათ თვლის შიოს "თაყვანისმცემლებად", რომელთაც გემო გაფუჭებიათ".

დუტუ მეგრელის შემოქმედების იდეური მრწამსი, მისი ეროვნულ-

სარწმუნოებრივი ცნობიერება კიდევ ერთგზის იკვეთება იმ პერიოდში მოღვაწე დიდი სულიერი მამის – წმინდა ალექსი ბერის (შუშანია) თხზულებათა განხილვისას.

1902 წლის 15 მარტის „ივერიაში" დუტუ აქვეყნებს წერილს სათაურით „ბერი პოეტი". საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში, როცა ქართული პრესა, ქართული აზრი შეპყრობილია მარქსისტული, დეკადენტური ან სხვა რამ ოკულტურ-ათეისტური სულით, დუტუ მეგრელი საჯაროდ ხოტბას ასხამს ბერ-მონაზვნის სამოძღვრებო და პოეტურ თხზულებებს: "ჩინებული ქართულით დაწერილი, გრძნობით აღსავსე, იერემიასებრი გოდება" – ასე აფასებს იგი ბერის შემოქმედებას.

დუტუ ბერი ალექსის მოძღვრების განხილვისას, მკითხველის ყურადღებას ამახვილებს და ციტირებას ახდენს ქრისტიანული სინანულის განცდაზე და ბერის ნაწერით აღტაცებული ამბობს: „ადგილი რომ ნებას მაძლევდეს, მთელს ამ მოძღვრებას გადავწერდი და დარწმუნებული ვარ, ვასიამოვნებდი მკითხველს...".

დუტუ ერთმანეთს უდარებს წმინდა ალექსის მიერ გადმოცემულ ქრისტიანულ სინანულს, ადამიანის მიერ ცოდვით განცდილი არარაობის, სინანულის განცდასა და ნიჭიერ ბელეტრისტთა თხზულებებში დახატულ ადამიანის ბუნების დამცირებას შორის. მათ შორის სხვაობას დუტუ სულიერ-ფსიქოლოგიურ საწყისში ხედავს: "განსხვავება ის არის, რომ ბერი ალექსი აღელვებულია ადამიანის ბუნების სიმდაბლით და მთელი მისი არსებით ცდილობს მის ამაღლებას, გაკეთილშობილებას; ხოლო ზოგნი ჩვენნი ბელეტრისტნი პირიქით, თითქოს რაღაც კმაყოფილებას განიცდიან, რომ ადამიანში მდაბლის გრძნობას და პირუტყვულს მისწრაფებას აღმოაჩენენ!' დუტუ მეგრელი, ამ ღრმად სულიერ ანალიზში იძლევა, ერთი მხრივ, ისტორიული ქართული მწერლობის ზნეობრივ-ესთეტიკური ჭვრეტილში შემოჭრილ არაქართული ცნობიერების ესთეტიკას, რომელიც მოჰყვა "შესამედასე-ლებს", "დეკადენტებს" თუ სხვათ.

წერილში ავტორი ერთნაირად აღტაცებულია ბერი ალექსის, როგორც სამოძღვრებო ხასიათის ჩანაწერებით, ქადაგებებით, სულიერი შვილებისადმი

მიწერილი წერილებით, ასევე მისი სასულიერო პოეზიით და ყოველივე ამას "გრძნობით სავსე ლირიკას უწოდებს" და ასეთ შეფასებას აძლევს: "ალმაფრთოვანებელი ჰიმნია ბერ-პოეტის გულიდან აღმომხდარი".

დასასრულ უნდა გავიხსენოთ "ერი პოეტის" შესავალი: "ამას წინათ ჩემმა კორესპონდენტმა მომაწვდინა მღვდელ-მონაზონ ალექსის წიგნები. სიმართლე გითხრათ, დიდად არ დავინტერესებულვარ ამ გამოცემით., მხოლოდ მას შემდეგ, როცა მომაგონდა, რომ ამათი ავტორი ჩემს ბავშვობაში მენახა (მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ მორჩილი იყო), ცნობისმოყვარეობა აღმეძრა და გადავშალე წიგნი..."

დუტუს ბავშვობა იყო – სასულიერო ოჯახი, შემდეგ მონასტერი და მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება – ეროვნულ-სარწმუნოებრივი ჭართული ცნობიერებით იყო წარმართული.

დასკვნა

განვიხილეთ ქართული ლიტერატურის ისტორიის მეტად საინტერესო პერიოდი. დეტალურად შევისწავლეთ რა დუტუ მეგრელის (დიმიტრი ხოშტარია) ცხოვრება, შემოქმედება და მისი როლი ქართული ლიტერატურის განვითარებაში, შეგვიძლია დავასკვნათ:

1. დიმიტრი ხოშტარია ლიტერატურულ მოღვაწეობას იწყებს დუტუ მეგრელის ფსევდონიმით. როგორც მისი მეგობარი შალვა დადიანი გადმოგვცემს: "შემთხვევით არ არის ფსევდონიმი დიმიტრი ხოშტარიას – დუტუ მეგრელი. ის XIX საუკუნის პირველი ქართველია სამეგრელოს კუთხიდან, რომელმაც თავისი ნიჭი უძღვნა მხატვრულ ლიტერატურას და თითქოს ამით გზა გაუკაფა თავის მიმდევრებს." შალვა დადიანის ამ განმარტებას ალბათ ისიც უნდა დაემატოს, რომ მწერალი თავისი ფსევდონიმით საქართველოს კუთხეებად დაყოფის მოსურნე დამპყრობელს წინ აღუდგა, რასაც ის თავისი შემოქმედებითაც ჭადაგებდა.

2. ქართული ლიტერატურა ქრისტიანული კულტურის პირმშოა და ამდენად მისი ზეობისა თუ დაცემის ხანაც სწორედ ქრისტიანულ-ეროვნული ცნობიერების სიმტკიცე-სისუსტის იდენტურია; რასაც ქართული ლიტერატურის ისტორიაც ადასტურებს და ამა თუ იმ პერიოდის განხილვისას ხაზს უსვამს და გამიჯნავს ეროვნულ-სულიერ იდეოლოგიას – ხორციელ-მიწიერი უცხო იდეოლოგიისაგან.

3. დუტუ მეგრელი და მისი თაობის ახალგაზრდა მწერლები ლიტერატურულმა კრიტიკამ "დიაკვნის შვილებად" მონათლა, სწორედ საუკუნეთა ამგვარ გზაგასაყართან აღმოჩნდა დუტუ მეგრელის თაობა, რომელთაგან ცოტამ აირჩია ტრადიციული, ეროვნულ-ქრისტიანული ცნობიერების სულიერი გზა, სახარებისეული სწავლებით "გზა იწრო" რომ ეწოდება; ხოლო მრავალნი კი გაჰყვნენ და მიჰყვებიან დღესაც დროის სულისკვეთების "გზაფართოს", რის შესახებაც დუტუ მეგრელი წერს:

"მას ჰხვდა გზა სწორი და ფართო, შენ – ვიწრო და ეკლიანი;ის მოიმღერის

სიცილით, შენ მიჰკვნეს თვალცრემლიანი .." ("ბედმწარეს").

4. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად წარმოჩნდება და წინა პლანზე წამოიწევს საბავშვო ლიტერატურის ფორმირების საკითხი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საბავშვო ლიტერატურა რუსული და ევროპული ლიტერატურული კრიტიკისათვის განხილვის უმნიშვნელოვანეს საგნად იქცა. სწორედ ეს პერიოდი გახდა ქართული საბავშო ლიტერატურის ზეობის ხანაც. ამ პერიოდში იქმნება ქართული საბავშვო ლიტერატურის კლასიკური ნიმუშები, რომელთა ავტორებიც არიან ქართული ლიტერატურის კლასიკოსები (ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, ყაზბეგი...) ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, საბავშვო ლიტერატურის მესიტყვეები, როგორებიც იყვნენ შიო მღვიმელი და თედო რაზიკაშვილი და საბავშვო მწერლობის ისტორიისთვის საგულისხმო მწერლები: ეკატერინე გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი; ხოლო ქართული საბავშვო ლიტერატურის და პედაგოგიკის კლასიკოსი იაკობ გოგებაშვილი გახლდათ თეორიულად დ პრაქტიკულადაც წარმმართველი და ერთგვარი ფუნდამენტი ამ სფეროსი. იგი ხომ ერთსა და იმავე დროს პედაგოგიური აზრისა და საბავშვო ლიტერატურის თეორეტიკოსიც იყო და მრავალი კლასიკური საბავშვო თხზულების ავტორიც.

ამ პერიოდში ევროპულ სივრცესა და რუსეთში საბავშვო ლიტერატურული თეორიის ერთ-ერთ უმთავრეს ნოვაციას წარმოადგენს საკუთრივ საბავშვო ლიტერატურისა და საგანმანათლებლო ლიტერატურის გამიჯვნა (ამ უკანასკნელს მოგვიანებით (XXს) "ლიტერატურა ბავშვებისთვის" ეწოდა).

5. XIX ს. 80-იანი წლებისთვის საქართველოში მკვიდრდება საბავშვო ლიტერატურა უკვე როგორც თვითმყოფადი ლიტერატურული დარგი, რაც კიდევ ერთხელ გამოიხატა, როგორც ცალკე წიგნებად საბავშვო ნაწარმოებთა გამოცემით, ასევე პირველი საბავშვო ჟურნალების დაარსებით: 1883 წლიდან გამოდის ჟურნალი "ნობათი", 1890წ. – ჟურნალი "ჯეჯილი", 1904 წლიდან –

"ნაკადული" და სხვა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პროცესების აქტიური მონაწილე და იდეოლოგიურ–ესთეტიკური ნოვაციების ერთ-ერთი დამნერგავი იყო დუტუ მეგრელი, რომელიც ალბათ ის იშვიათი მწერალია ქართულ საბავშვო ლიტერატურაში, ვინც ზედმიწევნით იცნობდა საბავშვო მწერლობის თეორიას და პედაგოგიკას. რაც ასე თვალსაჩინოა მის საბავშვო პოეზიასა და მწერლობაში. დუტუ მეგრელს მნიშვნელოვანი საბავშვო თხზულებები აქვს დაწერილი, რომელთაც ისტორიულ-იდეოლოგიური მტვერი შეაყარეს და დღეს საბავშვო ლიტერატურის მეთოდურ სახელმძღვანელოებშიც კი არ არის შეტანილი დუტუ მეგრელის სახელი.

6. დუტუ მეგრელის საბავშვო პოეზიისა და პროზის კლასიკური ნიმუშები, რომელთაგან დღეისთვის მხოლოდ ლექსს "მე პატარა ქართველი ვარ" ვერ გადააფარა "შავი ზეწარი" ვერც იდეოლოგიურმა და ვერც ჟამთა სვლამ.

დუტუ მეგრელის ლექსის "პატარა ქართველის" შექმნის წინაპირობაც მეტად საგულისხმოა, ამიტომ ამ საკითხზე მსჯელობას არა მარტო ლექსის შემოქმედებითი ისტორიის გარკვევის აუცილებლობა, არამედ დღევანდელ სინამდვილეში მისი აქტუალურობაც განაპირობებს.

7. "პატარა ქართველი"-ს შექმნას წინ უსწრებდა სამეგრელოს კუთხისთვის "მეგრული ანბანის" შექმნის მცდელობა და თანამდევი მოვლენები, რამაც ქართული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია და მრავალი პუბლიცისტური გამოსვლით აღიმაღლეს ხმა ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვაჟა ფშაველამ იაკობ, გოგებაშვილმა და თავად დუტუ მეგრელმა (რომელმაც ლექსი "მეგრელთა მიმართ" უძღვნა ამ საკითხს).

8. დუტუ მეგრელის შემოქმედებაში და, კერძოდ, საბავშვო თხზულებებში რელიგიურ თემატიკას ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს და იგი ეროვნულობის იდენტურობად არის წარმოდგენილი. რელიგიური თემატიკის მხატვრული ფორმით მოწოდება მწერლის შემოქმედებაში მაღალ ესთეტიკურ

ფორმითაა მიწოდებული მკითხველისთვის. .

9. დუტუ მეგრელის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია და "პატარა ქართველის" შემდეგ მისი შემოქმედების კიდევ ერთ შედევრად შეიძლება ჩაითვალოს ლექსი "სურათი", რომელიც 1898 წლით არის დათარიღებული. ლექსის მიხედვით ავტორს ღვთისმშობლის ხატთან მიჰყავს პატარა ქართველი და აზიარებს ბავშვს ღვთისმშობლის, როგორც ყოველთა დედისა და უფლის, მშობლის თაყვანისცემას.

10. XIX ს. მეორე ნახევარში ქართული საბავშვო პროზა როგორც თემატურად; ასევე ჟანრობრივად და სიუჟეტურ-კომპოზიციური წყობით გამოირჩევა. იგი სრულად მოიცავს როგორც დასავლური, ასევე რუსულ საბავშვო ლიტერატურის პედაგოგიურ დომინანტებს. ქართული საბავშვო პროზა ამ პერიოდში წარმოდგენილია: 1. ავტობიოგრაფიული ჟანრით (აკაკი წერეთლის "ჩემი თავგადასავალი"), 2. ისტორიული ნაწარმოებებით (უიარაღოს "მამლუჭი", იაკობ გოგებაშვილის ისტორიული მოთხრობები), 3. ლიტერატურულ-ზღაპრული ფანტასტიკის ჟანრული სინთეზით (ვაჟა ფშაველას "შვლის ნუკრის ნაამბობი", "მგელი" "მელია სერეფენია", "კლდე სალი" და სხვა), 4 საბავშვო სასულიერო ლიტერატურით (ბავშვებისთვის შედგენილი "საღმრთო სჯული" ნესტორ ყუბანეიშვილისა, ი. გოგებაშვილის "ბიბლიური ისტორია", გიორგი იოსელიანის "საღმრთო ისტორია", "წმინდათა ცხოვრება", ნესტორ ყუბანეიშვილის "გზა ცხოვრებისა" და სხვა მრავალი), 5. ფსიქოლოგიური ჟანრით (ილია ჭავჭავაძის "სარჩობელაზედ", დუტუ მეგრელის "ქინაქინა", "კეთილი პეტრე", "პატარა ქველმოქმედი", "მხიარული სამხარი") და ბოლოს ლიტერატურით ბავშვების შესახებ, რომელიც ცალკე, განკერძოებული ჟანრია და რომლის ადრესატიც არის არა ბავშვი, არამედ უფროსი მკითხველი.

11. პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი დუტუ მეგრელს განიხილავს, როგორც ფსიქოლოგიური ჟანრის მწერალს. იგი თავის წიგნში "Очерки по грузинской словесности" მაღალ შეფასებას აძლევს დუტუს, როგორც

პროზაიკოსს და სხვა ნაწარმოებებთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოთხრობა "ქინაქინას".

12. დუტუ მეგრელის საბავშვო პროზა გამოირჩევა განსაკუთრებული გამომსახველობითი ხერხებით და ბავშვის ფსიქოლოგიის თავისებურებების ცოდნა-გათვალისწინებით. იმ დამაჯერებლობას და ესთეტიკურ განცდას, რომელსაც მისი მოთხრობები აღძრავენ, უწინარეს ყოვლისა, ავტორის მიერ ბავშვის თვალით დანახული სამყაროს გადმოცემაა, სადაც დუტუ, როგორც მთხრობელი ხან ხილული, ხანაც უხილავი თანამგზავრია თხრობის პროცესისა. ხოლო თხრობა საოცრად დინამიკური და ნათელია. მის მოთხრობებში აქცენტი გადატანილია გმირის შინაგან სამყაროზე, მის მორალურ განვითარებაზე და იმ კონფლიქტზე, რომელიც გმირს გარე სამყაროსთან მიმართებაში, თუ საკუთარ თავში უჩნდება.

13. მეტად მნიშვნელოვანია აკაკი წერეთლის აზრი დუტუ მეგრელსა და მისი თაობის ახალგაზრდა მწერლებზე. „ის ახალგაზრდა მწერლები, რომელნიც პირველად გამოინადირებენ ხოლმე ჩვენში დიდი თავმოწონებით, მაგრამ ისევ მალე უკუიქცევიან ხოლმე და თავს ანებებენ არა თუ მწერლობას, ქართველობასაც კი, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათი სათავმოყვარეო იმედები გაუცრუვდათ, რითი არ ჰგვანან ჩვენ "კუდაბზიკი", ცხენის მუცლის ტკივილის გამო დედამიწასთან გასწორებულს? თვით ჩვენი მკითხველი საზოგადოება, რომელიც ქების ტაშს უკრავს ამ რაინდებს და ჩვენი სჯობია სხვისასო, ამბობს, რა არის, თუ არ იგივე შემკრებელობით "კუდაბზიკა"? მაგრამ, აწ კი მადლობა ღმერთს, დღეს ნიშნებია, რომ ჩნდება ჩვენში მისთანა ტიპი, რომელსაც ამდენი ხანია სვიმეეონ მოხუცებულისვით მისარქმელად ვუცდიდით. მომავალი ამოიძუებს. ის ახალი თაობა, რომელიც დღეს თავს იჩენს, მაგალითად, ეგ. ნინოშვილი, დ. მეგრელები, თ. რაზიკაშვილები, ანასტასია ერისთავის ქალების და ის ახალგაზრდა პუბლიცისტები, რომელთაც თავის ქვეყანა შეუსწავლიათო, თავის დედა ენაც, ევროპული კულტურის მომავალი იდეები შეუსისხლხორცებიათ, რომ გულწრფელად ემსახურებიან თავის სამშობლოს და არა ჩვეულებრივი კუდაბზიკური

მხენობით. აი, ესენი არიან პირველი მერცხლები მომავლის გაზაფხულისა. ჯერ ჩვენ იმათზე კრიტიკას არ ვწერთ, მხოლოდ სიტყვამ მოიტანა და გარკვევით ვამბობთ, რომ ან. ერისთავისა და თ. რაზიკაშვილი, რომელთაც ისეთი მომზადება არა აქვთ, როგორც განსვენებული ეგ. ნინოშვილს ეტყობოდა და აგრეთვე დუტუ მეგრელს, მაგრამ ბუნებითი ნიჭით კი შესანიშნავები არიან და ბევრს კარგსაც უნდა ველოდეთ მათგან მომავალში, თუ თავის ნიჭს შესაფერის საზრდოს არ დააკლებენ და გულის ფიცარზედაც დაიწერენ იმ მცნებას, ურომლისოდაც, რაც უნდა ნიჭიერი მოღვაწე იყოს, ვერ აცდება "ფალსტაფობას" და "კუდაბზიკობას". (აკაკი წერეთელი – ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. თბილისის უნივერსიტეტი გამომცემლობა, თბ., 2004 წ., "ჰრელი ფიქრები", გვ. 394).

დუტუს ბავშვობა იყო – სასულიერო ოჯახი, შემდეგ მონასტერი და მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება ეროვნულ-სარწმუნოებრივი ქართული ცნობიერებით წარმართული.

ლიტერატურა

1. საქართველოს გ. ლეონიძის სა. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი დუტუ მეგრელის არქივი. ხ. 22438. ხ. 8590-3. ხ. 14710-208. ხ. 158850-218. ხ. 5999-67. ხ. 266-8./371 ხ. 6648-6450. ხ. 26-759/19 ხ. 6249-6253/67 ხ. 6364-67.
2. ხ. 6.6203. ხ. 6204-6205. ხ. 6354-67. ხ. 6448-6450. ხ. 6281-67. ხ. 6274-6279. ხ. 11.246-152. ხ. 6341-6343./67 ხ. 6355-6356/67 ხ. 6220-67./67 ხ. 6221-6229./6232
3. საქ. ლიტ. ხელოვნების ცენტრალური სახელმწ. არქივი,. ილ. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საქ. მწერალთა კავშირის სხდომის ოქმები. ფონდი 8, აღწ., 1 №415. ფონდი 8, აღწ., 1 №151. ფონდი 8, აღწ,. 1 №452. ფონდი 8, აღწ., 1.659. ფონდი 51, აღწ., 2 №21,22
4. უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია ნაწ., 1, თსუ გამ-ბა, თბ., 1984. ქართული ლიტერატურის ისტორია (ექვს ტომად) ტ., V, გამ-ბა "საბჭ. საქ.", თბ., 1982.
5. მიხეილ ზანდუკელი "ახალი ქართული ლიტერატურა" ტ., 1, თბ., 1956, "სამეცნიერო-მეთოდური კაბ. გამ-ბა".
6. აპოლონ მახარაძე – "ნარკვევები" ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ტ., 3, გამ-ბა "განათლება", 1969.
7. ს. დანელია "ნარკვევები XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან" ტფ., გამ-ბა "ტექნიკა და შრომა", 1936.
8. პ.ს. კოგანი "დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია" ტ., 2, "სახ. გამ-ბა", ტფ., 1932.
9. იპოლიტე ვართაგავა "კრიტიკული წერილები", ტ., 1 "ცოდნა" თბ., 1958.
10. ილია ჭავჭავაძე – თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ., 3, თბ., 1953.
11. კიტა აბაშიძე "ცხოვრება და ხელოვნება" "უნ-ტის" გამ-ბა, თბ., 1971,
12. შალვა რადიანი "შეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა" "სახელგამი",

თბ., 1945 (კრიტიკული რეალიზმი და ნატურალიზმი 90-900-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში).

13. გერონტი ქიქოძე "წერილები, ესსეები, ნარკვევები", თბ., "მერანი", 1935.
14. გალაკტიონ ტაბიძე – თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II, "საბჭ. საქ", თბ., 1989.
15. „ქართული ემიგრანტული ლიტერატურა", თბ., 1991, ტ., 1, გვ. 4.
16. А. Блок – собр. соч. т. 5, М-Л., 1962. с. 369.
17. Ал. Хаханов – «Очерки по Груз. словесности».
18. А. Блок – Собр. соч. в 8 –ми тт. М.-Л., 1962, Т3 с. 297-8.
19. გაზ. „კვალი", 1893, №13, გვ. 16.
20. გაზ. „კვალი", 1897, №20, გვ. 399.
21. გაზ „ივერია", 1889, 19 დეკემბერი, №270.
22. გაზ. „ივერია", 1897, 28 აგვისტო, №177.
23. გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1938, 20 მარტი, №7.
24. გაზ. „კვალი", 1896, №19, გვ. 329-333.
25. დუტუ მეგრელი, წიგნი პირველი (ლექსები) ტფ., 1909.
26. დუტუ მეგრელი, წიგნი მეორე (მოთხრობები) ტფ., „შრომა"' 1910.
27. დუტუ მეგრელი, თხზულებანი, თბ., 1948.
28. დუტუ მეგრელი, მოთხრობები, თბ., 1939.
29. И. Неупокоева – «история всемирной лит». (проблемы системного и сравнительного анализа) – М. «Наука», 1976
30. დუტუ მეგრელი, პარმენ ცახელი, თბ., „ნაკადული", 1981.
31. ზურაბ ბოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი,თბ., „განათლება", 1991.
32. იპ. ვართაგავა, კრიტიკული წერილები I, თბ., „ცოდნა", 1958.
33. ა. ღვინიაშვილი, ქართული საბჭ. მწერლობა (XIX ს.), 1998.
34. ტ. სულაბერიძე, ქართული საბ. ლიტ. ენობრივი თავისებურებანი ნაწ,. 1, თბ., 1987.

35. Минералова И. Б., – детская литература, Учебное пособие. М., 2001.

36. Сетин Ф.И., – История Русской детской лит., М., 2002.

37. Бабушкина – История Русской детской лит., М., 1948.

38. იაკობ გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, თბ., 1990 წ., «ფანათლება».

39. აკაკი წერეთელი, ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, თბილისის უნივერსიტეტი გამომცემლობა, თბ., 2004 წ., "ჭრელი ფიქრები", გვ. 394.ლიზმი 90-900-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში)

13. გერონტი ქიქოძე "წერილები, ესსეები, ნარკვევები", თბ. "მერანი", 1935

14. გალაკტიონ ტაბიძე – თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II, "საბჭ. საქ", თბ. 1989.

15. „ქართული ემიგრანტული ლიტერატურა", თბ. 1991, ტ. 1, გვ.4.

16. А. Блок – собр. соч. т. 5, М-Л., 1962. с. 369.

17. Ал. Хаханов – «Очерки по Груз. словесности».

18. А. Блок – Собр. соч. в 8 –ми тт. М.-Л., 1962, Т3 с. 297-8.

19. გაზ. „კვალი" 1893 №13, გვ. 16.

20. გაზ. „კვალი" 1897, №20, გვ. 399.

21. გაზ „ივერია" 1889, 19 დეკემბერი, №270.

22. გაზ. „ივერია" 1897, 28 აგვისტო, №177

23. გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1938, 20 მარტი, №7.

24. გაზ. „კვალი",| 1896, №19, გვ. 329-333,

25. დუტუ მეგრელი – წიგნი პირველი (ლექსები) ტფ., 1909.

26. დუტუ მეგრელი – წიგნი მეორე (მოთხრობები) ტფ., „შრომა"' 1910.

27. დუტუ მეგრელი – თხზულებანი თბ., 1948.

28. დუტუ მეგრელი – მოთხრობები – თბ., 1939.

29. И. Неупокоева – «история всемирной лит». (проблемы системного и сравнительного анализа) – М. «Наука», 1976

30. დუტუ მეგრელი, პარმენ ცახელი – თბ., „ნაკადული", 1981
31. ზურაბ ბოცვაძე – იაკობ გოგებაშვილი – თბ., „განათლება", 1991
32. იპ. ვართაგავა – კრიტიკული წერილები I, თბ., „ცოდნა", 1958
33. ა. ღვინიაშვილი – ქართული საბჭ. მწერლობა (XIXს.) 1998წ.
34. ტ. სულაბერიძე – ქართული საბ. ლიტ. ენობრივი თავისებურებანი ნაწ. 1, თბ. 1987.
35. **Минералова И. Б., – детская литература, Учебное пособие. М., 2001.**
36. Сетин Ф.И., – История Русской детской лит., М., 2002.
37. Бабушкина – История Русской детской лит., М., 1948.
38. იაკობ გოგებაშვილი – რჩეული თხზულებანი, თბ., 1990 წ., «განათლება».
39. აკაკი წერეთელი – ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, თბილისის უნივერსიტეტი გამომცემლობა, თბ. 2004 წ., "ჭრელი ფიქრები", გვ. 394).